პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—53.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ნონპარელებით.

დღევანდელი გაზეთის №-რი შეიცავს 6 გვერდს

დღეს, 4 საათზე დაასაფლავებენ ილიჩს.

გაიხსნა რუმინეთის კომპარტიის ყრილობა.

დაიხურა საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა.

მუსოლინიმ ბოლოში მოიპატიჟა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს [illegible] საბჭოთა კავშირის საგარეო წარმომადგენლობის ბინის [illegible].

მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

გერმანიის პოლიცია ატუსაღებს [illegible].

№ 22(874) კვირა, 27 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცით. № 22 (74)

ყველა დემონსტრაციაზე

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი, ტფილისის აღმასკომი და საქართველოს პროფკავშირთა საბჭო მოუწოდებენ მუშებს, მშრომელებს და ყველა მოქალაქეებს დემონსტრაციაზე დღეს, 27 იანვარს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის უდიდესი წინამძღოლის

ვ. ი. ლენინის (ულიანოვის)

დაკრძალვის დღეს

საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი.
ტფილისის აღმასკომი.
საქ. პროფკავშირთა საბჭო.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო!

დღეს იქ—საბჭოთა კავშირის დედა-ქალაქში, იქ, სადაც პირველათ დაიდგა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების აკვანი, იქ შორეულ მოსკოვში, მიწას მიაბარებენ ჩვენ დიდებულს მასწავლებელსა და წინამძღოლს ლენინს.

გლოვის ძაძებშია გახვეული დღეს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი. სტირის და ჰგლოვს თავის უბადლო მასწავლებლის დაკარგვას არამც თუ მარტო მოსკოვი, არამც თუ მარტო საბჭოთა კავშირი, მწუხარების შავი დრუბელი აწევს მთელი მსოფლიოს მშრომელ ხალხს.

დღეს მოსკოვი მიწას მიაბარებს მსოფლიო ბელადის უსიცოცხლო გვამს.

დღეს ჩვენ მოსკოვთან ერთად, მთელი მსოფლიოს დაობლებულ მშრომელ ხალხთან ერთათ ვგლოვობთ ამ საშინელ დანაკლისს.

დღევანდელი დღე არაა მარტო გლოვის დღე, დღევანდელი დღე ფიცისა და აღთქმის დღეცაა.

ჩვენმა მასწავლებელმა, ჩვენმა ბელადმა და წინამძღოლმა ლენინმა ჩვენ და ჩვენთან ერთათ მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს, მთელი მსოფლიოს დაჩაგრულ ხალხს, დიდებული ანდერძი დაუტოვა.

მან გვასწავლა გზა აღთქმის ქვეყნისაკენ, მან გაშალა კომუნიზმის დიდებული წიგნი და მან განსჭვრიტა ბურუსით მოცული მომავალი და ამოიკითხა საიდუმლოება, თუ როგორ, რა გზით შეუძლია მშრომელ ხალხს—მთელ დაჩაგრულ კაცობრიობას დალეწოს მონობის ბორკილი და ამ ქვეყნათ მშვიდობიანობა, თანასწორობა და [illegible] სამყაროს.

აღარ გვყავს ჩვენი საყვარელი ბელადი და მასწავლებელი. დავკარგეთ ის, ვის მაგიერობას ვერ იკისრებს ვერც ერთი ჩვენთაგანი. დაგვრჩა მის მიერ დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი საქმე.

თვითეული ჩვენთაგანი—თვითეული გლეხი და მუშა, ვის საქმესაც შესწირა თავი ლენინმა, ვის კეთილდღეობისთვისაც მან შექმნა პირველი მუშურ-გლეხური ურღვეველი ციხე-სიმაგრე—სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, დღეს მუხლს მოიყრის ამ დიდებული ადამიანის ცხედრის წინაშე და შეჰფიცავს მას.

ჩვენ მთელი მსოფლიოს მუშებთან და გლეხებთან ერთად ვეფიცებით მას:

დიდებულო მასწავლებელო, შენ [illegible] ხარ, შენ სამარადისო [illegible] თვითეული [illegible] ადამიანის გულში. შენ მიერ დაწყებულ საქმეს, ჩვენ ხელს არ გაუშვებთ, შენ მიერ გაკვალულ გზას ჩვენ არ მოვშორდებით, შენ დავალებას ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ. ბრძოლის დროს, თუ მშვიდობიან მუშაობის პირობებში ჩვენთან განუყრელათ იქნება შენი სახე, შენი დავალება, შენი ანდერძი.

ამ ფიცს, ამ აღთქმას დავდებთ ჩვენ დღეს მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთან ერთად. ამ იმედით გავყვებით ჩვენ ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას კომუნიზმის განსახორციელებლად და ამ ქვეყნათ შრომის სუფევის დასამყარებლად!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

გაუმარჯოს ლენინის დიდებულ ანდერძის ასრულებას!

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: მიხა ცხაკაია.

საქართველ. საბჭ. სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ლოლობერიძე.

საყვარელ საფლავთან

დღეს ჩვენი პარტია და მასთან ერთათ მთელი მშრომელი ხალხი მიწას აბარებს საყვარელი ბელადის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ნეშთს.

მიწას ვაბარებთ მას, ვის სახელს ღრმა სიყვარულით იხსენიებს მშრომელი კაცობრიობა და რომლის ხსოვნა საუკუნოებით დარჩება მსოფლიო მუშათა კლასში.

როგორადაც არ უნდა ვიყოთ ჩვენ შეჩვეული ცრემლებს, შეუძლებელია დავიცვათ ამ წამს სიმტკიცე და არ ავყვეთ გულისა და გრძნობის ძახილს.

მასში ჩვენ დავკარგეთ არა მარტო ბელადი და მასწავლებელი, მშრომელი ხალხი ეთხოვება მას არა მარტო როგორც უბადლო და განუმეორებელ წინამძღოლს მომავალ მძიმე ბრძოლაში,—მისი სახით ჩვენ გაგვშორდა შესანიშნავი ადამიანი და ამხანაგი.

ყველა ის, ვისაც ჰქონებია ბედნიერება პირადი კავშირისა მასთან, ყველა ვინც ცოტათი მაინც იცნობდა მას თუ გინდ შორიდანაც, ყველა ის დაბოლოს, ვისაც რამ გაუგონია მასზე ნაცნობებისა და ამხანაგებისაგან, გრძნობენ დაკარგვას ადამიანისას, რომლის ხსოვნა არ ჩაქრება სანამ გული არ შეწყვეტს ძგერას.

ჩვენი პარტია, ინტერნაციონალი, მუშათა კლასი დაობლდა ყველა: აღარ გვყავს ლენინი. მაგრამ დიდია მისი ნაანდერძევი საქმე, მტკიცეა მის მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირი, ურყევია კომპარტია და კომუნისტური ინტერნაციონალი.

ჩვენი დიდი ბელადის ხსოვნას ჩვენ დავიცავთ იმდენათ, რამდენადაც არ გადაუხვევთ მის ანდერძს, რამდენადაც შეუდრეკლათ ვივლით მის მიერ ნაჩვენებ გზით, რამდენადაც ჩვენში ჰპოვებს გამოხატულებას მისი სულის სიმტკიცე, თავგანწირულების გრძნობა და მზათ ყოფნა ბრძოლისათვის.

მუშათა კლასი და მისი პარტია ის აღარ არის დღეს, რაც იყო წინეთ. მას საშუალება ჰქონდა უშუალოთ ესწავლა ბელადისაგან, თუ როგორ უნდა ბრძოლა და გამარჯვება, ესწავლა როგორ უნდა უკან დახევა ამ ბრძოლის დროს, როდესაც ეს საჭირო და აუცილებელი. ჩვენ ხელთ არის განუზომელი სიღრმის გამოცდილება, ჩვენ ხელთ არის ბასრი და უძლეველი იარაღი —ლენინიზმი.

მუშათა კლასი, მებრძოლი თავისი საბოლოო განთავისუფლებისათვის, ხელს არ შეუშვებს ამ იარაღს, ის შეხვდება მომავალ სამოქალაქო ომებს, ომებს ძველ სამყაროსთან ამ იარაღით აღჭურვილი და უკვე მრავალჯერ სისხლით გაბანილ დროშით ხელში.

ახალ სამარესთან დღეს ფიცს დასდებს საერთაშორისო პროლეტარიატი და მასთან ერთათ ჩვენი დიდი კავშირის მშრომელი ხალხი, რომ საბოლოო გამარჯვებამდე, მიიტანენ ამ წითელ დროშებს, დროშას ჩვენი ბელადისა და მასწავლებლისას.

შემჭიდროებული რიგებით, ფოლადისებური ნებისყოფით წინ ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ!



ამხ. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი



В скорби, в трауре, в горе сомкнем тесные ряды и сердца. Сомкнем их для новых боев...

Товарищи, братья, Ленина с нами нет. Прощай, Ильич! Прощай, вождь!

Л. Троцкий

Тифлис, вокзал, 22 января, 8 ч. вечера.

გლოვაში, მწუხარებაში შევამჭიდროოთ ჩვენი რიგები, გული გულს მივსცეთ. შევამჭიდროოთ რიგები ახალი ბრძოლისათვის...

ამხანაგებო, ძმებო, ლენინი ჩვენთან აღარ არის. მშვიდობით, ილიჩ! მშვიდობით, ბელადო!

ლ. ტროცკი.

ტფილისი, სადგური, 22 იანვარი, საღამოს 8 საათი.

ლენინი და მუშები

რომ ჩვენ მოვისურვოთ რამდენიმე სიტყვებში გამოვხატოთ ის, რაც მარქსმა გააკეთა თანამედროვე მუშათა მოძრაობისათვის, ჩვენ ვიტყოდით—მარქსმა აღმოაჩინა თანამედროვე მუშათა კლასი, როგორც ისტორიული კატეგორია, როგორც კლასი არსებობის განსაზღვრული ისტორიული პირობებით და ისტორიული განვითარების გარკვეული კანონებით.

ლენინს წილად ხვდა დიდი ბედნიერება—მარქსის მიერ თეორეტიულად „აღმოჩენილი“ მუშათა კლასი მან ბრძოლაში წაიყვანა. მისი ხელმძღვანელობით მუშათა კლასი, ყოველშემთხვევაში ერთ ქვეყანაში, უკანასკნელ საფეხურზე მდგომ კლასიდან გადაიქცა გაბატონებულ კლასად.

მისმა გენიამ შექმნა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც ეს ამოცანა ინტერნაციონალური მასშტაბით დაისახა. მაგრამ თუ ლენინს არ დასჭირდა მუშათა კლასის აღმოჩენა, მუშათა კლასმა „აღმოაჩინა“ თვით ლენინი.

როგორც კი გამოჩნდა მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დაწყების პირველი ნიშნები, საერთაშორისო მუშათა კლასმა სწორედ ლენინში იგრძნო თავისი რჩეული ბელადი. თვით ლენინი მუდამ ჟამს თავის თავს სთვლიდა მხოლოდ პირველად მუშებს შორის, რომლებიც პირველ ადგილზე წამოაყენა ისტორიის მიმდინარეობამ. თავისი მოღვაწეობით ის თითქო გვეუბნებოდა ჩვენ:

„მე მხოლოდ ერთი მშრომელი მუშათაგანი ვარ. მე წილად მხვდა დიდი განათლება და ნიჭი. ჩემი მოვალეობაა—თავი მოუყარო ყველა დანარჩენ მუშებს და წავიყვანო ისინი ბრძოლაში“.

ლენინის ეს მთავარი სულიერი განწყობილება ათასი უხილავი ძაფებით, „უმავთულო ტელეგრაფით“ გადადიოდა უპარტიო მუშათა ფართო მასებში. უპარტიო მუშების ფართო მასების სიყვარული, ღრმა ინტიმური სიყვარული ვლადიმერ ილიჩისადმი პირველად ნათლად გამოირკვა განსაკუთრებულის სიძლიერით 1918 წ., როცა ის ესერის ტყვიით დაჭრილი ებრძოდა სიკვდილს. ვის არ ახსოვს მაშინდელი ზღვა რეზოლიუციების განცხადებებისა, რომლებიც დაწერილი იყო თვით მუშების მიერ და ატარებდენ სიყვარულის, პატივისცემის და მადლობის განსაკუთრებულ ელფერს.

მუშათა მასა არ არის გულუხვი ქება-დიდებაზე. უბრალო მუშა, მორცხვია თავისი გრძნობების გამომჟღავნებაში თუგინდ თავისი საყვარელი ბელადის მიმართ. მაგრამ ლენინისათვის ამ უბრალო მუშამ ნახა 1918 წ. ისეთი სიტყვები, რომლებმაც უპარტიო მუშების ზოგიერთი რეზოლიუციები ნამდვილი მხატვრული პროზის ნიმუშებად გადააქცია. ამასვე, უფრო დიდის მასშტაბით ვხედავთ ჩვენ ახლა, როცა ვლადიმერ ილიჩმა სამუდამოთ დახუჭა თვალები. წაიკითხეთ მუშა-ქალის წერილის ნაწყვეტი. უმუშევარი ნიკიფოროვა სწერს:

„ჩვენო ძვირფასო მამა, შენ სამუდამოთ დასტოვე შენი შვილები... ჩვენ ვიცით, ჩქარა დადგება წუთი, როცა მსოფლიოს ყველა ქვეყნებიდან შენს საფლავს შეამკობენ გვირგვინებით. ...არა ზაფხულის დილის ნამი მორწყავს მას, არამედ შენ შვილთა ცრემლები, რომლებსაც ასე უყვარდი შენ და რომლებიც საუკუნოთ შენი ერთგული იქნებიან“.

ვის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ეს სიტყვები არ გამოხატავენ სულიერ განწყობილებას ყველას იმისას, რაც კია საუკეთესო მუშათა კლასში? ასეთი მუშა-ქალის ერთი ცრემლი საუკეთესო ჯილდოა პროლეტარული ბელადისათვის. ის, ვინც ნახა ათეული, ასეული ათასი მუშები, რომლებიც მოწიწებით, დუმილით ელოდებიან რიგში, რომ შევიდნენ „კოლონნის“ დარბაზში და უკანასკნელი პატივი სცენ გარდაცვალებულს,—ის ვერასოდის ვერ დაივიწყებს ამ სანახაობას, რომელზე დიდებული არ უხილავს მსოფლიო ისტორიას. ვინც იცის რუსი მუშების დამოკიდებულება ლენინისადმი, მას ეჭვი არ ეპარება, რომ მასწავლებლის სიკვდილზე საპასუხოთ ფართე უპარტიო მასა იტყვის რაღაც განსაკუთრებულ სიტყვას. ჩვენ არ ვიცოდით სწორეთ რა ხასიათის იქნებოდა ეს სიტყვა. ახლა კი ეს უკვე ნათელია.

უპარტიო მუშათა მასა უპასუხებს მით, რომ მასიურად ილტვის იმ პარტიის რიგებისაკენ, რომელიც შექმნა ლენინმა. პეტროგრადსა, [illegible] კიევსა, ხარკოვსა, მოსკოვსა, ივანოვო-ვოზნესენსკსა, დონის ოლქსა და კავკასიაში, [illegible] ჩვენ ვამჩნევთ ერთსა და იმავე მოვლენას: თავს იხრიან რა ლენინის გაუციებელ საფლავის წინაშე, უპარტიო მუშები გადაჭრით აცხადებენ ჩვენი პარტიის რიგებში შესვლის სურვილს. მთელი ქარხნები ადგენენ —ყველა ჩაეწეროს პარტიაში, ან— „გამოარჩიონ უკეთესები და გაგზავნონ ისინი პარტიის რიგებში“. ეს არის განსაკუთრებული მოვლენა. მისი დიდი მნიშვნელობის გადაფასება ძნელია. პარტიამ გულდასმით უნდა შეისწავლოს ეს მოვლენა, შეიგნოს იგი, გამოიყვანოს აქედან სათანადო პრაქტიკული დასკვნები.

„თავის მასწავლებლის წინამძღოლის და რუსეთის კომპარტიის ორგანიზატორის დაკარგვით დაზარალებულებმა ჩვენ გადავსწყვიტეთ რუსეთის კომპარტიის სახელოვან რიგებში შესვლით, შევმატოთ მას ჩვენი უპარტიო ძალა“.

ასე სწერენ ვაზნების ქარხნის უპარტიო მუშები. თუჯის ქარხნის და „მოტომანქანის“ მუშათა საერთო მიტინგზე დაესწრო დაახლოვებით 400 მუშა, რომლებიდანაც 99 განაცხადეს სურვილი პარტიაში დაუყოვნებლივ შესვლის შესახებ. „კრასნი კოჟევნიკის“ ქარხნის იაჩეიკაში შემოვიდა უპარტიო მუშების მრავალი წერილობითი განცხადებანი: „ვინც უფრო მტკიცეა—რუსეთის კომპარტიის რიგებში. ვეცადოთ, რათა ყველაზე უკეთესი მივსცეთ რუსეთის კომპარტიის რიგებს“.

ეს ხმები მოისმის პეტროგრადის და სხვა ქალაქების დიდი ქარხნების უპარტიო მუშების წრიდან. „შეიკრიბა 50 უპარტიო მუშა, გამოჰყო თავის წრიდან ყველაზე მტკიცე ხუთეული და გაგზავნა იგი რუსეთის კომპარტიის რიგებში“.

ასეთი რეზოლიუციები მრავლად შემოდიან. ეს მოძრაობა მხოლოდ იწყება. ამას უნდა დავუგდოთ ყური, ამას უნდა შევუწყოთ ხელი.

ამას წინად დამთავრებულმა საკავშირო პარტკონფერენციამ დაადგინა მახლობელ წლის განმავლობაში მიიზიდოს პარტიის რიგებში არა ნაკლებ ასი ათასი ახალი წევრისა, [illegible] და მხოლოდ დაზგასთან მომუშავეთა წრიდან. [illegible] დადგენილება მიღებული იყო ილიჩის გარდაცვალებამდე. თუ ეს გადაწყვეტილება სწორი და ცხოველმყოფელი იყო 21 იანვრამდე, იგი კიდევ უფრო სწორი და მისაღებია ეხლა. ჩვენ არ ვლაპარაკობთ უპარტიო მუშების ასეულ და ათასეულ რეზოლიუციებზე, რომლებიც მხოლოდ ზოგადად აცხადებენ „რუსეთის კომპარტიის განმტკიცების“ აუცილებლობის შესახებ. ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმ მუშებზე, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ გრძნობის ზეგავლენით აცხადებენ ეხლა ჩვენი პარტიისადმი ერთგულების შესახებ. ჩვენ იჭვი არ გვეპარება იმაში, რომ თუ ამ უკანასკნელ დღეებში „კოლონნის“ დარბაზში შემოსულ ასეულ ათას მუშას წინადადებას მივსცემდით ჩაეწერილიყვნენ პარტიაში, ნახევარზე მეტი ჩაიწერდა აქვე უდიდესი გულწრფელობით. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ მხოლოდ და მხოლოდ იმ უპარტიო მუშების ყველაზე უფრო მტკიცე და [illegible] ნაწილზე, რომელთა დღევანდელი დამოკიდებულება რუსეთის კომპარტიისადმი არის ერთგვარად მომწიფებული და მოფიქრებული. ისეთ დღეებში, როგორსაც განვიცდით ამჟამად, თვითეული ჩვენგანი განსაკუთრებული სიცხადით ხედავს, რამდენად ძლიერია ჩვენი პარტია, რამდენად შეეზარდა და დაუ[illegible] იგი, მიუხედავათ ყველა ჩვენი სისუსტე[illegible] (დამახინჯებული)... უპარტიო მუშათა მასას.

შიშით ვეკითხებით ჩვენ [illegible] ყრილობებზე და კონფერენციებზე: რამდენი გვყავს ჩვენ დაზგასთან მომუშავე პარტიის წევრი? ვაი თუ ძალიან მცირეა ეს ჯგუფი? ხომ არ ვშორდებით ჩვენ მასას? ეს სამართლიანი შიშია. ჩვენ არ ვიქნებოდით ლენინის მოწაფეები, თუ ასეთ საკითხებს არ მივსცემდით ჩვენ თავს და არ შევეცდებოდით თავის დროზე მიგვეღო საჭირო ზომები. მაგრამ ის გამოხმაურება, რომელიც გამოიწვია ლენინის გარდაცვალებამ ასეულ ათას და მილიონიან უპარტიო მუშებში, მაჩვენებელია იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს საკითხი იმის შესახებ, რამდენი დაზგასთან მომუშავე წევრია პარტიაში, არის მეორე ხარისხოვანი საკითხი. ჩვენ ვიყავით და დავრჩებით მუშათა კლასის პარტია, მისი სისხლი და ხორცი.

ჩვენი ქვეყნის მუშათა მასები არ იცნობენ, არ სურთ იცნობდენ სხვა პარტიას, გარდა ვლადიმერ ილიჩის მიერ შექმნილი და აღზრდილი პარტიისა. დეე ჩვენმა პარტიამ სერიოზული ყურადღება მიაქციოს იმ განსაცვიფრებელ მოძრაობას, რომელიც დაიწყო უპარტიო მუშებში უკანასკნელ დღეებში. ჩვენ მთელი ძალღონით უნდა გაუწოდოთ ხელი ამ მოძრაობას. თუ ახლობელ პერიოდში ჩვენ შევსძლებთ ჩვენს პარტიაში ჩავაბათ დაზგასთან მყოფი მუშების ახალი ფენები, ეს საუკეთესო გვირგვინი იქნება ლენინის საფლავზე. მუშების ის ახალი ფენა, რომელიც საჭირო გაცხრილვის შემდეგ შევა ჩვენს პარტიაში, უპარტიო მუშებს [illegible] უკანასკნელ ხანებში შერჩენ[illegible] დაკავშირებით, —ჩვენ დარწმუნებული [illegible], იქნება არა ნაკლებ საიმედო [illegible] კიდევ გუშინ უპარტიო მუშე[illegible] ჯერ ახალი ძალები, ჩვენი პარტიის დახმარებით შესძლებენ შესაფერი გაწვრთნის და მარქსისტული აღზრდის მიღებას და ღირსეულად განაგრძობენ ვლადიმერ ილიჩის მიერ დაწყებულ საქმეს.

ჩვენ გუშინ შემთხვევით ყური მოვკარით ორი მუშის საუბარს.

პირველი: „რას ვიზამთ ჩვენ ახლა უიმისოდ!“

მეორე: „ახლა არც ისე ძნელი იქნება. რას ვიზამდით ჩვენ, რომ ის სამი-ოთხი წლის წინათ მომკვდარიყო?“.

ასე გადააქვთ თავის ენაზე უბრალო მუშებს პოეტის სიტყვები: **„Не говори с тоской: „Их нет“, но с благодарностью: „Были“...** უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს პარტიას, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა შეიგრძნო, როგორც საკუთარი უბედურება. მოკვდა ხალხის საუკეთესო მეგობარი. მაგრამ თავისი სიკვდილით მან ერთხელ კიდევ შეაკავშირა ის კლასი, რომლის მედროშე იყო ის.

უფრო ახლო მუშათა კლასთან—აი ჩვენი პასუხი უპარტიო მუშაკებს შორის დაწყებულ მოძრაობაზე. ჩვენი პარტიის მხოლოდ ასეთი პოლიტიკა იქნება ღირსეული ვლადიმერ ილიჩის ხსოვნის.

გ. ზინოვიევი.

დადგენილება

დემონსტრაციების წესრიგის შესახებ

მსოფლიო რევოლიუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაკრძალვის დღეს.

1924 წ 27 იანვარს.

1. დემონსტრაციებში მონაწილეობის მისაღებად მუშები, მოსამსახურეები და ყველა მოქალაქეები სამხედრო ნაწილებთან, [illegible] ნიზაციებთან და სასწავლებლებთან ერთად იკრიბებიან თავ[illegible] რაიონებში პლაკატებით, სამგლოვიარო დროშებით და პროცე[illegible] დაწყებამდე იკავებენ შემდეგ ადგილებს:

1 რაიონი—მწკრივდება პლეხანოვის პროსპექტზე, მუშტაი[illegible] მიმართულებით, იწყება კინო „აპოლო“-სთან.

2-რე რაიონი—მწკრივდება პლეხანოვის პროსპექტზე, კირკი[illegible] ქუჩაზე და ვერის დაღმართზე, იწყება „ზემელის“ აფთიაქთან, არ გადადის ლენინის ქუჩაზე.

მე-3-ე რაიონი—მწკრივდება 19 თებერვლის ქუჩაზე და ციციანოვის აღმართისაკენ, იწყება კარლ მარქსის ძეგლთან.

მე-4-ე რაიონი—მწკრივდება რუსთაველის პროსპექტზე, იწყება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან.

რაიონებს ხელმძღვანელობენ რაიონული მდივნები ამავე რაიონის სამხედრო ორგანიზაციის ჯგუფის უფროსთან ერთად.

რაიონები ჩამწკრივებული უნდა იყვნენ სრულ 12 საათზე.

ქალაქის მილიციის უფროსმა ცენტრალურ კომისიასთან კავშირის დასაჭერად თვითეული რაიონის მდივნის განკარგულებაში დანიშნოს 3 ცხენოსანი. 4 საათზე გარნიზონის უფროსის განკარგულებით მოხდეს სალიუტი ზარბაზნებიდან. რაიკომების მოგროვებისას ტფილისის აღმასკომის განკარგულებით თავისუფლების მოედანზე მოეწყოს ტრიბუნა და მორთულ იქნეს ის სათანადოთ.

1 საათზე რაიკომებმა დაიწყონ სვლა შემდეგი მარშრუტით:

სვლას იწყებს მე-3-ე რაიონი, მიდის ვორონცოვის ხიდით პუშკინის ქუჩისაკენ, შტაბის ქუჩით თავისუფლების მოედნის გავლით, დაეშვება სომხური ბაზრისაკენ, მიდის რაიონთან და დაიშლება.

შემდეგ მას მიჰყვება მე-4-ე რაიონი: სასახლის ქუჩით გაივლის თავისუფლების მოედანს. ველიამინოვის, სერგეევის, ტროცკის, სასამართლოს, გრიბოედოვის ქუჩებს და დაიშლება.

მეოთხე რაიონის შემდეგ დაიძრება მე-2-ე რაიონი, მიდის თავისუფლების მოედანით, დაეშვება პუშკინის ქუჩით კარლ მარქსის ძეგლისაკენ, მიდის პლეხანოვის პროსპექტით და დაიშლება.

მეორე რაიონს მიჰყვება 1-რაიონი იმავე მარშრუტით კარლ მარქსის ძეგლამდე და შემდეგ ჩერქეზიშვილის ქუჩით მიდის თავის რაიონისაკენ, სადაც დაიშლება.

26 იანვარს დილის 8 საათიდან შეწყდეს ყოველგვარი მოძრაობა ქალაქში (ტრამვაის, ავტომობილების, ეტლების და სხვ.) დაკეტილ იქნეს ყოველგვარი სავაჭრო და სხვა დაწესებულებები, წყალსადენის, ელექტრონის სადგურების, საავადმყოფოების, მორიგე აფთიაქების, ტელეგრაფის და ტელეფონის გარდა. კომისიის განკარგულებაში დატოვებული იქნეს მორიგე მანქანების სათანადო რაოდენობა, რომელთაც უნდა ჰქონდეს საგანგებო მანდატი კომისიისაგან. უკანასკნელი მუხლის შესრულება და აგრეთვე ყოველგვარი წესრიგის დაცვა ქალაქში ევალება ქ. კომენდანტს და ქ. მილიციის უფროსს.

დემონსტრაციებში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო თვითმფრინავები.

ცენტრალური კომიტეტის შენობიდან ერთი საათით ადრე რაიონებიდან მსვლელობის დაწყებამდი, გამოტანილი იქნება ამხ. ლენინის სურათი [illegible]. პროფკავშირების, კომკავშირის, ცენტრალური კომიტეტის, ტფილისის კომიტეტის და სხვა ორგანიზაციების დელეგაციების თანხლებით.

დელეგაციები ამხ. ლენინის სურათით მიემართებიან თავისუფლების მოედნისაკენ.

მთელი პასუხისმგებლობა დელეგაციის მსვლელობისათვის ამხ. ლენინის სურათით, ეკისრება ამხ. ანტრატოვს, რომელსაც უნდა მიმართონ მსვლელობასთან დაკავშირებული ყველა საკითხების გამო.

პასუხისმგებლობა რაიონებში დემონსტრაციისათვის ეკისრება შემდეგ ამხანაგებს:

1-ლი რაიონი ამხ. **გოლდბაუმი და ტობენსკი.**
2 „ „ ამხ. **მაშკევიჩი და მენჩუგოვი.**
3 „ „ ამხ. **ფირალევი და ლეკვტაძე.**
4 „ „ ამხ. **საცკევიჩი და გრიგოლია.**

ცენტრალური კომისია: **ლოლობერიძე, რუბენი, ყურულაშვილი.**

დღეს, 4 საათზე

დასაფლავების დღე.

მოსკოვი. 26 იანვარი. ლენინის დასაფლავება მოხდება კვირას, 27 იანვარს, 4 საათზე.

სალიუტი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

მოსკოვი. 26 იანვარი. კვირას 27 იანვარს ამხ. ლენინის კუბოს საფლავში ჩაშვების დროს, სრულ 16 საათზე (4 საათზე) მოსკოვის დროით უნდა მოხდეს ერთსადაიმავე დროს სალიუტი საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე.

საყვირის ხმა სამი წუთით.

მოსკოვი. 26 იანვარი. კავშირის მთელი ტერიტორიის ფაბრიკებში და ქარხნებში სალიუტი მოხდება საყვირით სამი წუთის განმავლობაში.

მუშაობის შეწყვეტა 5 წუთით.

მოსკოვი. 26 იანვარი. დღის 4 საათზე კავშირის მთელ ტერიტორიაზე 5 წუთით მუშაობა წყდება ყველა წარმოებებში, რომლებიც მათი მუშაობის ხასიათის მიხედვით კვირაობითაც ეწევიან მუშაობას და ტექნიკური პირობების გამო შესაძლებელი იქნება მათი შეჩერება. ჩერდება აგრეთვე ყოველგვარი ტრანსპორტის (წყლის, რკინისგზის და სხვ.) მოძრაობა.

საბჭოთა კავშირის ცაკის კომისიის თავმჯდომარე:
25 იანვარი 1924 წ. **ძერჟინსკი.**

ამხანაგი

ლენინი გარდაიცვალა. ჩვენ ვერასოდეს ვეღარ დავინახავთ ამ დიდ შუბლს, ამ საოცხოვო თავს, რომლიდანაც ყოველ კუთხისაკენ გამოკრთოდა რევოლიუციონური ენერგია; ამ ცოცხალ განმჭვრეტელ დაფიქრებულ თვალებს, ამ მაგარ ძლავრ ხელებს; მთელ ამ ბუმბერაზ ჩამოსხმულ ფიგურას, რომელიც იდგა კაცობრიობის განვითარების ორ ეპოქათა საზღვარზე დაინგრა ცენტრალური სადგური პროლეტარული აზროვნების ნებისყოფის და გრძნობის, რომლებიც უშრეტი ნაკადით მიედინებოდენ მილიონ მავთულებზე ჩვენი პლანეტის ყველა კუთხისაკენ, სადაც კი ძგერს მუშის გული, სადაც იჭედება დიდი კლასის შეგნება, სადაც ილესება მისი განმათავისუფლებელი ბრძოლის იარაღი.

ძვირფასი დაუვიწყარი, დიდი ამხანაგი ლენინი იყო და დარჩება საუკუნოდ ერთად ერთი და განუმეორებელი. ბუნებამ და ისტორიამ ჩააქსოვეს მასში უდიდესი ნიჭის, ზეადამიანური ნებისყოფის, პირადი სიმამაცის და იმ იშვიათი ადამიანობის შესანიშნავი კვანძი, რომელიც მხოლოდ რჩეულებს ახასიათებს. ერთად თავმოყრილმა ძალებმა მოგვცეს ჩვენ ვლადიმერ ილიჩი; გენია ლენინი იყო უწინარეს ყოვლისა წინამძღოლი, ისეთი წინამძღოლი, რომლითაც ისტორია აჯილდოებს კაცობრიობას ერთხელ საუკუნეში, რომელთა სახელებით აღნიშნავენ ეპოქებს. ის იყო მასების უდიდესი ორგანიზატორი. როგორც გიგანტი წინ მიუძღოდა ის ადამიანთა მოძრაობას, აძლევდა მას განსაზღვრულ გეზს, ქმნიდა ურიცხვ ადამიანთა ერთეულებისაგან შრომის დისციპლინიან არმიას; მას მიჰყავდა ის ბრძოლაში, და ანადგურებდა მოწინააღმდეგეს; ბრძანებლობდა სტიქიაზე; აშუქებდა თავისი მძლავრი ნიჭის პროჟექტორით სწორ გზებს და ბნელ კუნჭულებს, რომლითაც მიიმართება რევოლიუციონური მოძრაობა.

რითი იყო ლენინი მილიონების ასეთი გენიალური გამომხატველი. უწინარეს ყოვლისა მისი არაჩვეულებრივი ალღოთი მასების მოთხოვნილებათადმი, თითქოს ლენინს ქონდა რაღაც უცნობი ფართო გრძნობა, რომელიც ნებას აძლევდა მას ყური დაეგდო, როგორ იზრდება მიწაში ბალახი, როგორ ჩურჩულებენ მიწის [illegible], როგორი აზრები ისახება ამ ქვეყნის ურიცხვ მშრომელთა თავებში მხოლოდ მას შეეძლო მოესმინა. ის ყურადღებით უსმენდა ძველი არმიის ჯარისკაცს, განაპირა კუთხის გლეხს, მუშა-მელითონეს. სოფლის მოხუცებულ დედაკაცთან შემთხვევით საუბრის დროს ის ხვდებოდა გლეხობის მაჯისცემას. მიტინგზე მუშის მიერ გამოგზავნილ ბარათით ის — ჩვენი პარტიის ბრძენი — ხედავდა და გრძნობდა როგორი ისახება აზრები მუშათა კლასის თავში. ყოველ ადამიანში ის რაღაც, მისთვის დამახასიათებელ ფორმით, [illegible] ათასეულ ურთიერთობებს, ხედავდა სოციალურ კავშირებს და ხლართულობის კვანძებს, და მის წინ ისახებოდა მილიონიან მასების ცხოვრების სურათი, კლასობრივ ურთიერთობის სურათი უზარმაზარ ქვეყანაში. ლენინს ჰქონდა განსაკუთრებული ნიჭი ადამიანებთან ლაპარაკის, და მათთან ისეთ ინტიმურათ დახლოვებისა, რომ ისინი ფიცხლად [illegible] მას ყველა მათი ეჭვებით, ს ჭირებებით და მოთხოვნილებებით. ყველასთან შეეძლო ლენინს საერთო ენის გამონახვა.

მთელი თავისი არსებით ეზიზღებოდა რა მუშათა კლასის მტრები, მკაცრეთ და გადაჭრით სწყვეტდა რა მათთან ყოველგვარ კავშირს, ლენინს შეეძლო დაერწმუნებია და მოთმინებით განემარტა „თავისიანებისა“ — მებრძოლ შრომის ხალხისათვის ყოველგვარი ეჭვები, იმიტომ სარგებლობდა ლენინი ასეთ განსაკუთრებულ პატივისცემით. ის ხიბლავდა ხალხს. ხალხი მიდიოდა მასთან არა როგორც, თუნდაც პროლეტარულ არმიის უფროსთან, არამედ საუკეთესო ამხანაგთან — მეგობართან, ერთგულ ბრძენ და გამოცდილ მრჩეველთან და ის აკავშირებდა ადამიანებს თავის გარშემო ისეთი ცემენტით, რომლის ჩამორეცხვა არავითარ ძალას არ შეეძლო ვეჭვობ, რომ ისტორიაში შეიძლებოდეს მონახვა ისეთი სხვა წინამძღოლისა, რომელიც ასე ჰყვარებოდეს მის უახლოეს თანამებრძოლებს. ყველა განსაკუთრებული გრძნობით იყვნენ გამსჭვალული ლენინისადმი. სწორედ რომ უყვარდა ის ყველას. არა მარტო აფასებდნენ მის მძლავრ ნიჭს, მის რკინის ხელს. არა, ის თავის თავთან აკავშირებდა ადამიანებს ინტიმური ძაფებით. ის იყო, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ამხანაგი, უდიდესი სიტყვა, რომელსაც აქვს დიდი მომავალი. ასეთივე იქნება ოდესმე დამოკიდებულება ყველა ადამიანებს შორის...

ეს უდიდესი სიმარტივე იყო ლენინის პოლიტიკის მთავარი თვისება. ეს გულუბრყვილო ადამიანების სიმარტივე კი არ არის, არამედ ეს არის გენიოსის სიმარტივე. ის ნახულობდა მარტივ სიტყვებს, მარტივ ლოზუნგებს ურთულეს ამოცანების მარტივ გადაწყვეტას. ლენინისათვის უცხო იყო „დიდგულობა“, „პოზა“, „გრძნობა“. მას ეზიზღებოდა ყველაფერი ეს, და დასცინოდა ძველი დროის ამ წყეულ მემკვიდრეობას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოგვიშორებია თავიდან. ის აფასებდა საქმეს და სასტიკად ილაშქრებდა ცალიერ ლაყბობის წინააღმდეგ. ამასთან ერთად ლენინი ბრძანებლობდა მთელ პარტიას და წინ უძღოდა ყველა მშრომელებს. ის იყო დიქტატორი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. როგორც ღრუბელი ის იწოვდა ცხოვრების ყველა წვეთს, ამუშავებდა მას თავის განსაცვიფრებელ აზროვნების ლაბორატორიაში ასეულ, ათასეულ ადამიანთა გამოცდილებას და ამავე დროს მამაცურ ხელით მიჰყავდა ხალხი, როგორც ავტორიტეტს, როგორც ძლევამოსილ წინამძღოლს. ის არასოდეს არ ეგუებოდა ჩამორჩენილობას, არასოდეს პასიურად არ ახდენდა მოვლენების „რეგისტრაციას“. მას შეეძლო წასვლა მასების წინააღმდეგ თავისი ტემპერამენტის მთელი სიძლიერით. ასეთი უნდა ყოფილიყო მასების ნამდვილი წინამძღოლი.

ამხ. ლენინი სამუდამოდ მოგვშორდა და ჩვენ მოგვშორდა საუკუნოთ. გადავიტანოთ მისადმი სიყვარული მის პირმშო შვილზე, მის მემკვიდრეზე. ჩვენს პარტიაზე დიდ, იცოცხლოს მან მისი სულით, მისი ნიჭით, მისი ნებისყოფით, მისი შეუდარებელ სიმამაცით, მუშათა კლასისადმი ერთგულებით. მაშ ყველამ ისევე ყურადღებით დაუგდოთ ყური მასებს, როგორც ამას სჩადიოდა ლენინი, ჩვენი საერთო წინამძღოლი, ჩვენი ბრძენი მასწავლებელი, ჩვენი საყვარელი, შეუდარებელი ამხანაგი“.

ნ. ბუხარინი.

კაცობრიობის უდიდესი მასწავლებელი

„ჩვენ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავუყენოთ თავის თავს ასეთი ამოცანა: პირველით — სწავლა, მეორეთ — სწავლა, მესამეთ — სწავლა, და შემდეგ კი შევამოწმოთ ის, რომ ეს სწავლა გამოუყენებელი ან მარტო სიტყვით ხომ არ დარჩა.“

ლენინი.

საზოგადოთ ლენინი წარმოდგენილი გვყავს მხოლოდ როგორც უდიდესი რევოლიუციონერი, როგორც დაუცხრომელი მებრძოლი, როგორც პროლეტარიატის და კომუნისტური პარტიის შეუდარებელი წინამძღოლი და ბელადი. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა და მართლაც ლენინმა დაიმსახურა მსოფლიო მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, როგორც უდიდესმა პოლიტიკურმა მოღვაწემ. მან დარაზმა პროლეტარიატი სახელმწიფო [illegible] ლების დასაპყრობად, მან დაუკავშირა პრო[illegible] უღარიბესი გლეხკაცობა; [illegible] და აჩვენა პოლიტიკური ბრძოლის საშუალებები და მეთოდები, მან მოგვცა რევოლიუციონური ბრძოლის ტაქტიკა და სტრატეგია, რაც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში არა ერთხელ იქნა დაცდილი და რამაც მოგვცა შესანიშნავი შედეგები. ყველაფერი ეს მართალი და შეურყეველია.

მაგრამ აქ ჩვენ ერთ მხარეს ვივიწყებთ: ჩვენ ნაკლებათ ვლაპარაკობთ ლენინზე, როგორც ნამდვილ მასწავლებელზე, როგორც კაცობრიობის უდიდეს მოძღვარზე. როგორც ხალხის ფართო მასების მწრთვნელს და მასწავლებელს ლენინს ბადალი არა ჰყავს. იგი წვდება არა თუ ხალხის [illegible] უფრო შეგნებულ ნაწილს, არამედ სრულიად შეუგნებელ და გონებაგანუვითარებელ მუშებს და გლეხებს თითოეული მისი სიტყვა ხვდება იმათ გულს და იმათ გონებას. იმიტომ რომ ლენინი ზედმიწევნით იცნობს უბრალო ხალხს, უბრალო შავ მუშებს და ღარიბ ღატაკ გლეხებს, მან იცის იმათი სულისკვეთება, იმათი გასაჭირი, რადგანაც იგი მათთან [illegible] დგას [illegible] ერთ თავის წერილში ლენინი [illegible] ამბობს: „იგი თავისი [illegible] ისტორიაში გადადის, იგი ორგანიულად შეკავშირებულია ხალხის ცხოვრების ძირითად ძალებთან, იგი გამოსახავს რუსეთის პროლეტარიატს“. და ეს სრული სიმართლეა.

ლენინი აჩვენებს ხალხის ცხოვრებაში ისეთ მხარეებს და ისეთ მოვლენებს, რომლების შემჩნევა მხოლოდ უბრწყინვალეს და გენიოს ადამიანების ძალუძთ. მან [illegible] იცის, თუ [illegible] მუშას და იმათ [illegible] თუ როგორ მიმართოს სოფლის ღარიბ ღატაკ გლეხს. იგი ჩვეულებრივ აგიტაციას კი არ უწევს, იგი მათ რჩევა დარიგებას აძლევს და ასწავლის, თუ როგორ უნდა იმოქმედონ, ან როგორ უნდა იბრძოლონ.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ხასიათი აქვს ლენინის მოხსენებებს, წერილებს და სიტყვებს განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როცა სახელმწიფო მართვა გამგეობას სათავეში უდგას თვით მშრომელი ხალხი, ქალაქის და სოფლის მუშები. აქ ერთი უდიდესი სიძნელე გადაეღობა წინ საბჭოთა ხელისუფლებას, სახელდობრ ხალხის დიდი უმრავლესობის წერა-კითხვის უცოდინარობა. ლენინს ეს გარემოება ყველაზე მეტათ აფიქრებდა, და ამიტომაც იყო, რომ უკანასკნელ ხანებში იგი ისე წერილს არ დასწერდა და სიტყვას არ იტყოდა, რომ ამ დიდ ნაკლზე, ამ უდიდეს სიძნელეზე არ მიეთითებია და მისი თავიდან ასაცილებელი საშუალებანი არ ეჩვენებია.

როდესაც მძვინვარებდა მეფის თვითმპყრობელობა და მუშათა კლასს სულს უხუთავდა, ლენინი გვასწავლიდა და გვიხსნიდა, თუ როგორ უნდა შევბრძოლებოდით ამ სულთამხუთავ წესწყობილებას, თუ როგორ უნდა დაგვენგრია ის; როდესაც დადგა დრო პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების დასაპყრობად, მაშინ იგი გვასწავლიდა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით ასეთი დროს, როდესაც პროლეტარიატმა დაიპყრო სახელმწიფო ძალაუფლება და შეუდგა ამ ყველაზე უძლიერესი იარაღის მთელი მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად, და როდესაც მას ყოველი მხრიდან, როგორც შიგნიდან, ისე გარედან შემოესივნენ ურიცხვი მტრები და დაუწყეს მას წიწნა და გლეჯა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების და თვით რუსეთის მუშათა კლასის ბედი ბეწვზე ეკიდა და როდესაც მრავალი მებრძოლი სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, აი ასეთ აუწერელი და ენით გამოუთქმელ გასაჭირის დროს ლენინი გამოდის, როგორც გაუტეხელი სალი კლდე, როგორც ფოლადი და ითვალისწინებს გამარჯვების ახალ საშუალებებს, ახალ გზებს, იძლევა რჩევა დარიგებას, გვამხნევებს და გვასწავლის, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ გაბოროტებულ მტერს, თუ როგორ უნდა მოვიპოვოთ გამარჯვება. შემდეგ, როცა ურიცხვი მტრები სანახევროდ მაინც ძლეულ იქნენ, და მშვიდობიანი ცხოვრება და აღმშენებლობითი მუშაობა უნდა დაწყებულიყო, პროლეტარიატის ხელისუფლებას თავს დაატყდა ურიცხვ უზარმაზარი სტიქიური უბედურება — უდიდესი მოუსავლიანობის სახით, და მუშათა კლასის ხორცი ხელისუფლების წინაშე კვლავ საფრთხე გაჩნდა და ამავე დროს ვეებერთელა 6 მილიონიანი ჯარის ხალხში გაშვება (დემობილიზაცია) არ ყოფნიდა არც გადასაზიდავი საშუალებანი, არც ჩასაცმელ-დასახურავი, არც საზრდო სურსათი. ვერავითარი მთავრობა ვერ აიტანდა და ვერ გაუძლებდა ასეთ გაჭირვებას. ამას თან დაერთო სოფლის მეურნეობის დაცემა, კრიზისი და ამ ნიადაგზე წარმოშობილი [illegible] გლეხკაცობის უკმაყოფილების ნიშნები. ეს შესაძლებელი იყო გადაქცეულიყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის კიდევ მეორე უდიდეს საფრთხედ მაგრამ ლენინი დგას შეურყევლათ თავის ადგილას, იგი ფრთხილად იკვლევს შექმნილ მდგომარეობას და თავის დროზე ართმევს მას ალღოს. იგი ჩქარა პოულობს ახალ გზას, ახალ გამოსავალს, იგი დროზე აკმაყოფილებს გლეხკაცობის არსებით მოთხოვნილებას. მაგრამ ამ ახალი გზის ცხოვრებაში გატარება განა ადვილი საქმე იყო? აქ გარდა მის უდიდეს ავტორიტეტისა საჭირო იყო ბრწყინვალე ის გენიოსური მიდგომა, რომელიც მხოლოდ ლენინს ჰქონდა. დაიწყო აღმშენებლობითი ხანა, მუშაობა ეკონომიურ ფრონტზე, ქალაქის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღდგენა და განახლება. გამოაშკარავდა, რომ აქ ძლიერ ვკოჭლობდით, კოჭლობდენ ხელმძღვანელი ორგანოები, პარტია, პროფესიონალური ორგანიზაციები და სხვ. კომუნისტი-მუშები შეუდარებელი მებრძოლნი და რევოლიუციონერები გამოდგნენ, მაგრამ უვარგისი მცოდნენი სამეურნეო დარგში; აქ უბედურებას ამწვავებდა კიდევ ის გარემოება, რომ ამაში გამოტეხა, ამის ცნობა არავის არ უნდოდა ვის შეეძლო ეს [illegible], რომ მით თავიდან აგვეცილებინა ხელახალი უბედურება და განსაცდელი? ეს იყო მხოლოდ ლენინი იგი, როგორც ნამდვილი მასწავლებელი და მამა, გვასწავლიდა, რომ ნუ იქნებით, თუ თქვენ არ იცით წარმოების მოწყობა. არ იცით ვაჭრობა, ვინაიდან ყოველივე ეს თქვენ არ გისწავლიათ წინეთ, და არც საშუალება და არც დრო [illegible], რომ თქვენ ეს თავის დროზე გესწავლათ, და ამიტომ ჩადიხართ შეცდომებს. მა რამ ასე გაგრძელება დაუშვებელია ეს იქნება მიუტევებელი დანაშაული; ჩვენ გვჭირდება სწავლა, უნდა გავეცნოთ წარმოების მოწყობას, ორგანიზაციას და უნდა შევისწავლოთ მოგებით ვაჭრობა და სხვადასხვა.

სულ უკანასკნელ დროს, სამწუხაროდ ლოგინად ჩავარდნის წინ, ამ 10—11 თვის წინ ლენინს აწუხებდა ყველაზე უფრო ჩვენი სახელმწიფო აპარატის ნაკლულევანებანი. მიუხედავად იმისა, რომ მისი ორგანიზმი დაავადებული იყო და იგი ნახევრად დამბლადაცემული ლოგინად იყო ჩავარდნილი, მისი გონება და ტვინი მაინც მუშაობდა და უკანასკნელი მისი წერილი „უკეთესია ცოტა, მაგრამ უკეთესი“, რომელსაც 1923 წ. 2 მარტის თარიღი აქვს, ცხოვრების ჭეშმარიტებათა კრებულია, ამოღებული გამოცდილებიდან, პრაქტიკიდან. ასეთი ფრაზები, როგორც, მაგ. „უკეთესია რიცხვით ნაკლები, მაგრამ თვისებით უკეთესი“, ან „უმჯობესია ორი წლის ან კიდევ სამი წლის შემდეგაც, ვინემ ჩქარობით, სრულიად უიმედოთ [illegible] საჭირო შედეგი“ და სხვადასხვა, უნდა დიდი ასოებით ამოჭრილ იქნენ კედლებზე ყველა სახელმძღვანელოთ.

საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაცია — ეს სავსებით ლენინის ნიჭის ნაწარმოები და შექმნილია. მან შთაბერა სული არა თუ თვით საბჭოთა როგორც ასეთს, არამედ მის ცალკე ორგანოებსაც და იგი მუდამ და განუწყვეტლივ გვასწავლიდა, თუ როგორ მოგვევლო [illegible]თვის, ან თუ როგორ უნდა ვაუმჯობესოთ ისინი მუდამ და შეუწყვეტლად.

მაგრამ ლენინის განუზომელი გავლენა სრულებით არ ისაზღვრებოდა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის ჩარჩოებით. მისი გავლენა უფრო დიდი ხანია გადასცდა აქ საზღვრებს და მან მიაღწია აზიის, ავსტრალიის, აფრიკის ხალხებამდე, რომლებიც წელში მოღუნული იწნიხებიან ევროპა-ამერიკის იმპერიალიზმის სიმძიმის ქვეშ. იგი შეიქნა ნამდვილი მასწავლებელი და გზის მაჩვენებელი მთელი დატანჯული და დაჩაგრული კაცობრიობისათვის. თითოეულ მის სიტყვას, თითოეულ მის წინადადებას გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს მთელი კაცობრიობა. იგი იყო მსოფლიოს ბელადი, მსოფლიოს მასწავლებელი, და დარჩება ასეთი.

ლენინი არ ეკუთვნის ერთ რომელსამე პარტიას ან ერთ რომელსამე ხალხს, იგი სამართლიანად ეკუთვნის მთელ კაცობრიობას.

ლენინი ხალხის ცხოვრებაშია განსახიერებული, მისი ნააზრევი [illegible] ქცეული.

მშრომელო ხალხო, მუშებო და გლეხებო! მართალია, ლენინი დადუმდა, მისი ტვინი აღარ მუშაობს და აღარ იძლევა ახალ-ახალ აზრებს, მაგრამ რაც მოგვცა და რაც დაგვიტოვა მან, სავსებით საკმარისია თქვენთვის, თუ საითკენ უნდა მიმართოთ თავისი მოქმედება. შეისწავლეთ და შეითვისეთ ის, რასაც გასწავლიდათ თქვენ ეს დიდი ადამიანი, მეგობარი და მფარველი ყველა ჩაგრულთა და შევიწროებულთა კარგად ჩაიბეჭდეთ თქვენს გულში მისი ანდერძი.

ფ. მახარაძე.

ამხ. ლენინის წერილებიდან



ძვირფასო ამხანაგო!

თქვენ არ ეთანხმებით (оспариваете) ჩემს შენიშვნას ამ იმპერიალისტური ომისაც ნაციონალურ ომათ გადაქცევის **შესაძლებლობის** შესახებ.

თქვენი საბუთი? „ჩვენ იძულებული ვიქნებით დავიცვათ იმპერიალისტური სამშობლო“.

სად არის ლოღიკა? თუ დარჩება „იმპერიალისტური სამშობლო“, მაშინ როგორ იქნება ნაციონ[illegible]

ლაპარაკი „[illegible]“ შესახებ, ჩემის აზრით, თეორეტიულად შეცდომ[illegible] შეტანილი რადეკის მიერ ი — ლის თეზისების მეხუთე § ში.

მარქსიზმი სდგას ფაქტების და არა შესაძლებლობათა ნიადაგზე

მარქსიზმმა თავის პოლიტიკას საფუძვლათ უნდა დაუდვას **მხოლოდ** სისწორით და უდავოთ დამტკიცებული ფაქტები.

ასე არის ჩვენს (პარტიულ) რეზოლიუციაშიც.

როცა მის ნაცვლათ გვიმასპინძლდებიან „შეუძლებლობით“, მე უპასუხებ: ეს არ არის მართალი, არ არის მარქსისტული, შაბლონიურია. შესაძლებელია ყოველგვარი გადაქცევა (превращения)

და მე მომყავს ისტორიული ფაქტები (1792—1815 წწ. ომები), ვიღებ მაგალითით ახლაც ასეთის შესაძლებლობის საილიუსტრაციოდ (უკან განვითარების დროს).

ჩემის აზრით **თქვენ** ურევთ შესაძლებელს (რომლის შესახებაც მე არ დამიწყია ლაპარაკი!!) რეალურთან, როცა ფიქრობთ, რომ შესაძლებლობის აღიარება გვაძლევს ნებას შევცვალოთ ტაქტიკა. ეს უდიდესი ულოღიკობაა.

მე შესაძლებლად ვცნობ, რომ ს. დ გადაიქცევა ბურჟუად და პირიქით.

უდავო ჭეშმარიტებაა. გამომდინარეობს კი აქედან, რომ მე ამ ბურჟუას, პლეხანოვს, ახლა ვაღიარებ ს-დ? არა, არ გამომდინარეობს. შესაძლებლობის მხრივ? დაუცადოთ მის სინამდვილეთ გადაქცევას.

ეს არის და ეს. სწორედ „მეთოდოლოგიაში“ (რომლის შესახებაც თქვენ სწერთ) შესაძლებელი უნდა გავარჩიოთ არსებულისაგან.

შესაძლებელია **[illegible]** გადაქცევა, თვით სულელის გადაქცევა ჭკვიანათ (ვიტყოდი მე ტროიანოვსკის, აშკარა სულელს, რომელმაც, ამბობენ, ხელი ჩასჭიდა ამ ადგილს), მაგრამ **სინამდვილეში** ასეთი გადაქცევა ხდება იშვიათად. და მხოლოდ იმის გამო, რომ აშკარა სულელი „შესაძლებელია“ გადაიქცეს ჭკვიანად, მხოლოდ ამის გამო მე არ დაუძახებ მას ჭკვიანს.

თქვენი გაოცება „ორნაირი“ აღზრდის გამო, ჩემთვის ნათელი არ არის. მე უკვე კონკრეტულად მოვიყვანე მაგალითი (ნორვეგია) და „პროსვ.“ წერილებში კიევსკის წინააღმდეგ.

თქვენ არ იძლევით პასუხს ამაზე! თქვენ იღებთ ბუნდოვან მაგალითს პოლონეთის შესახებ.

ეს „ორნაირი“ აღზრდა კი არ არის, არამედ სხვადასხვა საგნების მიყვანა ერთ მნიშვნელამდი, მიყვანა ერთ მოსკოვამდი ნიჟნიდან და სმოლენსკიდან.

შვედი ს. დ., რომელიც არ უჭერს მხარს ნორვეგიის ჩამოშორების თავისუფლებას, არამზადაა. თქვენ ამას ეთანხმებით. ნორვეგიელი შესაძლებელია მომხრეც იყოს გამოყოფის და წინააღმდეგიც სავალდებულოა ასეთი საკითხის გამო ყველა ქვეყნების ყველა ს. დ აზრთა ერთობა? არა. ეს იქნება შაბლონი, სასაცილო შაბლონი, სასაცილო პრეტენზია.

პოლონელ ს დ (მე ამ საკითხის შესახებ ვწერდი „პროსვ“) ჩვენ არასოდეს არ ვდებდით ბრალს იმაში, რომ ისინი პოლონეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არიან.

უბრალო, ნათელი, თეორეტიულათ [illegible] არგუმენტაციის ნაცვლად: არ შეიძლება ასეთი დემოკრატიული მოთხოვნილებისათვის ([illegible]) [illegible] **სრულიად** ერთ რომელიმე იმპერიალისტურ სახელმწიფოს ანტ კოალიციას,

ეს უდავოა, ეს კმარა; ეს საჭირო და საკმაოა!

— ამის ნაცვლად ისინი მივიდენ აბსურდამდი „განუხორციელებლობია“.

ჩვენ დავსცინეთ ამას 1903 წ. და 1916 წ. აპრილში.

ჩვენმა პოლონელმა ს.-დ., თითქმის, დაამტკიცეს პოლონეთის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შეუძლებლობა... იმპერიალისტმა ჰინდენბურგმა შეუშალა ხელი: აიღო და განახორციელა.

რა სასაცილო დოქტრინერობამდი მიდის ხალხი, რომელთაც სურთ (კრაკოვის თვალსაზრისით) გაალრმაონ (თუ აბსურდამდი მიიყვანონ) „ეკონომიური“!! (**углубить или углупить? экономическое**).

პოლონელი ს-დ მივიდენ „Staatenbau“-ს უარყოფამდი!! განა მთელი დემოკრატია „Statenbau“ არ არის? ჰოლანდიის ინდოეთის დამოუკიდებლობა, რომელსაც მოითხოვს გორტერი არ არის „Staatenbau“?

ჩვენ მხარს უჭერთ ჰოლანდიის ინდოეთის ჩამოშორებას. ჰოლანდიის ინდოეთის ს-დ. მოვალეა ჩამოშორების მომხრე იყოს? აი თქვენ კიდევ ერთი მაგალითი თითქო „ორნაირი“ აღზრდის!!

ომი არის პოლიტიკის გაგრძელება ბელგია კოლონიალური ქვეყანა არის, — მეჯილობთ თქვენ მაგრამ, ხუ თუ ჩვენ ვერ შევძლებთ იმის გამორკვევას, **რომელ** პოლიტიკას განაგრძობს ეს ომი, ბელგიის მონათმფლობელობის თუ ძველ ბელგიის განთავისუფლების პოლიტიკას??

ვფიქრობ, რომ შევძლებთ. და თუ ვინმე შესცდება, ეს იქნება **ფაქტის** საკითხი.

ხომ არ შეიძლება ნაციონალური ომების „აკრძალვა“ (რაც სურს რადეკს), იმის შიშით, რომ [illegible] ხალხმა ან გაიძვერებმა იმპერიალისტური ომი ისევ არ დაასალონ ნაციონალურ ომათ?? ეს სასაცილოა, მაგრამ რადეკის მიხედვით ასე გამოდის.

ჩვენ ნაციონალური აჯანყების **წინააღმდეგი** კი არ ვართ, არამედ **მომხრე** ეს ნათელია და ამის იქით წასვლა შეუძლებელია: კონკრეტულად გავარჩიოთ თითოეული შემთხვევა, შესაძლებელია არ მივიღოთ 1863 წ. სამხრეთ ამერიკის აჯანყება „ნაციონალურ აჯანყებათ“...

ენგელსის წერილი გრიუნბერგის არქივიდან მე მქონდა, მაგრამ გრიგოლს გაუგზავნე. მივიღებ მისგან და **გამოგიგზავნით** თქვენ.

მხურვალე სალამი.

თქვენი ლენინი.

ნ. კ. ძლიერ მთხოვს გადმოგცეთ მისი სალამიც.

ამხ. ლენინის ზემომოყვანილ წერილის ისტორია ასეთია:

1916 წ. ბოლშევიკურ წრეებში საზღვარგარეთ გაჩაღდა კამათი ნაციონალური საკითხის შესახებ. ეს კამათი განსაკუთრებით გაძლიერდა იმის შემდეგ, რაც „სოციალ დემოკრატის კრებულის“ № 1-ში გამოქვეყნდა ამხ ლენინის ცნობილი თეზისები „სოციალისტური რევოლიუციის და ერების თვითგამორკვევის“ შესახებ და თეზისები („იმპერიალიზმი და ნაციონალური ჩაგვრა“), რომელიც ეკუთვნოდა „გაზეტა რაბოტნიჩეი“-ს, პოლონეთის სოციალ დემოკრატიის საოლქო გამგეობის ორგანოს რედაქციას. ყველა ეს თეზისები გამოქვეყნდა გერმანულ ჟურნალში „Vorbote“-ში, რომელიც ლენინის რედაქტორობით გამოდიოდა.

პოლონელ ამხანაგებთან ერთად, ჩვენს წინააღმდეგ, ლენინელების წინააღმდეგ, გამოდიოდა მაშინ აგრეთვე ჯგუფი „ვპერიოდ“ (ლუნაჩარსკი, [illegible] და სხვ.) ერთიერთ კრებაზე ჟენევაში, 1916 წ. შემოდგომაზე, მე მომიხდა საკმაოთ მკაცრად გალაშქრება ლუნაჩარსკის წინააღმდეგ, რომელიც გვეკამათებოდა ჩვენ ნაციონალურ საკითხში. ერთ წერილში ამხ. ლენინისადმი მე ავუწერე მას (მაშინ ის ბერნში ცხოვრობდა) დისკუსიის მიმდინარეობა ჟენევაში, პასუხად მივიღე სადირექტივო წერილი, რომელსაც დართული ჰქონდა ერთი მისი ჯერ კიდევ დაუბეჭდავი სტატია „ხელთნაწერის უფლებით“ როგორც სწერდა ის. ამის შემდეგ დაიწყო მიწერ-მოწერა ჩვენს შორის.

და აი ერთ ასეთ წერილში მე დავუსვი ამხ. ლენინს კითხვა „სამშობლოს დაცვის“ შესახებ იმპერიალისტურ და ნაციონალურ ომების დროს.

მეორე ინტერნაციონალის დამარცხებამ, ღალატმა ოპორტუნისტურ ს.-დ. პარტიების მხრივ, რომლებმაც მასები ურთი-ერთის გასაჟლეტად წაიყვანეს „სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგით, იმდენათ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე (როგორც სხვა ამხანაგებზე), რომ მე ეჭვი შევიტანე ამ ლოზუნგის პრაქტიკულ მიზანშეწონილობაში თვით შესაძლებელი ნაციონალური ომების დროსაც.

ჩემი ეჭვები გავუზიარე ამხ. ლენინს და ამის პასუხად მივიღე ზემოთ მოყვანილი წერილი.

ამხ. ლენინი სხვათაშორის იხსენიებს იქ თავის წერილს კიევსკის წინააღმდეგ. (კიევსკი—ამხ პიატაკოვის ფსევდონიმია) ეს სტატია, რომელიც მე ზემოთაც მოვიხსენიე, გამოგზავნა ამხ. ლენინმა იმისათვის, რომ გამომეყენებია ის „ვპერიოდოვცების“ წინააღმდეგ. მან ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. უდიდესი მწუხარებით მე იძულებული ვიყავი შევრიგებოდი შემდეგ იმ აზრს, რომ ეს სტატია დაიკარგა, რადგან არც საზღვარგარეთ იმ დროში, არც რუსეთში ის არ გამოქვეყნებულა, არ

შესულა არც მის თხზულებათა კრებულში, არც წერილების ცალკე კრებულში ნაციონალური საკითხის შესახებ.

მხოლოდ ამას წინათ, როცა გადავშალე პეტროგრადიდან მიღებული ჟურნალი „ზვეზდა“-ს № 1, მე ვნახე ეს სტატია. მის გამო დაწერილ წინასიტყვაობაში ამხ. ზინოვიევი იუწყება, რომ ეს ხელთნაწერი იპოვა ამხ. შკლოვსკიმ (ქ. ბერნი) და გადაგზავნა პეტერბურგში.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ამხ. ზინოვიევი, წერილს „აქვს უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი კომინტერნისათვის“.

„ზვეზდა“-ს პირველ ნომერში ეს წერილი არ არის მოყვანილი მთლიანად, დასასრული და იბეჭდება.

ტროიანოვსკი, რომლის შესახებაც სწერს ლენინი — წინათ ბოლშევიკი იყო, შემდეგ ის სოციალშოვინისტების (პლეხანოვის და ალექსინსკის ჯგუფი) ბანაკში გადაბარგდა.

გრიგოლი, როგორც მკითხველი მიხვდება, ამხ. ზინოვიევი არის.

„ნ. კ.“ (წერილის ბოლოს) არის ამხ. ლენინის მეუღლის, ნადეჟდა კონსტანტინოვნას ინიციალები.

ამხ. ლენინის წერილები, რომლებიც მე მაქვს, გადაგზავნილი იქნებიან მოსკოვში, „ლენინის სახელობის ინსტიტუტში“.

ნ. კიკნაძე.

ტფილისი, 1924 წ. 26 იანვარი.

ლენინი ბავშვი

ლ ე ნ ი ნ ი

მოკვდა, არა, ის დაეცა ბრძოლის ველზე 26 წლის განუწყვეტელი გმირული, გიგანტიური ბრძოლის შემდეგ! **ვის ებრძოდა ის და რისთვის იბრძოდა?**

— ის ებრძოდა მსოფლიო მუშათა კლასის მტრებს, ებრძოდა მშრომელი კაცობრიობის ექსპლოატატორებს! და ებრძოდა იმიტომ, რომ მთელი კაცობრიობა, ადამიანი მომავალში მაინც „ბედნიერი“ გამხდარიყო.

მისი პირადი „ბედნიერების“ მთავარი და ძირითადი პირობა სწორეთ ეს იყო. იგი თავს „უბედურად“ გრძნობდა, როცა ხედავდა, რომ მისმა და მისი პარტიის ბრძოლამ ჩაგრულ კაცობრიობას „ბედნიერებისაკენ“ მიმავალ გზიდან ყველა [illegible] ვერ ააცილა. [illegible] ...ანის უთვალავი ჩაგვრა ადამიანის ერთნაირათ აუტანელი და შეუწყნარებელი იყო, და აი ამ ჩაგვრის მოსასპობათ იბრძოდა ის!

ჩაგვრა მუშის, ჩაგვრა მშრომელის, ჩაგვრა ერის, ჩაგვრა ქალის, ჩაგვრა პიროვნების ერთნაირათ აშფოთებდა და საბრძოლველად [illegible] თავისუფალ პიროვნებას; და შესწევდა კიდეც ძალა დასახულ მიზნის მისაღწევათ.

ჯერ ისევ ნორჩი ახალგაზრდა იყო იგი, როცა ამ ბრძოლის ბასრ იარაღს გაეცნო და მოინდომა ამ იარაღით ხელოვნებით გადარეოდა ხელჩართულ ბრძოლაში. ეს იარაღი იყო მარქსიზმი, ხელჩართული ბრძოლა იყო მუშათა მოძრაობა, მიზანი — შრომის განთავისუფლება კაპიტალის კლანჭებისაგან.

მან, როგორც შორსმჭვრეტელმა სარდალმა, ნათლად დაინახა, რომ მუშათა ლაშქარი ამ ბრძოლაში საბოლოოთ ვერ გაიმარჯვებს თუ თავდაპირველათ მან მოწინავე პოზიცია — პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება — არ დაიპყრო, არ დაიკავა.

ამიტომ ის გაუძღვა წინ მებრძოლ მუშათა კლასს ლოზუნგით:

პროლეტარიატის დიქტატურა.

მან, ისე, როგორც მარქსმა **მარქსიზმი**, მთელი თავისი ბუმბერაზული გონებით შექმნა მეორე ახალი იდეიური იარაღი — **ლენინიზმი** — და ამ იარაღით აღჭურვა რუსეთისა და ყველა ქვეყნის მებრძოლი მუშათა კლასი.

მარქსიზმი და ლენინიზმი, ეს იდეური მებრძოლის ის ორი ბასრი იარაღია, რომლითაც მსოფლიო მებრძოლი მუშათა კლასი ყველა გადამწყვეტ ბრძოლებში იმარჯვებს და აღთქმულ ქვეყნის, კომუნიზმის კარებისაკენ ტრიუმფით მიიმართება.

მარქსი თავისი იდეურ იარაღს მუშათა კლასის პირველ გამოფხიზლების მიზნისაკენ მიმავალ გზების ძიების ხანაში სჭედდა, ხოლო **ლენინი** კი — მარქსის მიერ აღმოჩენილ, გამონახულ სწორ გზაზე დამდგარ მებრძოლ მუშათა რაზმების გალაშქრების ხანაში.

ამიტომ პირველი — მარქსიზმი — ის საფუძველია და ნიადაგი, რომელსაც ემყარება მუშათა მოძრაობა, ხოლო მეორე — ლენინიზმი — ის ფარ ხმალია, რომლითაც ბრძოლის პროცესში მუშათა კლასი მტრის თავდასხმისაგან თავს იცავს და თან გზას იკაფავს, მტრის რიგებს არღვევს და წინ მიიწევს წინასწარ დასახულ საზღვრებისაკენ.

ჩვენ ყველამ ვიცით ლენინის უკანასკნელი დიდი იდეური ნაწარმოები: „სახელმწიფო და რევოლიუცია“, სადაც ის თავის ბოლოსიტყვაობაში წინასწარ აცხადებს, რომ მან ამ წიგნის შემდეგი ნაწილის წერას პრაქტიკა ამჯობინა და საჭიროთ მიაჩნია სოციალიზმის თეორია ცდებით დაამტკიცოს.

მარქსმა შექმნა სოციალიზმის მეცნიერული თეორია, ხოლო ლენინმა გაიყვანა გზა კომუნიზმისაკენ მიმავალი, შექმნა მეცნიერული სოციალიზმის პრაქტიკა.

მეცნიერული თეორია არის გამოხატულება სტიქიური [illegible] პრაქტიკიდან გამომდინარე შეგნებულ თეორიას შეგნებული პრაქტიკა მოჰყვება ხოლმე. და აი მუშათა მოძრაობის ეს შეგნებული პრაქტიკა გაატარა ცხოვრებაში თავისი პირადი გიგანტიური მოღვაწეობით ლენინმა.

მარქსმა თავის პიროვნულ იდეურ შრომაში აღნიშნა მუშათა კლასის, ე. ი. მასის გადამწყვეტი ისტორიული მნიშვნელობა, ხოლო ლენინმა თავისივე პიროვნული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით კაცობრიობას პრაქტიკაში უჩვენა ამ მასის ისტორიული მნიშვნელობის მოქმედება-მოღვაწეობა.

როგორც ვიცით მარქსი ამბობდა: იდეა მატერიალურ ძალათ ხდება, როცა იგი მასის კუთვნილებათ იქცევაო.

ახლა კი ლენინის ცდამ ნათლად გვიჩვენა ამ თეორიული დებულების საფუძვლიანობა და სინამდვილე.

მაშასადამე მარქსის თეორია ულენინოთ დაუმტკიცებელი დარჩებოდა, ხოლო ლენინი უმარქსოთ თავის ცდას ასე სისწორით და კაცობრიობის საკეთილდღეოთ ვერ მოახდენდა.

ამნაირად კაცობრიობისათვის ეს ორი პიროვნება — მარქსი და ლენინი ერთნაირად საჭირო და ძვირფასია. ორივე პიროვნება ავსებს ერთიმეორეს და ერთ მიზანს ემსახურება.

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანია ეს ორი პიროვნება სწორედ იმ მხრით, რომ ორივემ პირველად კაცობრიობაში სიცხადით დაამტკიცეს პიროვნების, რაგინდ ეს პიროვნება ძლიერი და არაჩვეულებრივი იყოს, უძლურება, როცა კითხვა ისტორიულ-საზოგადოებრივ მსვლელობას ეხება; დაამტკიცეს, რომ ამ მსვლელობაში გადამჭრელ როლს საზოგადოებრივი კლასი (ანუ მასსა) ასრულებს.

ლენინი მარქს-ენგელსთან ერთად სწორეთ იმითი განსხვავდება ყველა ქვეყნის სოციალისტებისაგან, რომ იგი მუშათა მასას პიროვნებების წინ აყენებდა პრაქტიკაში და ამ მასას ყოველთვის უპირატესობას აძლევდა პიროვნების წინაშე, რაგინდ ბუმბერაზი არ ყოფილიყო ეს პიროვნება.

ლენინმა შეასრულა თავისი ისტორიული მისია იმაზე უკეთ, ვიდრე ამას ვინმე მოელოდა; მხოლოდ ჩვენ მისი მოწაფეები დღეს ვწუხვართ მხოლოდ იმაზე რომ მას ეს ტანჯვა ვერ ავაშორეთ. მოკვდა დიადი წინამძღოლი მუშათა კლასისა, მაგრამ თვით მუშათა კლასი განაგრძობს ბრძოლას, ვიდრე ამ წინამძღოლის იდეალს არ განახორციელებს.

რ. კალაძე.

სახალხო მასწავლებელმა უნდა გაამართლოს ილიჩის ნდობა

ამხ. ლენინის ერთერთი უკანასკნელი წერილი, თუ ყველაზე უკანასკნელი არა (ეხლა ძნელია ამის გამორკვევა), იყო „ფურცლები დღიურიდან“, რომელიც გამოვიდა 1923 წ. 2 იანვარს რ. ს. ფ. ს. რ. საბჭოების მეათე ყრილობის შემდეგ; ეს წერილი მიძღვნილი იყო სახალხო განათლების საკითხებისათვის, ის მშვენივრათ ახასიათებს ილიჩის დამოკიდებულებას სახალხო მასწავლებლისადმი და იმ მნიშვნელობას, იმ როლს, რომელსაც აკუთვნებს ის მას ახალი ცხოვრების აღმშენებლობის საქმეში. ყველაზე ძვირფასი, საყვარელი რაც კი აქვს ილიჩს — ეს მშრომელი მასები და ახალგაზრდა თაობა — მას სურს მიანდოს სახალხო მასწავლებელს. ის მოითხოვს ყველასაგან ყურადღებას და სიყვარულს სახალხო მასწავლებლისადმი და მოითხოვს, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მასწავლებელს დაეხმარონ ყველა იმაში, რომ ის ყოველის მხრივ და ნამდვილათ გახდეს მშრომელ მასების მასწავლებელი და ქალაქის პროლეტარული კულტურის გამტარებელი გლეხთა შორის. ამ უკანასკნელით ის ართულებს მასწავლებლის პასუხისმგებლობას, ამით ის აკისრებს მას, ანდობს მას ნაწილობრივ თავისი გენიალური აღთქმის შესრულებასაც: განხორციელებული იქნეს როგორადაც არ უნდა იყოს კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის. ეს ნდობა განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან ილიჩი მეტად ხელმომჭირნე იყო ნდობაზე, მას დასკვნა გამოყავდა მხოლოდ ამა თუ საკითხის დეტალური შესწავლის შემდეგ, წარსულში, მისი დღევანდელი ვითარების ანალიზის შემდეგ, და მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც გასინჯავდა, აწონ-დაწონიდა ყველას და ყველაფერს, ის მიდიოდა ამა თუ იმ დასკვნამდი. ის წინასწარ გრძნობდა, მას არ შეეძლო არ დარწმუნებულიყო იმაში, რომ მშრომელ ინტელიგენციას, განსაკუთრებით მასწავლებლობას, არ შეუძლია არ გამოეთიშოს მშრომელთა მტრებს და გარკვევით და საბოლოოდ არ გახდეს მშრომელი ხალხის მეგობარი და მასწავლებელი. ეს ნდობა უნდა გავამართლოთ. ამხანაგ ლენინის აღთქმები უნდა შევასრულოთ. აუცილებელია თვითონ შევისწავლოთ მარქსიზმი, ლენინიზმი, შევითვისოთ ის და აღვზარდოთ ახალი თაობა რევოლიუციონერებათ — მებრძოლებათ ახალი კომუნისტური საზოგადოების შემომქმედათ. უნდა დავეხმაროთ პროლეტარიატს და გლეხობას, რომ მან დაიპყროს მეცნიერება, შექმნას თავისი კულტურა და მეცნიერული საძირკველი ჩაუყაროს მუშათა და გლეხთა დიქტატურას. „მაკრატელი“ კულტურულ ფრონტზე არა ნაკლებ საგრძნობია, ვიდრე ეკონომიურ ფრონტზე სოფელი, გლეხი, სოფლის მასწავლებელიც-კი, ძალიან ჩამორჩენ კულტურულის მხრივ ქალაქ, მუშას, ქალაქის მასწავლებელს. განათლების მუშაკთა ძალღონით ჩვენ უნდა დავუახლოვოთ ერთმანეთს „მაკრატლის“ პირები და სამუდამოთ მოვსპოთ, უკუვაგდოთ, დავმარხოთ ჩვენი უკულტურობა, სიბნელე და უმეცრება ამ მძიმე დღეებში, საერთო სევდისა, გლოვისა და მწუხარების დღეებში, ჩვენ — განათლების მუშაკებმა მჭიდროთ შევაკავშიროთ ჩვენი რიგები და გულები იმ დიდებულ საქმისათვის, რომელიც გვიანდერძა ჩვენ საერთაშორისო პროლეტარიატის გენიალურმა ბელადმა, ყოველ პატიოსან სახალხო მასწავლებლის გულწრფელმა მეგობარმა ვლადიმერ ილიჩმა.

მარიამ ორახელაშვილი.

დიდი პროლეტარი

ახლად გათხრილი სამარის წინაშე მეტად ძნელია გარდაცვალებულის, როგორც პიროვნების, დაფასება. მით უმეტეს ძნელია ეს მაშინ, როდესაც საქმე დიდ ისტორიულ პიროვნებას ეხება. მაგრამ შეუძლებელი ხდება გარდაცვალებულის დახასიათება, როდესაც იგი არა ჩვეულებრივს მოვლენას წარმოადგენს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ვამბობ მოვლენას და არა პიროვნებას, რადგან პიროვნება ლენინისათვის მეტად ვიწრო კალაპოტია. აქ არ გამოგვადგება არავითარი ლიტერატურული შაბლონი, არავითარი ისტორიული ტრადიცია, ჩვეულებრივი ლოღიკა, თუ გნებავთ ჩვეულებრივი მეცნიერული გამოკვლევა.

ლენინი სული და გული ოქტომბრის რევოლიუციისა, ლენინი ბელადი მსოფლიო პროლეტარიატისა, გენიოსი თეორეტიკოსი და გენიოსი პრაქტიკოსი, ლენინი სიმბოლო კაცთმოყვარეობისა, ლენინი აპოლოგეტი მაშვრალთა და დავრდომილთა განთავისუფლებისა, ლენინი შეუპოვარი მებრძოლი ყოველგვარ ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ლენინი გენიოსი მასწავლებელი, მქადაგებელი და დამამკვიდრებელი ახალი ცხოვრებისა!..

მაგრამ განა ყველა ეს საკმარისია ლენინის დაფასება-დახასიათებისათვის? ყველა ეს ხომ ლენინის მიმართ ბოლოს და ბოლოს შაბლონი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის მეასედიც რომ გაეკეთებინოს ადამიანს, იგი დიდ გენიის პიროვნებად ჩაითვლებოდა.

ლენინი გიმნაზიელი

ლენინმა გახსნა გენიოს მარქსის ალგებრული ფორმულები და მისი ალგებრა არითმეტიკად აქცია: ესეც ხომ საკმარისია გენიის ადამიანისათვის. მაგრამ ლენინის დაფასებისათვის მაინც არ კმარა.

ლენინის გაგება მარტო გონებით, ლოღიკით და თუ გნებავთ გრძნობითაც საკმარისი არ არის. აქ კიდევ სხვა რამ არის საჭირო.

ყოველ დიდ ისტორიულ პიროვნებას, სახალხო გმირს, ასე ვსთქვათ, თან სდევს აუცილებლად დიდი პოპულიარობა. მაგრამ დამისახელეთ ისეთი ისტორიული პიროვნება, რომელსაც ყველგან, სულ მიყრუებულ ალაგას, პატარა ქოხში, სადაც შეიძლება ჯერ სინათლესაც კი არ შეუშუქია, იცნობდნენ ასეთ პიროვნებას? მაგრამ ლენინს კი აქ იცნობენ, ვამბობ „იცნობენ“ და არა „იციან“. შეიძლება აქ რომ ჰკითხოთ თუ რა გაუკეთებია ლენინს, თუ რითაა იგი ცნობილი, — ამაზე ვერ გიპასუხონ, მაგრამ ერთს კი აუცილებლად გეტყვიან: „ლენინი ჩვენია!“ და აი ამ შემთხვევაში სიტყვა: „ჩვენია!“ საუკეთესო და შეიძლება ითქვას ზედმიწევნითი დაფასებაა ლენინისა. აქ არის მასის ინსტინქტი, რომელიც ხშირად გონებაზე უფრო მჭრელი და შორსმჭვრეტია.

და ეს ინსტინქტი, ეს სიტყვა „ჩვენია“ — ნაშობია იქიდან, რომ ლენინმა არა მარტო საძირკველი ჩაუყარა ახალ ცხოვრებას და გვიჩვენა სწორი და გარკვეული გზა სოციალიზმისაკენ, მშრომელთა საბოლოო განთავისუფლებისაკენ, არამედ თვით თავის არსში, თავის ბუნებაში მოახდინა დიდი გარდატეხა. მან შექმნა თავისით ახალი ადამიანი — ადამიანი კოლექტივი. გარეშე კოლექტივის ინტერესისა, გარეშე კოლექტივის გრძნობისა, მისწრაფებისა, ლენინისათვის ცხოვრება არ არსებობდა. ამიტომ იგი ნამდვილად „ჩვენია“. და ამას გრძნობდა მშრომელი მასსა ინსტინქტით.

ლენინისათვის საკმარისი არ იყო ნიჭის, გონების და თვით სიცოცხლის შეწირვა კოლექტივის ინტერესებისთვის, არა — მან მეტი ჩაიდინა: თვით თავისი ბუნება კოლექტივად გარდააქცია, და შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ ჩასახულ ახალ ცხოვრებაში პირველი ახალი, სავსებით ჩამოყალიბებული ადამიანი ლენინი იყო.

ამიტომ ყოველ მშრომელს შეუძლიან სთქვას: „ლენინი ჩვენია და უფრო კი ლენინი ჩემია!“ ასეთ ადამიანს მხოლოდ ისეთი კლასი დაბადებდა და წარმოშობდა, რომელიც თვით თავის არსით კოლექტივიზმის მატარებელია, ე. ი. პროლეტარიატი.

ამიტომ ლენინი ჭეშმარიტი პროლეტარია. ასე იცნობს ლენინს მასა და ამით არის იგი მისთვის ძვირფასი. და მგონია, რომ ლენინისათვის საუკეთესო დაფასება იქნება: „დიდი პროლეტარი ლენინი!“

ა. გედევანიშვილი.

ლენინი გარდაიცვალა, ლენინიზმი მუდამ იცოცხლებს

აღარა გვყავს დიდი მასწავლებელი, ბელადი, გამჭრიახი პოლიტიკოსი, დიდი რევოლიუციონერი. აღარა გვყავს ის ადამიანი, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში უნახავ რევოლიუციას მეთაურობდა და მით მთელი ქვეყნის ყურადღება დაიმსახურა. ულმობელმა სიკვდილმა შესწყვიტა მისი მაჯისცემა და მოადუნა სამუდამოთ მისი სხეული. ამბავი ლენინის გარდაცვალებისა მეხივით გავარდა და ელვისებური სისწრაფით მოედო ყოველ კუთხეს. მისმა გარდაცვალებამ თავზარი დასცა არამც თუ მარტო მის თანამოაზროვნეთ — კომუნისტებს, არამედ ყველა პატიოსან მშრომელთ, რომლებიც სადათ აზროვნებენ და რომელთაც შერჩენიათ მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა. ამ საზარელ მოვლენას ვერ აუხვია გვერდი პარტიის გარეშე მდგომ მშრომელმა ხალხმა და თავისი მწუხარება ოხვრაში გამოსთქვა.

იმ პარტიისათვის კი, რომელიც გამოიჭედა ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით და რომელსაც ამჟამათ დედამიწის ერთი მეექვსედზედ სახელმწიფო აპარატი უპყრია ხელში, განაგებს მშრომელი ხალხის სვე-ბედს, რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია ულენინოთ არსებობა.

როდესაც 1918 წ. 30 აგვისტოს მოღალატე ესერ კაპლანის მიერ დაჭრილ იქნა ამხ. ლენინი და ის ლოგინათ ჩავარდა, მაშინ ამხ. ზინოვიევმა ერთ ერთ კრებაზედ განაცხადა „ლენინი არის კომპარტიის ცხრა მეათედიო“. და მართლაც განა შეუძლია ვინმეს უარყოფა ასეთი დებულების?

ლენინი არამც თუ ცხრა მეათედი, არამედ ის იყო ათი მეათედიც იმ დროს, როდესაც პარტია კრიტიკულ მომენტში ვარდებოდა. მას ხშირათ მარტო უხდებოდა ისეთი კითხვების გადაჭრა, რომელზედაც იყო დამოკიდებული პარტიისა და მუშურ-გლეხური მთავრობის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ბევრი თავისი სხვა ამხანაგების სურვილის წინააღმდეგ, მას გაყავდა ესა თუ ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. და როდესაც ცხოვრება მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ამართლებდა, მაშინ ყველანი მადლიერნი მასთან ბრუნდებოდნენ და კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ. ლენინს არ გამოეპარებოდა არც ერთი წვრილმანი რომ, ის ზედმიწევნით მგრძნობიარე და ჭკუა-მახვილი ადამიანი იყო. მას შესწევდა უნარი გაეკეთებია ის, რის გაკეთებაც შესაძლებელია ადამიანის მიერ. [illegible] უნდა ითქვას, რომ ოქტომბრის რევოლიუცია და მისი გამარჯვებით დაგვირგვინება უნდა მიეწეროს მის გენიალურ ნიჭს და [illegible]. ლენინს უყვარდა პარტიაში [illegible] მწვავე კრიტიკის შეყენება, მაგრამ ამავე დროს შესწევდა უნარი მთლიანობის დაცვისათვის. ლენინის აზრი მოსაწონი და მისაღები რჩებოდა იმ პირთათვის, რომლებიც მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

ლენინში იყო განსახიერებული ისეთი სალი სული, რომ მას შეეძლო გამოეწვია სხვა ადამიანში სულის სიმტკიცე. მიუხედავათ იმისა, რომ ის რამდენიმე ხანია აღარ ხელმძღვანელობდა ჩვენს პარტიას, მუშ. და გლეხთა მთავრობას, მიუხედავათ იმისა, რომ ის ხანდახან უმოძრაო იყო თავის საწოლში, — ჩვენში მისი ხსენება მაინც იწვევდა რაღაც აღტაცებას და იმედებს. ვერ წარმოედგინა ვერც ერთ კომუნისტს, თუ ლენინის მაჯისცემა სამუდამოთ შესწყდებოდა. ყველა ამხანაგები, მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ავადმყოფობით იყო ლენინი შეპყრობილი, მაინც იმედით იყვნენ გამსჭვალულნი. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ის სხეულით მოშორდა სამუდამოდ პარტიას და მშრომელ ხალხს. ზევით ვთქვით, რომ ლენინი იყო ჩვენი პარტიის ათი მეათედი და ის გარდაიცვალა, — მაშ პარტია სადღა არის? ისმება კითხვა. დიახ ლენინი იყო ყველაფერი, მან შექმნა არარაობიდან მტკიცე, ურყევი კომპარტია. იყო დრო, როცა ლენინი იყო ყველაფერი. მაგრამ პარტია შესდგება უამრავი წევრებისაგან და თვითეულმა ამ წევრთაგანმა, განსაკუთრებით კი იმ პირებმა, რომლებიც უშუალოდ ლენინთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში, შეითვისეს ლენინის მოძღვრება. ლენინმა ასწავლა ამხანაგებს, თუ რა დროს არის საჭირო შეტევა და რა დროს უკან დახევა. თვითეული პრაქტიკული ნაბიჯი ლენინის არის გაკვეთილი მომავალი ხელმძღვანელებისათვის. ლენინმა პარტიას გადაალახვია ნარეკლიანი გზა. თუმცა ჯერ კიდევ მრავალი საჭირბოროტო კითხვები დაგვრჩენია გადასაჭრელი, რომლებიც უშუალოდ თვით ოქტომბრის რევოლიუციის შედეგებიდან გამომდინარეობენ და რომელთა სალი გადაჭრა ლენინს უფრო ეხერხებოდა, მაგრამ ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ჩვენი პარტია ულენინობას არ დაიჩნევს და ყოველ მოვლენას სათანადოდ შეხვდება.

ლენინს დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის პარტიის და მუშათა კლასის წინაშე. მისი დაკარგვა ფრიად სამძიმოა ჩვენთვის, მაგრამ თქმა იმისა, რომ ლენინთან ერთად ჩაესვენა მზე კომუნისტური პარტიისაო, ჩვენ არ შეგვიძლია. მართალია, ის იყო მზე კომპარტიის, მაგრამ ის არ დაბნელებულა. ის იდეა, რომელიც სუფევდა ლენინში, უკვდავია. საუკეთესო ძეგლი ამხ. ლენინისათვის იქნება ის, რომ ჩვენი პარტია შეძლებს სიმტკიცისა და მთლიანობის შენარჩუნებას.

პარტიის დღევანდელი ხელმძღვანელები წაიყვანენ პარტიას ძველი, სწორი გზით და ლენინის დროშის ქვეშ, და უფრო მაღლაც ასწევენ მას საერთაშორისო მშრომელი ხალხის [illegible] შევძლებთ ყოველივე ამას, — და ამას უსათუოდ შევძლებთ, — მაშინ მივიყვანთ მუშათა კლასს გამარჯვებამდე, მივალთ ლენინის საფლავზედ და ვეტყვით: „შენ მიერ ნაჩვენები გზით ჩვენ მივაღწიეთ იმ სამეფოს, რომელსაც ეწოდება კომუნიზმი.“

გრიშა ხუნდაძე.

ილიჩი აღარ გვყავს!..

ლენინი მოკვდა, ილიჩი აღარ გვყავს! რადიოს ეს ულმობელი სიტყვები ლახვარივით მოხვდა გულზე საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებს.

მაგრამ ჩვენ ტვინს ღრღნის და გონებას ატრიალებს ეს ცნობა, რომლებიც პირადათ ვიცნობდით ლენინს და მრავალი წლების განმავლობაში მჭიდრო კავშირი გვქონდა ამ ბუმბერაზ ადამიანთან.

ლენინი მოკვდა, ილიჩი აღარა გვყავს! ნუ თუ ამ აზრს უნდა შევურიგდეთ ჩვენ, პატარა ჯგუფი მუშებისა, რომლებსაც გვქონდა ბედნიერება 1901 წლიდან არალეგალურ სტამბებში გვებეჭდა და ასი ათასობით გვევრცელებია მშრომელ მასებში ჩვენთვის ჯერ კიდევ პირადათ უცნობი ლენინის ნაწარმოებები, რომლებიც გვინერგავდენ გულში ბრძოლის დაუშრეტელ უნარს მუშათა კლასის განსათავისუფლებლად!.

ლენინი მოკვდა, ილიჩი აღარა გვყავს, ის ილიჩი, რომლის ხელმძღვანელობით 1905 წელში თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში გადავედით მედგარ შეტევაზე და გავიმარჯვეთ კიდევაც მაშინ, თუმცა დროებით.

აღარ გვყავს ის ლენინი, რომელიც ამ თავისუფლების შესანარჩუნებლათ გააფთრებული იბრძოდა მარჯვნივ და მარცხნივ, ჩვენი ტეხნიკური დახმარებით პეტერბურგში უშვებდა გაზეთს გაზეთზე, რომლებსაც თვითმპყრობელობის ჯალათები ხურავდენ ზედიზედ და კონფისკაციას უშვებოდენ.



ლენინი ტრიბუნაზე



ამხ. ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია საპატიო ყარაულში ამხ. ლენინის სურათთან სასახლის წინ.

აღარ გვყავს ის ლენინი, რომელიც იმავ მოკლე ხნის თავისუფლების დროს ყველასათვის შეუჩნევლათ შევიდოდა ხალხისგან გაჭედილ დარბაზში, ნელნელა წაიწევდა წინ, წყნარათ მოითხოვდა სიტყვას, ავიდოდა ტრიბუნაზე და... დაიპყრობდა აუდიტორიას, რაც უნდა მტრულად განწყობილი ყოფილიყო ის ჩვენი, ბოლშევიკების წინააღმდეგ.

აღარ არის ის ლენინი, რომლის ხელმძღვანელობით 1907 წელში მწყობრათ დავიხიეთ უკან თვითმპყრობელობის შავი ძალებისგან სასტიკათ დამარცხებულებმა, არ მივცემულვართ პანიკას და იატაკ ქვეშიდან ისევ შეუდექით მეფის ტახტის დანგრევის საქმეს.

აღარ გვყავს ის ილიჩი, რომელიც, როგორც უბრალო ტეხნიკური მომუშავე, ჩვენთან ერთად ეზიდებოდა სტამბის მასალას ფინლიანდიაში ერთი ბინიდან მეორეზე. შემდეგ კუოკალიდან გვაწვდიდა გაზეთ „პროლეტარის“-თვის იმდენ თავის ნაწერებს, რომ ჩვენ განცვიფრებაში მოვდიოდით, თუ როდის ასწრებდა ის ამდენ წერას.

როდესაც [illegible] რეაქციის მაღლა [illegible] ფინლანდიის კონსტიტუციას, ჩვენ ვშორდებით ლენინს, — ის მიდის საზღვარ-გარეთ, იქედან ბრძოლის გასაგრძობათ, ჩვენ კი ვბრუნდებით პეტროგრადში ჩუმი მუშაობისთვის.

აღარ გვყავს ის ლენინი, რომელმაც 1909—1911 წლების შავი და ბნელი რეაქციის სიძლიერის დროს შესძლო პარტიის დაქსაქსული რიგებისათვის თავის მოყრა, 1912 წელს გაზეთ „პრავდა“-ს საშუალებით ბრძოლის ყოფნის განახლება და 1914 წლიდან მსოფლიო ომის წინააღმდეგ მედგრად გალაშქრება.

მოკვდა ილიჩი, რომელმაც 1917 წლის [illegible] რევოლიუციის მიერ შექმნილი ილიუზიები გაფანტა და გადმოისროლა ლოზუნგი: ძალა-უფლება მუშების, გლეხების და ჯარისკაცების საბჭოებს, ძალა-უფლება მხოლოდ მშრომელ ხალხს, რომელმაც განიცადა სასტიკი დამარცხება ივლისის დღეებში, მაგრამ უკვე მიჩვეულმა დამარცხების შემდეგ გამარჯვებას, მან არამც თუ დაჰყარა იარაღი, არამედ გაორკეცებული ენერგიით გადავიდა შეტევაზე და ოქტომბერში მუშათა კლასს ჩააბარა ხელში ძალა-უფლება.

აღარ არის ლენინი, რომელმაც სამოქალაქო ომებიდან გამოგვიყვანა ბრწყინვალედ გამარჯვებული და მუშებს, გლეხებს და წითელარმიელებს შეანარჩუნა ძალა-უფლება, რომლის ხელიდან გამოგლეჯა ეხლა არ ძალუძს არავითარ ძალას.

აღარ არის ის, რომელმაც კომუნისტურ ინტერნაციონალში დარაზმა მსოფლიოს პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამოიწვია ყველა ქვეყნის შავი ძალები, რომლებიც ძრწოდენ მისი სახელის გაგონებაზე.

მოკვდა ჩვენი ბუმბერაზი ბელადი, აღარ გვყავს ის, და [illegible] ტვინს გვიღრღნის და [illegible] ლებს.

ჩვენს ღრმა მწუხარებას ზედ ერთვის ის გარემოება, რომ ბუნების [illegible] კიდევ დაუმორჩილებელმა ძალამ ნება არ მოგვცა სასწრაფოთ გადაგველახა დიდი მანძილი და უკანასკნელად გამოვთხოვებოდით ჩვენი საყვარელი ილიჩის ცხედარს.

მაგრამ მანძილის სივრცე ხელს ვერ შეგვიშლის მტკიცედ შევფიცოთ ძვირფასო ბელადო, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდი ვივლით იმ გზით, რომელიც იმ თავითვე [illegible] გვაქვს შენი გენიის ჩირაღდანით.

მშვიდობით, ძვირფასო ვლადიმერ ილიჩ!.

ლადო დუმბაძე
ვანო ბოლქვაძე.

ტფილისი
26 იანვარი.

თავისუფალი ამირანის ფიცი

თუმცა ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ პატარა კაცებს არ ძალუძთ დააფასონ დიდებული პიროვნება შესაფერისად, მაგრამ ეს გამაბედვინა ჩვენმა უკვდავმა ილიჩმა. ილიჩმა, რომელმაც მთელს კაცობრიობაში პირველმა გაჰბედა მრავალი საუკუნოებით მიჯაჭვული ამირანის განთავისუფლება, ილიჩმა პირველმა უთხრა ამირანს: შენ დღეიდან თავისუფალი ხარ, წადი და იუფლეო. დღეს ამირანი სდებს ფიცს ილიჩის წინაშე, რომ ვიბრძოლებ იმ დრომდე, ვიდრე არ დავამყარებ მთელს კაცობრიობაში სოციალიზმს და მაშინ მოვალ შენს საფლავზე, ჩემო უკვდავო ილიჩო, და ჩამოგძახებ: გამარჯვებული ხარ ილიჩ, განხორციელდა ლენინიზმი.

შენი არაქელა.

26 იანვ. 1924 წ.

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის ყველა წევრებს, ახალგაზრდა მუშებს და გლეხებს

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი სახელოვანი მასწავლებელი, კომუნისტური პარტია, სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი დაობლდა, მთელი ქვეყნის მშრომელთათვის გლოვის და უდიდესი მწუხარების ზარმა დარეკა. რევოლიუციის გენიალური ბელადი, მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის უერთგულესი ხელმძღვანელი, კომუნიზმისათვის თავდადებული და მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის საყვარელი მასწავლებელი ლენინი მოკვდა. 21 იანვარს დავკარგეთ დიდი ბელადი.

კომკავშირელებო! ახალგაზრდა მუშებო და გლეხებო! ჩვენ მასწავლებელთა რიგებს გამოაკლდა დიდი მასწავლებელი ლენინი.

განა გვჭირდებოდა იმაზე ლაპარაკი თუ ვინ იყო ლენინი, რაოდენ დაუფასებელი მამა იყო ის ჩვენი ახალგაზრდობისათვის? დარწმუნებული ვართ, რომ თვითეულმა თქვენთაგანმა იცის და [illegible] რესპუბლიკ[illegible] მედ მსოფლიოს თვით ჩამორჩენილ და შორეულ ქვეყნის ახალგაზრდა მუშებმა და გლეხებმაც კი თუ ვინ იყო ლენინი, რა გააკეთა მან მშრომელი კაცობრიობისათვის, ყველა ჩაგრულთათვის.

ლენინი რევოლიუციონური მარქსიზმის უდიდესი წარმომადგენელია მარქსის შემდეგ მებრძოლ მუშათა ძალის უცილობელი ბელადია, ლენინი გენიალური პრაქტიკოსია, მარქსიზმის უმტკიცესი გამტარებელი და განმახორციელებელია. ლენინის მეთაურობით შეიქმნა სამარცხვინოთ გაკოტრებულ მე 2-ე ინტერნაციონალის ნაცვლად ძლევამოსილი მე 3 ე კომუნისტური ინტერნაციონალი, ლენინის აქტიური ხელმძღვანელობით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება ქვეყნიერების მეექვსედ ნაწილში, გენიალური სარდლობით დაცულ იქნა ის შინაური და გარეშე მტაცებლებისაგან; ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ყველა მტრებზე სოციალისტურ საბ[illegible] მუშათა კლასმა [illegible] კომუნის-

ტური პარტიის უშუალო წინამძღოლობით.

ლენინი ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის, ყოველი ახალგაზრდა მუშის და გლეხის სათაყვანებელი მასწავლებელია, მათი სწორ გზაზე დამყენებელია. ლენინი ქალაქის და სოფლის მშრომელთ ახალგაზრდობის კავშირის გამჩენია, მისი სულის ჩამდგმელია.

რას გვავალებს **ლენინის სიკვდილი?** მრავალ საპასუხისმგებლო ამოცანების გადაჭრას, რაც საუკეთესო ძეგლი იქნება, ახალგაზრდობის მიერ დაუვიწყარ მასწავლებლისთვის აგებული.

ლენინიზმის საფუძვლიანი შესწავლა, ლენინისებური რევოლუციონური სიმტკიცის გამომუშავება, მარქსისტული თეორიის დაკავშირება რევოლუციონურ პრაქტიკასთან ე. ი: ლენინიზმი, ღრმა რწმენის ლენინისტებათ გახდომა, ლენინიზმის გავრცელება მუშურ გლეხურ ახალგაზრდობის ფართე მასებში რათა მთელი ეს ახალგაზრდობა მტკიცეთ დადგეს კომუნისტურ პარტიასთან ერთად ყველა ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების გზაზე და გამობრძმედა საქართველოს მრავალ ათასეულ ახალგაზრდა მუშების და გლეხებისა კომპარტიის ახალი რიგების შესაქმნელათ, იმ პარტიის, რომლისთვისაც მუდამ იღწოდა ლენინი, და რომელსაც უძღოდა მნათებელი ვარსკვლავი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე,—აი რას გვავალებს დიდი ბელადის განშორება.

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი.

რესპუბლიკის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს ბრძანება

მოსკოვი. 26 იანვარი. საბჭოთა რესპუბლიკების რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანება № 91, 25 იანვარი:

„27 იანვარს მოსკოვში წითელ მოედანზე მოხდება მსოფლიო რევოლუციის წინამძღოლის—ვლადიმერ ილიჩი ლენინის ცხედარის დასაფლავება, ხოლო მოსკოვის დროით 16 საათზე ცხედარი ჩასვენებული იქნება საფლავში. ერთი საათით წინ ამ დრომდე საბჭოთა კავშირის ყველა გარნიზონებში ჯარები მწკრივდებიან მოედნებზე ორგანიზაციებთან ერთად ადგილობრივ აღმასკომთან შეთანხმებული წესით.

აგრედვე შემუშავებული იქნება სტყვების წესრიგი. სწორედ ცხედრის საფლავში ჩასვენების დროს, ესე იგი მოსკოვის დროით 16 საათზე, ხდება სალიუტი ზარბაზნებიდან 25 ჯერ უტყვიო გასროლით. სადაც ზარბაზნები არ არის, იქ ხდება ვინტოვკებიდან უტყვიო ვაზნების გასროლა დაახლოვებით ერთი ბატალიონის მიერ; თვითეული გასროლა ზარბაზნიდან და თვითეული დაშენა ვინტოვკებიდან დაშორებულია ერთი მეორესთან ერთი წუთის შესვენებით. პირველი გასროლის და დაშენის წინ იხრება ძირს დროშები და ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს.

სროლის შემდეგ ჯარები მიდიან ყაზარმებში. მოსკოვში და პეტროგრადში ხდება 25 დან 100-დე გასროლა ზარბაზნებიდან ბატარეების ან მწყობრების მიერ, ჯარების უფროსის განკარგულების მიხედვით. კრონშტადში ხდება 25-დან 50-დე გასროლა სანაპირო ან გემების ზარბაზნებიდან. ყველა დანარჩენებში პეტროგრადის, მოსკოვის და კრონშტადტის მხმართ გამოცემული ბრძანება ვრცელდება შეუცვლელად. მოქმედება ხდებოდეს ტელეგრაფით და რადიოთი.

რევოლუციონურ - სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: სკლიანსკი.

ლენინის ცხოვრებიდან

ვლადიმერ ილიჩ ლენინი დაიბადა 1870 წ. 10 აპრილს ქალაქ სიმბირსკში მისი მამა, შთამომავლობით გლეხი ვოლგის მხარეში სახალხო სასწავლებლების დირექტორი იყო და დიდი სიყვარულით სარგებლობდა თავისი ოლქის მასწავლებლებს შორის და სკოლებში. 1886 წ., ვლადიმერ ილიჩის მიერ სიმბირსკის გიმნაზიის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, გარდაიცვალა მისი მამა, 1887 წელს კი მოხდა ამბავი, რომელმაც თავისთავად ღრმა კვალი დააჩნია ლენინის მთელ შემდეგ ცხოვრებას და მოღვაწეობას. 8 მაისს ალექსანდრე მესამის მოკვლის მიზნით მოწყობილ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის მეფის მთავრობამ ჩამოახრჩო მისი ძმა ალექსანდრე ილიჩ ულიანოვი—„ნაროდნაია ვოლია“-ს [illegible] მოღვაწეთაგანი იმ დროში.

1887 წ. შემოდგომაზე ვლადიმერ ილიჩმა დიდის წარმატებით დაამთავრა სიმბირსკის გიმნაზია და შევიდა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ უკვე ერთი წლის შემდეგ ის გამორიცხეს უნივერსიტეტიდან სტუდენტების გამოსვლებში მონაწილეობისათვის. სტუდენტების რევოლუციონურ წრეებში ჩატარდა ლენინის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის მთელი პირველი პერიოდი. იქვე გაეცნო ის პირველად ყოფილ „ჩერნო-პერედელცების“, შემდეგ პირველ რუს მარქსისტების (პლეხანოვი) ნაწერებს.

1891 წ. ვლადიმერ ილიჩმა ექსტერნათ ჩააბარა გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და გადასახლდა სამარაში, სადაც დააარსა მარქსისტების პირველი ჯგუფი (ულიანოვი, სკლიარენკო, ლალაიანცი). 1893 წ. შემოდგომაზე ის დაბრუნდა პეტერბურგში სადაც დაარსა პირველი მუშათა წრეები და ჩქარა თავის გარშემო თავი მოუყარა ინტელიგენტ მარქსისტების პატარა ჯგუფს.

მცირე ხნის შემდეგ ვლადიმერ ილიჩი ყველაზე პოპულიარული მარქსისტი გახდა პეტერბურგში. მისმა შეტაკებამ ვ. ვორონცოვთან—იმ დროის გამოჩენილ ნაროდნიკთან—და მის მიერ გამოშვებულმა არალეგალურმა ბროშიურამ „ვინ არიან ხალხის მეგობრები და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ დემოკრატებს“—ვლადიმერ ილიჩის პირველმა შრომამ, რომელიც მიმართული იყო მიხაილოვსკის—ნაროდნაია ვოლიას ბურჯის წინააღმდეგ, რევოლუციონურ ახალგაზრდობას ფართე ყურადღება მიაპყრობინა მასზე.

1895 წელს ლენინის მიერ ტულინის ფსევდონიმით გამოცემულმა წერილებმა „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა სტრუვეს ნაწერებში“ აღტაცება გამოიწვიეს ძველ მარქსისტებში და აქსელროდმა განაცხადა: „ახლა შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში არიან ნამდვილად სოციალ-დემოკრატიულად მოაზროვნეები.“

1895 წელს ვლადიმერ ილიჩმა საზღვარ-გარეთ კავშირი დაიჭირა პლეხანოვთან, აქსელროდთან და ზასულიჩთან და იმავე წელში ზოგიერთ მარქსისტებთან ერთად დააარსა პეტერბურგში „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლი კავშირი“. კავშირის დავალებით ლენინი ხელმძღვანელობდა პირველ გაფიცვებს, წრეებს [illegible] და ფურცლებს (ჯარიმების შესახებ და სხვა). 1895 წ. დამლევს კავშირი დაატუსაღეს, დაშალეს, ვლადიმერ ილიჩი კი მოხვდა ციხეში, საიდანაც 1897 წელს გადაასახლეს ციმბირში, ენისეის გუბერნიის სოფელ შუშენსკოეში.

გადასახლებაში ყოფნის დროს ლენინმა დასწერა მთელი რიგი ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის წერილები და ბროშიურები, რომლებიდანაც ორმა სერიოზული მეცნიერულობით საკითხის დაყენებაში და მარქსისტული ანალიზის სისწორით, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზღვარგარეთ მყოფ მარქსისტებზე, მეორემ კი რუსეთში, ბურჟუაზიულ პროფესორებშიც. ეს ბროშიურებია „რუს სოციალ დემოკრატების ამოცანები“ და წიგნი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

ციმბირიდან [illegible] შემდეგ ვლადიმერ ილიჩი გაემგზავრა საზღვარგარეთ და მაშინდელ გამოჩენილ მარქსისტებთან, მარტოვთან და პოტრესოვთან ერთად დაიწყო გაზეთ „ისკრა“-ს გამოცემა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის მარქსისტული რევოლუციონური აზრის შეკრებაში. 1902 წ. გამოვიდა ვლადიმერ ილიჩის წიგნი „რა ვაკეთოთ“, რომელშიაც რევოლუციონურ-მარქსისტული თვალსაზრისით გაშუქა მაშინდელი დროის ყველა მტკივნეული საკითხები და საბოლოოდ დაამტკიცა ლენინი, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადი.

ამ დროისათვის პლეხანოვმა, მარტოვმა, [illegible] და სხვა ცნობილმა მარქსისტებმა ტაქტიკის მთელ რიგ საკითხებში დაიწყეს თავისი რევოლუციონური ტრადიციებისაგან ჩამოშორება.

ლენინმა იგრძნო, რომ პარტიაში წვრიმალ ორგანიზაციულ უთანხმოებათა სახით გარკვეულათ ეყრება ნიადაგი ოპორტიუნისტულ ფრთას და 1903 წ., პარტიის მეორე ყრილობაზე, როცა დაინახა, რომ შეუძლებელია ერთიანი ორგანიზაციის შექმნა, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ჩასახულ მენშევიზმს. პარტია გაიყო ბოლშევიკებათ და მენშევიკებათ, ლენინი გახდა პირველის მეთაური.

ლენინი გამოვიდა „ისკრა“-ს რედაქციის შემადგენლობიდან (გაზეთი მენშევიკების ხელში გადავიდა) და დაარსა პირველი ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდ“, საიდანაც ენერგიულად შეუტია მენშევიკებს და იწინასწარმეტყველა მათი მომავალი განვითარების გზები—დაახლოვება ბურჟუაზიასთან და მოწყვეტა კლასობრივ რევოლუციონურ ტრადიციებისაგან. 1905 წელში შეიკრიბა მესამე (ბოლშევიკური) ყრილობა, რომელმაც ლენინი პარტიის ც. კ. და პარტიის ცენტრალურ ორგანოს „პროლეტარიი“-ს ხელმძღვანელად აირჩია. „პროლეტარიი“-ში ის ენერგიულად ქადაგებდა შეიარაღებული აჯანყების და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების აუცილებლობას.

საგრძნობი შემაკავშირებელი როლი ითამაშა ვლადიმერ ილიჩმა 1905 წლის რევოლუციაში. მისი პოლიტიკური წერილები, ბროშიურები, ფურცლები, მიმართულებას აძლევდენ მუშათა კლასის რევოლუციონურ ბრძოლას. მაგრამ ეს მას არ აკმაყოფილებდა და 1905 წ. დამლევს ის ხუთი წლის ემიგრაციის შემდეგ დაბრუნდა რუსეთში, რომ უშუა[illegible] მიეღო რევოლუციის [illegible] ის ეწეოდა პროპაგანდას, აგროვებდა ძალებს, კავშირი დაიჭირა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზატორებთან მოსკოვში და პეტროგრადში, მოუწოდებდა მუშებს მხარი დაეჭირათ ამ აჯანყებისათვის.

1906 წელს, მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობის შემდეგ, ლენინი ისევ დაბრუნდა რუსეთში, კავშირი დაიჭირა კრონშტადტის და სვეაბორგის აჯანყების ორგანიზატორებთან, გააჩაღა აგიტაცია მუშებში, და მიიღო ზომები მუშაობის გადასატანად პეტერბურგში. პარალელურათ არალეგალურ ბოლშევიკურ გაზეთში „პროლეტარიი“ ის განაგრძობდა სასტიკ ბრძოლას „რაბოჩე სიეზდოვცებთან“, „ბლოკისტებთან“, ესერებთან და სხვა ოპორტიუნისტულ ჯგუფებთან, რომლებიც ხელს უშლიდენ რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივ-რევოლუციონურ ბრძოლის განვითარებას.

1907 წელს, რუსეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ვლადიმერ ილიჩი ხელმეორეთ გაემგზავრა საზღვარგარეთ. 1910—11 წლამდე, როცა რეაქციის მიერ ჩაკლულმა მუშათა მოძრაობამ ალორძინება დაიწყო, ლენინი საზღვარგარეთ განაგრძობდა პარტიის და პროლეტარული მოძრაობის რევოლუციონურ გაწმენდას. ის სცემდა არალეგალურ გაზეთებს, მოგზაურობდა კონფერენციიდან კონფერენციაზე, ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას. ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი, რომელიც მან ამ დროს დასწერა, არის „მარქსიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელიც მიმართულია ბურჟუაზიული ტენდენციების წინააღმდეგ ფილოსოფიაში, რომლის გავლენას ვერ გაექცენ ზოგიერთი მარქსისტებიც.

1912 წელში, როცა პეტროგრადში უკვე გამოდიოდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთები, როცა ლენის ამბების შემდეგ მთელს რუსეთს მოედვა მუშათა გაფიცვების ტალღა, როცა მუშათა მოძრაობამ გამოაშკარავა მოულოდნელი სიცოცხლის უნარიანობა და მზადყოფნა ახალი შეტევისათვის, ლენინი გადასახლდა გალიციაში, ახლო რუსეთთან, რომ უფრო უკეთესად ეხელმძღვანელებია რევოლუციონური მუშაობისათვის. ის ხელმძღვანელობდა ბოლშევიკურ გაზეთებს, იწვევდა მთელ რიგ კონფერენციებს და თათბირებს, ხელმძღვანელობდა ბოლშევიკ დეპუტატების მუშაობას სახელმწიფო სათათბიროში.

ომმა მოულოდნელათ მოუსწრო ლენინს გალიციის ერთ პატარა სოფელში. ლენინი დაატუსაღა ავსტრიის მთავრობამ, მაგრამ ჩქარა მან მოახერხა შვეიცარიაში გამგზავრება და მუშათა კლასს შორის სასტიკი ბრძოლა დაიწყო პროლეტარიატის და რევოლუციის ახალ მტრებთან—სოციალ-შოვინიზმთან და „ობორონცებთან“. დიდის შრომით ლენინმა თავი მოუყარა თავის გარშემო ომის მიერ დამსხვრეული რევოლუციონური სოციალ-დემოკრატიის ნაფლეთებს და საზღვარ-გარეთელ სოციალ-დემოკრატებთან ერთად, რომლებიც დარჩენ რევოლუციონური დროშის ერთგული, მოიწვია რამდენიმე კონფერენცია, მიმართული ომის წინააღმდეგ (კიენტალის და ციმერვალდის). საზღვარ-გარეთელ მუშებს შორის ლენინმა რევოლუციონური ბრძოლის ენერგიული კამპანია დაიწყო ლოზუნგით: „ომის ლიკვიდაცია საყოველთაო გაფიცვის, შეიარაღებული აჯანყების, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის საშუალებით“.

როგორც კი მოვიდა პირველი ცნობები თებერვლის რევოლუციის შესახებ, ლენინი იმწამსვე, ათი წლის ემიგრაციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. რუსეთში დაბრუნებისთანავე მის მიერ პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე დასმულმა თებერვლის რევოლუციის დაუყოვნებლივ განვითარების, სოციალისტურ რევოლუციად გადაქცევის ამოცანამ, შეაფიქრიანა თვით მრავალი ბოლშევიკიც. ბურჟუაზიასა და შავრაზმელებს შორის ლენინის ჩამოსვლამ საშინელი აღშფოთება და გაბრაზება გამოიწვია.

კერენსკის მთავრობამ გასცა ბრძანება ლენინის დატუსაღების შესახებ, ლენინის დამჭერს 100.000-ს პირდებოდენ. ლენინი იმალებოდა ფინლიანდიის ჰაობებში, ქოხში, თივაში და აქედან განაგრძობდა ბოლშევიკური რევოლუციონური ძალების შეკრების ხელმძღვანელობას. ოქტომბრის გადატრიალებას ის ხელმძღვანელობდა არა მარტო წერილებით და ინსტრუქციებით, არამედ სარდლობდა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რევოლუციონური ფრონტის თითეულ ნაწილს.

ჩვენს თვალწინ, მსოფლიოში ერთად ერთი პროლეტარული რესპუბლიკის ორგანიზაციის და შეკავშირების მთელ მანძილზე, არაჩვეულებრივად ფართეთ გამოაშკარავდა პროლეტარიატის დიდი ბელადის შემოქმედებით გენიის მთელი ძალა, ორგანიზატორული ნიჭის მთელი სიძლიერე. ძნელია ახლა წერა ლენინის მოღვაწეობის შესახებ უკანასკნელი რევოლუციონური წლების განმავლობაში, ისე როგორც ძნელია ახლა მასთან მტკიცედ შეზრდილი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიის დაწერა.

პეტროგრადს ეწოდება ლენინგრადი

პეტროგრადი. 26 იანვარი. პეტროგრადის საბჭოს სამგლოვიარო სხდომისადმი მიმართულ წერილში ამხ. ზინოვიევმა წინადადება შეიტანა პეტროგრადს ეწოდოს ლენინგრადი. წინადადება მიღებულ იქნა მქუხარე ტაშისცემით. პეტროგრადის საბჭოს პლენუმმა დაადგინა გაგზავნოს ამხ. ლენინის დასაფლავებაზე მონაწილეობის მისაღებად 1,000-დე მუშა, გლეხი, წითელარმიელი და მეზღვაური.

პროფინტერნის წერილი რუსეთის კომპარტიის ცეკასადმი

მოსკოვი. 25 იანვარი. რუსეთის კომპარტიის ცეკასადმი მიმართულ წერილში პროფინტერნი სწერს: „[illegible] პროფინტერნი ჰკარგავს ლენინის სახით უბადლო მებრძოლს, რომელიც ებრძოდა რეფორმიზმს, ყოველგვარ მერყეობას და გაუბედაობას. ლენინის დიდი სული მომავალშიაც ცოცხალი იქნება მუშების, ჩაგრულების და გაყვლეფილების გულში, ლენინის მიერ ამხედრებული მილიონიანი ჩაგრულები დაამსხვრევენ თავიანთ ბუნაგებს მსოფლიო რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის გასამარჯვებლად.

მთელ საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებიდან იტყობინებიან, რომ იმართება მრავალრიცხოვანი მიტინგები ილიჩის გარდაცვალების გამო. ყოველგან გამოაქვთ რეზოლუციები, რომლებიც ხაზს უსვამენ რუსეთის კომპარტიის გარშემო რიგების მჭიდროთ შეკავშირების და ილიჩის აღთქმების განხორციელების აუცილებლობას. **მრავალ ქალაქებში უპარტიო მუშები გამოსთქვამენ კომპარტიაში შესვლის სურვილს.** გზავნიან დელეგაციებს დასაფლავებაზე.

სახლი, რომელშიც სცხოვრობდა ამხ. ლენინი შვეიცარიაში.

სად იქნება დასაფლავებული ამხ. ლენინი

მოსკოვი. 26 იან. ამხ. ლენინი დასაფლავებული იქნება წითელ მოედანზე („კრასნაია პლოშჩად“-ზე) ტრიბუნასა და მუშის ძეგლის შორის. დაიწყო მუშაობა საფლავის გასათხრელად და დროებითი ხის აკლდამის მოსაწყობად, რომელიც შემდეგში შეცვლილი იქნება ფუნდამენტალური აკლდამით. ყველა სამუშაოებს ხელმძღვანელობს საკავშირო სახალხო მეურნეობის საბჭოების ცნობილი აკადემიკოსი, ხუროთმოძღვარი შჩუსევი.

ლენინის ნეშთი უნდა იქნას შენახული

მოსკოვი. 26 იან. პათოლოგიურ ანატომიის პროფესორმა აბრიკოსოვმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: „ვლადიმერ ილიჩის ნეშთის გაუხრწნელად შესანახად მე მოვამზადე იგი სათანადოთ. აორტაში, რომელიც არის ადამიანის სისხლის ძარღვების სისტემაში უმთავრესი ტოტი, განსაკუთრებულ ზედდაწოლით მე შევუშხაპუნე 6 ლიტრის სითხე, რომელმაც განდევნა სისხლი და აავსო სისხლის მილები და აგრეთვე ქსოვილთა შუა სივრცენი. ეს სითხეა—ფორმალინის ხსნარი სპირტის და გლიცერინის მიმატებით. ასეთი შემადგენლობის სითხე ყველაზე გავრცელებულია ამჟამად დასავლეთ ევროპაში გვამების შესანახავად. ასეთი მომზადების შემდეგ გვამის გახრწნის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია.

შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ გვამის გახმობის, მუმიფიკაციის შესახებ. ეს საფრთხეც აცილებული იქნებოდა თავიდან 3—4 წლით, თუ რომ მომზადების შემდეგ არ მომხდარიყო გვამის განკვეთა, რომლის დროსაც გადაფსკვნილ იქნენ სისხლის მილები, რის გამო ქსოვილებში სითხე შემცირდა. ამას შეუძლია გავლენა მოახდინოს გვამის დაცვის ხანგრძლივობაზე გახმობისაგან—და სხვა ცვლილებებისაგან.

სანამ ზამთრის სიცივეები იქნება, არავითარი ცვლილება არ მოხდება. მეცნიერებას არ მოეპოვება საშუალება შეინახოს ვლადიმერ ილიჩის სხეული დიდი ხნით. ექვს გარეშეა, რომ ყველაზე უკეთესი საშუალება გვამის ჰერმეტიულად დახურულ არეში მოთავსებაა, სადაც უნდა იქნას დაცული მუდმივი ტემპერატურა 0-° მინუს 2 გრადუსამდე და აგრეთვე განსაზღვრული სინესტე. ეს არ შეიძლება დაიფაროს გარედან შუშით, რათა შესაძლებელი გახდეს სხეულის დანახვა, რაც არავითარ გავლენას არ მოახდენს მის გაუხრწნელად შენახვაზე.

3 დღის განმავლობაში ვლადიმერ ილიჩის ნეშთი სრულიად არ შეცვლილა.

გლოვის დღე სომხეთში

ერევანი. 24 იანვარი. 23 იანვარი იყო ჭეშმარიტად მგლოვიარობის დღე. დაწესებულებები, სკოლები და მაღაზიები დაიხურა 12 საათიდან დღის 1 საათზე პროფკავშირების სახლის წინ გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი პროფკავშირების წევრების და მოქალაქეების მონაწილეობით. ამ უჩვეულო მიტინგზე მონაწილეობას ღებულობდა 15,000 კაცი. ანალოგიური მიტინგები გაიმართა ქალაქის სხვა ნაწილებში. მიტინგებზე გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ ლენინის ფიზიკური სიკვდილის შემდეგ დაგვრჩა მისი მოძღვრება—ლენინიზმი, რომლის საშუალებითაც პროლეტარიატი გზას გაიკაფავს ახალი გამარჯვებისაკენ. „ლენინი აღარ გვყავს, მაგრამ გვრჩება მისი იდეა ლენინი იყო ჩვენთვის იდეა, ბრძოლის—დროშა და ასეთად დარჩება ის მომავალშიაც“.



ამხ. ლენინის მამა.

მიტინგებზე გამოტანილია შემდეგი რეზოლუცია: „ერევანის მუშები, წითელარმიელები და მშრომელთა ფართო მასები თავზარდაცემული არიან ცნობით დიდი მასწავლებლის და ბელადის—ვლადიმერ ილიჩი ლენინის გარდაცვალების შესახებ. ვსდგევართ რა რევოლუციის სადარაჯოზე აღმოსავლეთის კარებთან, ჩვენ ღრმათ გვრწამს, რომ ილიჩის მოძღვრება, რომელიც გახდა მსოფლიოს მილიონიან მშრომელთა მემკვიდრეობა, მომავალშიაც ხელმძღვანელობას გაუწევს მსოფლიო რევოლუციის ძლევამოსილ მსვლელობას.

ერთსულოვანი ნებისყოფით გამარჯვებისაკენ, მთლიანობით და საკუთარი რიგების შეკავშირებით საბჭოთა რესპუბლიკების და მთელი მსოფლიოს მოწინავე რაზმები განახორციელებენ ცხოვრებაში ძვირფასი მასწავლებლის აზრებს და აღთქმებს“.

სალამოს სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქალაქის საბჭოს, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების სასწრაფო გაერთიანებული სხდომა. ვრცელი მოხსენებებით ლენინის და ლენინიზმის შესახებ გამოვიდა სომხეთის კომპარტიის ცეკას მდივანი ამხ. აშოტ იოანესიანი. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „სომხეთის მშრომელებმა, რომლებიც მისდიევენ ამხ. ლენინის აღთქმებს და მიდიოდენ მის მიერ ნაჩვენები გზით, გაანთავისუფლეს მხარე ეროვნულ ხოცვა-ჟლეტისაგან და დაამყარეს კეთილმეზობლური ურთიერთობა ყველა მეზობელ ერებთან, აღადგინეს სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო ცხოვრება. ეხლა, როდესაც ამხ. ლენინი მოგვშორდა ჩვენ, სომხეთის მშრომელი მასები, შეიარაღებულნი ლენინის მიერ დატოვებული იარაღით—მისი მოძღვრებით და მუდამ მისი რევოლუციონური აღთქმების ერთგულნი, გავაორკეცებთ ძალ-ღონეს ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ასპარეზზე და განვაგრძობთ ჩვენს რევოლუციონურ მუშაობას.

საუკუნო განსვენება დიდ მასწავლებელს. გაუმარჯოს ამხ. ლენინის საქმეს—კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას“.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო

სამგლოვიარო გამოძახილი

საქართველოში

დიღომიდან. დიღმის რაიონის საბჭო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს პროლეტარიატისთვის და ღარიბეს გლეხკაცთათვის მებრძოლ ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო. საბჭო ფიცსა სდებს ემსახუროს მის იდეალებს.

—

— **ბორჯომიდან.** გავიგეთ ჩვენი სათაყვანებელი მასწავლებლის მსოფლიო რევოლუციის მებაირახტრის ამხანაგ ლენინის გარდაცვალება. უსაზღვროა ჩვენი მწუხარება. დიდია დანაკლისი. საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ ჩვენ შეუდრეკლათ ვივლით დიდი ბელადის ნაჩვენები გზით და დავიცავთ იმ წმინდა იდეალებს, რომელსაც დიდმა ბელადმა თავისი ღონე და სიცოცხლე მსხვერპლად მიუტანა.

აღმასკომის თავმჯდომარე **ჩხაიძე.**

—

ჭიათურიდან. შორაპნის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მსოფლიო რევოლუციის ბელადის და გენიოსის ამხ. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების გამო. აღარ არის ლენინი, მაგრამ არის მისგან ნაანდერძევი ლენინიზმი, რომლის განსახორციელებლათ შორაპნის მაზრის მუშები და გლეხები იბრძოლებენ მთელი შესაძლებლობით. ქ. ჭიათურის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო ფიცს სდებს არ გადაუხვიოს ამხ. ლენინის მოძღვრებას და მის მიერ ნაჩვენებ გზას.

სამაზ. აღმასკომის და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე **თათეიშვილი.**

—

დიდი ჯანიდან. ხურების რაიონის პარტიული მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას პროლეტარულ რევოლუციის ბელადის ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო და ფიცს სდებს, რომ იბრძოლებს ლენინის ნაჩვენები გზით საბოლოო გამარჯვებამდე.

—

ინვალიდები ლენინის გარდაცვალების გამო. ტფილისის საინვალიდო სახლში № 1 მცხოვრები ინვალიდების საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ლენინის გარდაცვალების გამო, [illegible] თავიანთი მწუხარება, გამოწვეული ჩაგრული ხალხის მფარველის გარდაცვალებით, [illegible] მსოფლიოს პროლეტარიატის მწუხარებას, რომელთა განთავისუფლების საქმეს მსხვერპლად შეეწირა დიდებული ადამიანი და გენიოსი ლენინი.

—

კოჯრიდან. განათლების კომისარიატმა კოჯრის მესამე ბავშვთა ახალშენიდან მიიღო სამძიმრის დეპეშა ილიჩის გარდაცვალების გამო. ბავშვები ფიცს სდებენ, რომ დაეკაცდებიან თუ არა მთელი ენერგიით იბრძოლებენ ლენინის იდეების მთელ ქვეყანაზე სავსებით განსახორციელებლად.



სახლი სიმბირსკში, სადაც დაიბადა ამხ. ლენინი.

—

მსოფლიო საბჭოთა ძალაუფლებისაკენ. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის თანამშრომელთა კრებამ ლენინის გარდაცვალების შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ მიიღო რეზოლუცია, სადაც ფიცს სდებენ მჭიდროდ შეკავშირდენ მუშების და გლეხების გარშემო, დიდებული ლენინის ანდერძის განსახორციელებლად და მსოფლიო საბჭოთა ძალაუფლების მოსაპოვებლად.

—

ილიჩის ანდერძის განსახორციელებლად საქ. სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა რუსეთის სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს მოსკოვში გლეხთა კომიტების წარმომადგენელთა ყრილობის გახსნის გამო, მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა [illegible] გლეხების და მუშების შორის მტკიცე კავშირის [illegible] და ამით დიდი მასწავლებლის [illegible] ცხოვრებაში გატარების.

—

ლენინის სახელობის ტფილისის პოლიტექნიკუმის სტუდენტთა საბჭო და ლენინის მიმდევარი ყველა სტუდენტები ულრმესად არიან დამწუხრებულნი რევოლუციის დიდი ბელადისა და თავისი შეფის გარდაცვალების გამო.

ლენინის მიმდევარი სტუდენტები აღთქმასა სდებენ, რომ გადაუხვევლად იბრძოლებენ ლენინიზმისა და მსოფლიო რევოლუციის გასამარჯვებლად.

პოლიტექნიკუმის სტუდენტთა საბჭო.

—

მე 3 ტექნიკუმის მოწაფეთა კრებისაგან. მესამე ტექნიკუმის უპარტიო ახალგაზრდობა იზიარებს მუშურ-გლეხური მასების ღრმა მწუხარებას მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გენიალური ბელადის ლენინის დაკარგვის გამო. ლენინის მიერ შექმნილი პარტია შესძლებს მისი ანდერძის განხორციელებას

—

საგარეჯოდან. საგარეჯოს საბჭო გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას მსოფლიო რევოლუციის ბელადის ამხანაგ ლენინის უდროოვოდ დაკარგვის გამო.

საბჭოს მონდობილობით

აბრამაშვილი.

—

აფხაზეთიდან. აფხაზეთის მუშები, გლეხები და მთელი მშრომელი ხალხი ულრმესი მწუხარებით მიიღეს მსოფლიო პროლეტარიატის, ძვირფასი მასწავლებლის და საყვარელი ბელადის დაკარგვის ამბავს. ჩვენ ვგრძნობთ მთელ სიმძიმეს ასეთი ძლიერი და მედგარი მებრძოლის დაკარგვის ჩვენს რიგებში.

მაგრამ ლენინის იდეები, მისი ნებისყოფა კაპიტალზე გასამარჯვებლად მუდამ იცოცხლებს ჩვენში. ჩვენ დავიწყებას არ მივცემთ იმის აღთქმებს და მივაღწევთ გარდასული ბელადის მიერ დატოვებულ მიზანს. აფხაზეთის მუშები და გლეხები, მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად, დარწმუნებულნი არიან, რომ ამხ. ლენინის მიერ დასახული და ნაჩვენები გზა კაპიტალზე გასამარჯვებლად განვლილი იქნება და მაშინ დამპალი კაპიტალიზმის ნანგრევებზე ჩვენ აღვუგებთ უკეთეს ძეგლს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელ ლენინს—ეს იქნება დროშა კომუნიზმისა მთელს მსოფლიოზე.

—

ქუთაისიდან. ცნობა ამხ. ლენინის გარდაცვალების შესახებ მივიღეთ 22 იანვარს, სალამოს, იმ დროს, როდესაც გამართული იყო კრებები, კეთდებოდა მოხსენებები და შემდეგ უნდა წასულიყო წარმოდგენები. მოხსენებების გათავებისთანავე გამოქვეყნებული იქნა მიღებული ცნობა და ყოველგან შეწყვეტილ იქნა სპექტაკლები და სხვა ყოველგვარი გასართობები. რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტს გაეგზავნა სამგლოვიარო დეპეშა ქუთაისის ყველა ორგანიზაციების სახელით.

22 იანვრიდანვე ყველგან თეატრებში, კინოებში და სხვაგან შეწყვეტილ იქნა სპექტაკლები და ყოველივე გასართობები. 23 იანვრის დილიდანვე ქუთაისი მორთული იქნა სამგლოვიაროთ, ყველა დაწესებულებები, ორგანიზაციები და კერძო მოქალაქეები გამოვიდენ შავი არშიებიანი წითელ დროშებით.

23 იანვარს მოწვეულ იქნა ქუთაისის სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების და კომ. კავშირის წევრთა გაერთიანებული კრება, სადაც გაკეთდა რუსულ და ქართულ ენებზე მოხსენება ილიჩის გარდაცვალების შესახებ. გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლუცია.

ყველა რაიონებში, განსაკუთრებით რაიონულ ცენტრებში, მოწვეულ იქნა პარტიული კრებები და გაკეთდა მოხსენებები, მიღებული თეზისების თანახმად.

მაზრის ყველა ქალაქებსა და დიდ სოფლებს, რაიონულ ცენტრებს მი[illegible] ამით სამგლოვიარო ელფერი.

23 იანვარს სამაზრო [illegible] კომიტეტის მიერ გამოშვებული იქნა [illegible] გაზეთ „მუშა და გლეხი“-ს განსაკუთრებული ნომერი—ფურცელი, რომელშიაც მოთავსებული იყო ლოზუნგები, მოწინავე წერილი და მიღებული დეპეშები. ფურცლები დაეგზავნა ჯარის ნაწილებს, რაიონებს და სოფლებს, [illegible] ადგილებზე გასაკრავათ და ფართე მასებისათვის გასაცნობათ. შემდეგი ნომერი გაზეთი „მუშა და გლეხი“-სა გამოვა შაბათს, მიძღვნილი იქნება ამხ. ლენინის ხსოვნისათვის.

დასაფლავების დღეს დემონსტრაციების და მიტინგების მოსაწყობათ შედგენილია სამაზრო კომისია და სარაიონო სოფლებში ქვეკომისიები, რომლებიც უკვე შეუდგენ მუშაობას.

ს. კ. პ. ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მდივანი **ტყაბლაძე.**

აზერბეიჯანში.

აზერბეიჯანის აღმასკომის თავმჯდომარის დეპეშა.

ბაქო. 24 იანვარი. აზერბეიჯანის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. აღამალი-ოღლიმ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ცენტრალურ აღმასკომს და საკავშირო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, რ. ს. ფ. რ., რ. კ. პ. ც. კ—ტს, სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-XI ყრილობას და ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომს!

„აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მუშებისა და გლეხების სახელით ულრმეს მწუხარებას გამოვთქვამ, ჩვენი ძვირფასი, დაუვიწყარი, უდიდესი ბელადის, ვლადიმერ ილიჩის ლენინის დაკარგვის გამო. აზერბეიჯანის მუშები და გლეხები განუყრელი მჭიდრო კავშირით შეურყევლად იდგებიან სათაყვანო მასწავლებლის აღთქმათა სადარაჯოზე და მტკიცედ ივლიან მის მიერ დასახული გზით, პროლეტარიატის დროშის დასაცველად.

ლოზუნგი დაკრძალვის დღისათვის.

ბაქო. 24 იანვარი. დაკრძალვის დღისათვის სამგლოვიარო დემონსტრაციების დროშებზე ბაქოს პროლეტარიატი აწერს შემდეგ ლოზუნგებს:

დიდება და საუკუნო ხსოვნა პროლეტარული რევოლუციის უერთგულეს ჯარის-კაცს!

პროლეტარიატის სიმტკიცე და მთლიანობა—საუკეთესო გვირგვინია ილიჩის საფლავზე.

ლენინი ჩვენთან არ არის! უფრო მჭიდროთ შევაკავშიროთ ჩვენი რიგები!

მთლიანობა, შეურყევლობა და გამძლეობა აი რას ვპირდებით ჩვენს გარდაცვალებულ ბელადს!

მოკვდა ლენინი, მაგრამ ცოცხალია ლენინიზმი!

ილიჩის სიკვდილი—მთელი მსოფლიოს მშრომელთა მწუხარებაა.

ლენინის უკვდავმა გენიამ ერთ კავშირში მოაქცია ყველა ქვეყნის მუშები და გლეხები.

ჩვენი პარტია არის ლენინიზმი მოქმედებაში.

ჩვენი დანაკლისი დიდია, მაგრამ დიდია აგრეთვე ჩვენი გამბედაობა მის მიერ ნაჩვენებ გზით სიარულისათვის.

ისეთი ადამიანები, როგორიც არის ლენინი, არ კვდებიან,—მათი იდეები უკვდავია.

ლენინიზმი—დაჩაგრული აღმოსავლეთის დროშაა!

გახსოვდეთ ლენინის ალთქმა: ჩაქუჩის და გუთნის კავშირშია ჩვენი ძალა!

ილიჩის მაგიერობა შეუძლია მხოლოდ მთელი პროლეტარიატის კოლექტიურ ნებისყოფას.

გამოღვიძებული აღმოსავლეთი არ დაივიწყებს იმას, ვინც აანთო მისი განთავისუფლების ჩირაღდანი.

ამაოდ ჰხარობენ კაპიტალისტები: ლენინი აღარ არის, მაგრამ მისი აზრი უკვდავია.

მშრომელთა საბჭოები—მსოფლიო თავისუფლების დასაყრდენია. საუკუნო იყოს ხსოვნა დიდი შემოქმედის!

გლოვის დღეები.

ბაქო. 24 იანვარი. სულ მხოლოდ რამოდენიმე დღის წინათ ბაქო აღფრთოვანებული იყო; ის დღესასწაულობდა ლენინის მიერ ნაჩვენებ ელექტროფიკაციის ბრწყინვალე გამარჯვებას. საბჭოთა ტრამვაის ვაგონები აუარებელ ხალხს აგროვებდენ ბაქოს ქუჩებზე. ლიანდაგის ფოლადის ხაზით მტკიცდებოდა ჩვენი გენიალური ბელადის დიდებული ფრაზა: „სოციალიზმი—ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლიუს ელექტროფიკაცია“.

ილიჩის უეცარი სიკვდილის შესახებ ქალაქში გაიგეს 22 იანვარს ღამით, როდესაც პარტიულ ორგანიზაციების აზერბეიჯანის ცეკის, აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს და ბაქოს კომიტეტის საჩქარო სხდომების შემდეგ რადიოს მუშაკების მომგვრელი სტრიქონები გადავიდა ასოთ-ამწყობ მანქანებზე.

23 იანვარს დილით ქალაქის და მისი რაიონების ყველა სახლები სამგლოვიარო დროშებით იყო მორთული. ფოლადის და ჩაქუჩის შემოქმედი ხმა სამჭედლოებში, წითელი იარაღის ფიცის დამდები ხმა—აი რით იხსენიებდა ბაქოს პროლეტარიატი თავის გენიალურ ბელადს. ამ ნიშნების ქვეშ მიდიოდენ და მიდიან კრებები სარეწაოებში, ფაბრიკებში, წითელარმიელთა ნაწილებში და სამხედრო გემებში. მუშები ოჯახობით მოდიან კრებებზე, რომ მოისმინონ სამწუხარო ცნობა და პატივი სცენ ილიჩის ხსოვნას ყველა, დიდი და პატარა, ფიცს სდებენ, რომ დაასრულებენ ილიჩის მიერ დაწყებული საერთა[illegible], რომ ააშენონ მთელი ქვეყნის კომუნა.

ლენინი და რევოლუცია ერთმა[illegible]

ბაქო. 24 იანვარი. [illegible] სამგლოვიარო [illegible] გაზეთის ერთ-ერთ წერილში ნათქვამია:

„ლენინი და რევოლუცია ერთმანეთის თანაბარნი იყვნენ. მისი სახელი დიდიხანია პირადი სახელი აღარ არის. ლეგენდამ მოხსნა მას ეს სახელი და გადააქცია იგი სტიქიად, რომელიც დასჭექს ქვეყნიერობაზედ და სოციალურ ქარიშხალს ჰბადებს. ლენინი უღრმესი ნაციონალური მოვლენა იყო და უდიდესი ინტერნაციონალისტიც. ლენინის „მე“ წარიხოცა ქვეყნიერობიდან და დარჩა „ჩვენ“. ლენინი სცოცხლობდა მილიონთა გულში და ამაში უღრმესი აზრია მისი საუცხოვო—ცვალებადი მოღვაწეობისა და სიცოცხლისა, რომელიც სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს მასებში, რომლის გულისათვისაც იგი სცოცხლობდა. ეს როდია უსულგულო ხსოვნა პოეტისა, უმოძრაო სალათის ძილი, არა, ეს არის შემოქმედებითი უკვდავება, რომელიც კვლავაც განაგრძობს სოციალური სტიქიის ამოძრავებას, ეს არის შემოქმედებით უკვდავება ბრძოლის გრძნეულებით აღსავსე. ეს არის ლენინის უკვდავება. გაიგონეთ საუკუნოებო, ქედმოხრილი თავდახრილი ამ შემძრწუნებელი სიკვდილის და ამ საოცარი სიცოცხლის წინაშე.“

ლენინგრადი.

ბაქო. 24 იანვ. ელექტრო-ნაკადის მუშათა და მოსამსახურეთა კრებამ მოისმინა ცნობა ლენინის გარდაცვალების შესახებ და სურვილი გამოსთქვა, რომ პეტროგრადს დაერქვას ლენინგრადი.

სომხეთში

სამგლოვიარო დეპეშა საქართველოს ცაკს.

ერევანი. 25 იანვარი. სომხეთის სახ. კომისართა საბჭო და ცაკი გადმოგვცემენ ღრმა მწუხარებას სომხეთის მუშებისა და გლეხებისას, გამოწვეულს დაუვიწყარის და ძვირფასი ბელადის ამხ. ილიჩ ლენინის გარდაცვალებით. რევოლუციის უდიდესი ბელადის და ყველა ჩაგრული ხალხების მეგობარის ამხ. ლენინის დიად ანდერძის ერთგული მუშათა და გლეხთა სომხეთი კიდევ უფრო შეამჭიდროებს თავის რიგებს წითელი დროშის ქვეშ და განაგრძობს ბრძოლას ამხ. ლენინის გზით. სომხეთის ყველა სოფლებში და ქალაქებში სამგლოვიარო მიტინგებზე მუშები და გლეხები ფიცს სდებენ, რომ ბოლომდი დარჩებიან ერთგულნი უძლეოთ დაკარგულ გენიალურ მასწავლებლის იდეებისა.

სომხეთის ცაკის თავმჯდომარე
აზატიანი.

სომხ. სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარე
[illegible].

—

სამძიმარი უცხოეთის წარმომადგენლებისაგან

ერევანი. 25 იანვ. სპარსეთის ელჩმა აბლ-ფეტიხანმა გუშინ ინახულა სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი და სთხოვა მას გადაეცა სომხეთის საბჭოთა მთავრობისათვის თანაგრძნობა ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო.

ინგლისის ობლების დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელმა ინახულა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პარზოიანი და თანაგრძნობა გამოუცხადა სომხეთის მთავრობის საკავშირო სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო.

რუსეთში

ლენინის ოთახები.

პეტროგრადი. 26 იანვარი. პეტროგრადის რევოლუციის მუზეუმში იხსნება მთელი რიგი ოთახებისა, სადაც დაგროვებულია მასალები ილიჩის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ.

ლენინთან გამოსათხოვებლად.

მოსკოვი. 25 იანვარი. კავშირთა სახლის წინ დღე და ღამე დგანან რიგები იმ პირთა, რომელთაც სურთ ილიჩის გამოთხოვება.

რუსეთის კომპარტიის ცეკას წინადადება.

მოსკოვი. 25 იანვარი. რუსეთის კომპარტიის ცეკა წინადადებას იძლევა ყველა მასალები დაკავშირებული ილიჩის გარდაცვალებასთან: დეპეშები, ორგანიზაციების დადგენილებანი, გაზეთების ნომრები, ფურცლები და სხვ., დაცულ იქნას და დაგროვების შემდეგ გადაეცეს ლენინის ინსტიტუტს შესანახად.

ლენინის სახელობის ბავშვთა ჯგუფები. რუსეთის ახალგ. კომკავშირის ცეკას პლენუმმა დაადგინა საბჭოთა კავშირში არსებულ სპარტაკის სახელობის კომუნისტურ ბავშვთა ჯგუფებს ეწოდოს ლენინის სახელობის ჯგუფები.

ილიჩის სახელობის თვითმფრინავთა რაზმი. საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის მოხალისეთა საზოგადოების პრეზიდიუმმა დაადგინა ააშენოს ლენინის სახელობის თვითმფრინავთა რაზმი ორგანიზაციების და დაწესებულებათა მიერ შეკრებილ საშუალებებით.

სამძიმრის დეპეშები.

ამხ. ჩიჩერინმა მიიღო მრავალი სამძიმრის დეპეშები, მათ შორის: [illegible]-ფაშასაგან, ხანსენისაგან, ალბანეთის მთავრობის წარმომადგენლისაგან, ამერიკის მუშებისაგან, ნორვეგიის მუშათა პარტიისაგან, საბჭოთა [illegible] ამერიკელ კომიტეტის დირექტორისაგან.

ამხ ლენინის სახელობის სრულიად რუსეთის [illegible]

[illegible] განათლების [illegible] დაადგინა სახელმწიფო რუმიანცევის ბიბლიოთეკას ეწოდოს სრულიად რუსეთის ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა.

გერმანიის წითელი ჯვრის რწმუნებულის წერილი.

ამხ. კამენევისადმი მიმართულ წერილში გერმანიის წითელი ჯვრის რწმუნებული გამოსთქვამს თანაგრძნობას დიდი სახელმწიფო მოღვაწის—ლენინის გარდაცვალების გამო.

გერმანიის კომპარტიის ცეკასაგან

გერმანიის კომპარტიის ცეკა რუსეთის კომპარტიის ცეკასადმი მიმართულ წერილში აღნიშნავს, რომ ლენინის გავლენა არ არის წარმავალი, ვინაიდან მრავალ მილიონიანი ხალხი მთელ მსოფლიოში მიდის მის მიერ გაკვალულ გზით. თუ რომ გერმანიის მუშათა მოძრაობა, რუსეთის მსგავსად, გამსჭვალული იქნებოდა ლენინის გავლენით, იგი საბჭოთა რუსეთთან ერთად შექმნიდა საბჭოთა კედელს კაპიტალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგ.

ლენინის საფლავზე გერმანიის კომუნისტური პარტია სდებს ფიცს, რომ მისი სურვილი და გაკვეთილები მუდამ დარჩებიან მისთვის ალთქმად და გზის მაჩვენებელ ჩირაღდნად.

ძეგლი მოსკოვის მუშა-მოსამსახურეთა ხარჯზე.

მოსკოვი. 25 იანვარი. პროფკავშირთა მოსკოვის საბჭოს გაფართოებულ პლენუმში ამხ. მელნიჩანსკიმ განაცხადა, რომ ფაბრიკა „დუკატის“ მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებამ მიმართა პროფკავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს, რუსეთის კომპარტიის მოსკოვის კომიტეტს და მოსკოვის საბჭოს წინადადებით უკვდავჰყონ ლენინის ხსოვნა მოსკოვის მუშათა და მოსამსახურეთა ხარჯზე ძეგლის აგებით. „დუკატის“ ფაბრიკის მუშებმა გადასდეს ამ მიზნისათვის ერთი დღის ხელფასი 2.000 ოქროს მანეთი და წინადადება მისცეს მოსკოვის ყველა მუშებს და მოსამსახურეთ წაბაძონ მათ მაგალითს. პროფკავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს პლენუმმა დაადგინა შექმნას ამ მიზნით სპეციალური ფონდი მუშაობაში ყველა პროფკავშირების ჩაბმით.

პროფკავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს პლენუმმა მისამძიმრების დეპეშა გაუგზავნა რუსეთის კომპარტიის ცეკას, კომინტერნს, სრულიად რუსეთის ცაკას, სახალხო კომისართა საბჭოს და ილიჩის ოჯახს.

წითელ ინვალიდების და ოსტაპოვის სახელობის კურსების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ დაადგინა გადასდოს ერთი დღის ხელფასი ლენინის ძეგლის ფონდში.

არავითარი სასოწარკვეთილება.

მოსკოვი, 25 იანვარი. წყალზე მომუშავეთადმი მიმართვაში ხსენებულ მუშათა კავშირი სწერს: „ლენინის ფიზიკურ სიკვდილს არ შეუძლია მოსპოს ის, რაც მისცა ლენინს პროლეტარიატმა. არავითარი სასოწარკვეთილება და გულის გატეხა! კავშირის თვითეულმა წევრმა უნდა გაათკეცოს ენერგია, სიმტკიცე და შეგნება. რევოლიუციის საქმე პროლეტარიატის რკინის ხელებშია“.

სარატოვში. მუშათა კლუბებში გამართულ კრებებზე ბევრ ქალს გული წაუვიდა. წარმოდგენები და კინო შეაჩერეს.

—

უფაში. რ. კ. პ., ახალგაზრდათა კომკავშირის, მუშებისა და მოსამსახურეების კრებამ დაადგინა: სთხოვოს საკავშირო რესპუბლიკის ყრილობაზე მყოფ ბაშკირეთის დელეგატებს, გადასცენ კომინტერნს, რ. კ. პ. ც. კ—ს. და საკავშირო რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობას, რომ მათ მტკიცეთ აქვთ გადაწყვეტილი ურყევლად მისდიონ ილიჩის ალთქმებს, და განამტკიცონ კავშირი მუშებისა და გლეხების შორის. ბაშკირეთის ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა სამგლოვიარო დღეებად გამოაცხადოს ყველა დღეები 25 იანვრამდე.

—

ბლაგოვეშჩენსკში. საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა სამი დღით გამოაცხადა გლოვა დაწესებულებებში. სახლები სამგლოვიარო დროშებითაა შემკული.

—

ნოვონიკოლაევსკში. გუშინ მოეწყო სამგლოვიარო დემონსტრაცია და კრებები ყველა დაწესებულებებში და ორგანიზაციებში.

—

ირკუტსკში. მოეწყო დიდისამგლოვიარო დემონსტრაცია. ქუჩებში ათასობით იყრის ხალხი თავს გამოიცა საგანგებო ბიულეტენები და გაზეთები. მთელი ქალაქი ტრაურშია.

—

კიევში შენობები ძაძებშია გახვეული. წითელი დროშები ძირს არის დახრილი. წარმოებებში და კლუბებში კრებები გლოვის უძლიერეს დემონსტრაციების სახეს ღებულობენ.

—

ნიჟნი-ნოვგოროდში. ქალაქის თეატრში თავმოყრილმა სორმოვოს მუშებმა ფიცი დასდეს აღასრულონ ილიჩის ალთქმანი და მჭიდროდ შემოუდგნენ კომუნისტური პარტიის გარშემო. ქალაქის შენობებზე წითელი დროშებია გამოფენილი.

—

[illegible]. კრებები [illegible] მიღებულ რეზოლუციებში გამოთქმულია უღრმესი მწუხარება ილიჩის დაკარგვის გამო. რეზოლუციები მოუწოდებს გაერთიანებისაკენ, მის ალთქმათა საერთგულოდ და რევოლიუციის საქმის გასაგრძელებლად.

—

ყაზანში. ყაზანში ქალაქის საბჭოს პლენუმმა, ყაზანის მუშათა სახელით განაცხადა: „ლენინი გარდაიცვალა, მაგრამ მისი ალთქმანი ცოცხალია ჩვენს გულში. განვაგრძოთ ლენინის მიერ დაწყებული საქმე, ბურჟუაზიაზე სრული გამარჯვებისათვის. ვიყვნეთ მტკიცე და ურყევი, როგორც ყოველთვის“.

—

ცარიცინში. ყველგან იმართება მუშების მრავალრიცხოვანი კრებები. ლენინის გარდაცვალების ამბავი რომ შეიტყვეს, ბევრს ტირილი აუვარდა. ქალაქი ძაძებშია გახვეული. თეატრები დახურულია.

უცხოეთში

სამძიმარი.

სტამბოლი. 26 იანვ. სტამბოლის საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლებმა გაგზავნეს მოსკოვში სამგლოვიარო დეპეშა.

ტომსკი. 26 იანვ. ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელმა ციმბირში რაიხერმა თანაგრძნობა გამოუცხადა საგუბერნიო აღმასკომს.

ტაშკენტი. 26 იანვ. ავღანისტანის გენერალურმა ელჩმა თურქესტანში თანაგრძნობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულ ლენინის გარდაცვალების გამო.

პრაღა. 26 იანვარი. ჩეხო-სლოვაკიის ყოფილმა წარმომადგენელმა მოსკოვში გირსამ ინახულა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი და თანაგრძნობა გამოუცხადა ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის სახელით. წარმომადგენლობას აუარებელი თანაგრძნობითი დეპეშა მოსდის მუშათა ორგანიზაციებისაგან.

გერმანიაში

პატივისცემით იხსენიებენ.

ბერლინი. 23 იანვ. მემარჯვენე გაზეთებიც კი დიდი პატივისცემით იხსენიებენ ლენინის გმირულ პიროვნებას. ნაციონალური ორგანოები ხაზს უსვამენ ლენინის საერთაშორისო მნიშვნელობას.

გერმანიის მუშები გლოვამ მოიცვა.

ბერლინი. 23 იანვ. ცნობამ ლენინის გარდაცვალების შესახებ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა მუშათა კლუბებში. დიდი მღელვარებაა ყველა წარმოებაში. მუშები ემზადებიან ლენინის დაკრძალვის დღის აღსანიშნავად. „როტე ფანე“-ს სპეციალურ ნომერში გამოქვეყნდა ზინოვიევის მოწოდება, რომელშიაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ლენინი ასწავლიდა გერმანიის პროლეტარიატს რევოლიუციონური თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას.

გერმანიის პრესის გამოხმაურება.

ბერლინი. 23 იანვარი. გერმანიის ყველა გაზეთებმა მოწინავე წერილი უძღვნეს ლენინის გარდაცვალებას. გერმანიის პრესა ლენინს აფასებს, როგორც განსაკუთრებული ენერგიის და უდიდესი ნებისყოფის ადამიანს, რომელიც მტკიცედ იცავდა თავის შეხედულებებს.

„დოიჩე ტაგეს-ცაიტუნგ“-ი ხაზს უსვამს ლენინის ზეკაცურ მუშაობის უნარიანობას და აფასებს მას, როგორც განსაკუთრებულ გამოჩენილ პიროვნებას, გამაერთიანებელს საბჭოთა კავშირის, რომლის საზღვრები აღწევენ ინდოეთისა და დიდ ოკეანემდე.

გაზეთი სწერს: „ლენინი ეკუთვნოდა კაცობრიობის იმ კოლოსალურ ფიგურებს, რომელთა მოღვაწეობა წარუშლელ კვალს სტოვებს ისტორიაში.

„ფოსიშე ცაიტუნგ“-ი უწოდებს ლენინს „რუსეთის ხალხის დიდ მამას.“

გერმანიის მთავრობის სამძიმარი.

ბერლინი. 23 იანვარი. გერმანიის რეიხსკანცლერმა მარქსმა და შტრეზემანმა გადასცეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წევრებს სამძიმარი. გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მალცანმა პირადათ ინახულა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრესტინსკი და თანაგრძნობა გამოუცხადა მას ლენინის გარდაცვალების გამო.

კრესტინსკი ინახულა აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიის ელჩმა გერმანიაში—ტუსარმა.

საფრანგეთში

პარიზი 23 იანვარი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ცნობამ ლენინის გარდაცვალების შესახებ. ყველა გაზეთები ათავსებენ დაწვრილებით ცნობებს მისი სიკვდილის შესახებ, მის ბიოგრაფიას და წინასწარმეტყველობენ მისი სიკვდილის პოლიტიკურ შედეგებს. ყველანი, თვით აშკარა მოწინააღმდეგენიც, ღირსეულად იხსენიებენ ლენინს. „ჟურნალ დე დება“ აცხადებს: „ამ ადამიანზე ძნელია მსჯელობა. ეს ისტორიული პიროვნებაა, რომელიც ჯერ კიდევ ცხლად ლეგენდით არის მოცული“. გაზეთების უმრავლესობა ამ აზრს იზიარებს. სერიოზული გაზეთები არ ფიქრობენ, რომ ლენინის სიკვდილი გამოიწვევს რაიმე ცვლილებას საბჭოთა მთავრობის პოლიტიკაში. რეფორმისტული პრესა რუსულს იდრეკს ლენინის საფლავის წინაშე. „იუმანიტე“ გამოვიდა სამგლოვიარო არშიებით და გამოსთქვამს კომუნისტური პარტიის და საფრანგეთის მუშათა [illegible].

საფრანგეთის კომპარტიის მიმართვა.

რომელიც მიმართულია საფრანგეთის მუშებისადმი, საფრანგეთის კომუნისტური პარტია ამბობს: „მისი სახელი, ხსოვნა და მაგალითი დარჩებიან სიბნელეში ანთებულ ცნათობებად, რომელიც არასოდეს არ ჩაქრებიან. ლენინის სახელით ბაგეებზე, მისი სახით გულში პროლეტარები გააგრძელებენ ბრძოლას და არ გადაუხვევენ იმ გზას, რომელიც მის მიერ არის ნაჩვენები. დეე იმ დღეს, როდესაც დიდებული რევოლიუციონერი ჩავა საფლავში, ყველა ქარხნებში და ფაბრიკებში,—ყველგან მოძღვნილი იქნეს მისთვის თუგინდ მხოლოდ ხუთი წუთი, რომლის განმავლობაშიც უნდა შეწყდეს მუშაობა. დეე თვითეული მუშა გულხელდაკრეფილი აზრით შეუერთდეს სამგლოვიარო პროცესიას. დეე საღამოს ყველა კომუნისტური სექციები და რევოლიუციონური სინდიკატები გაერთიანდენ ერთ ლოზუნგში: „გაუმარჯოს ლენინიზმს! გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს. გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს“.

ინგლისში.

ინგლისის პრესის გამოხმაურება.

ლონდონი. 23 იანვარი. წერილებში და ბიოგრაფიულ მიმოხილვაში ლენინის შესახებ ბურჟუაზიული პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს ლენინის კოლოსალურ მნიშვნელობას რუსეთის რევოლიუციისათვის. ახასიათებს რა მას, როგორც გენიალურ პოლიტიკოსს და გამოჩენილ მოაზროვნეს, ბურჟუაზიული პრესა ამ ვე დროს სასტიკად აკრიტიკებს კომპარტიის მუშაობის პროგრამას.

„დეილი ჰერალდ“-ი სწერს: „ლენინი იყო ნაპოლეონზე დიდი, ვინაიდან ის დარჩა ბოლომდე რევოლიუციის ერთგული. ლენინი ამართულა ისტორიაში, როგორც ბუმბერაზი განსაკუთრებით მის თანამედროვეებთან შედარებით. მისი დიდება მდგომარეობდა იმაში, რომ მასში შეერთებული იყო რკინისებური ნებისყოფა ღრმა ცოდნასთან და რეალობის საოცარ შეგრძნობასთან. ყველა ისტორიულ ფიგურების შორის ის განირჩევა, როგორც მუშათა მოძრაობის უდიდესი წარმომადგენელი და ხელმძღვანელი—საზოგადოდ კი—როგორც ხალხთა ერთ ერთი უდიდესი წინამძღოლი ისტორიაში“.

გაზეთი დასძენს: „გლოვა, რომელმაც მოიცვა რუსეთი,—ეს არის გლოვა არა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის, არამედ ილიჩის—[illegible] ადამიანის, რომელსაც [illegible] მსოფლიო დაპყრობა არა [illegible], არამედ მშრომელთათვის“.

[illegible] სამძიმარის გამოცხადება.

[illegible] 25 იანვარი. გერმანიის [illegible] მინისტრმა შტრეზემანმა საბჭოთა კავშირის გარეშე [illegible] ლენინის გარდაცვალების გამო.

ჩინეთი.

პეკინი. 25 იანვარი. ჩინეთის საზოგადოებრივი წრეები ძლიერ შეაწუხა ლენინის გარდაცვალების ცნობამ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი კარახანი ინახულეს გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, უნივერსიტეტის, სტუდენტების ორგანიზაციის, რკინისგზელთა კავშირის, კომპარტიის და სხვ. წარმომადგენლებმა. ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა თანაგრძნობა გამოუცხადა კარახანს.

პოლონეთში.

პარიზი. 25 იანვარი. ვარშავიდან მიღებულ ცნობების თანახმად, პოლონეთის მთავრობამ სამძიმარი გამოუცხადა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს ლენინის გარდაცვალების გამო.

ავსტრია

ვენა. 23 იანვ. ავსტრიის საზოგადოებრივ აზრზე დიდი გავლენა მოახდინა ცნობამ ამხ. ლენინის გარდაცვალების შესახებ. მთელი მუშათა კლასი თავზარდაცემულია აუნაზღაურებელი დანაკარგით. კომუნისტური პარტიის ორგანო „როტე ფანე“ სამგლოვიარო ნომერს უძღვნის ლენინის ღვაწლს მსოფლიო რევოლიუციის საქმეში და ხაზს უსვამს, რომ უდაოა მისი იდეების გამარჯვება. კომპარტია 25 იანვარს აწყობს მასიურ მანიფესტაციის გარდაცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავად.

თვით სოციალ-დემოკრატიული „რაბოჩაია გაზეტა“, რომელიც სისტემატიურად ილაშქრებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, ლენინის ადარებს კრომველს და რობესპიერს და დასძენს: „ის იყო წმინდა, როგორც ისინი, აღფრთოვანებული, როგორც ისინი, მოქმედი და დიდი, როგორც ისინი“.

ვენა. 25 იანვარი. ავსტრიის მთავრობამ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს თანაგრძნობა გამოუცხადა ლენინის გარდაცვალების გამო.

ფინეთში

დიდებულ მოღვაწის დაკარგვა.

ჰელსინგფორსი. 24 იანვ. ფინეთის პრესამ დაბეჭდა ლენინის სურათი და ბიოგრაფია. გაზეთების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ლენინის სახით კაცობრიობამ დაჰკარგა არა მარტო რუსეთის სახელმწიფოს გამოჩენილი ხელმძღვანელი, არამედ თანამედროვეობის დიდებული მოღვაწე.

ოსმალეთში

ანგორა. 24 იანვარი. ოსმალეთის პრესა აღნიშნავს, რომ ცნობამ ლენინის გარდაცვალების შესახებ ოსმალეთის მთავრობის წრეებში და ანგორის მცხოვრებლებს შორის ღრმა მწუხარება გამოიწვია.

ამხ. ლენინის გარდაცვალების შესახებ ცნობის მიღებისთანავე მთავრობის თავმჯდომარე პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის თანხლებით ეწვია საბჭოთა კავშირის [illegible] სრულუფლებიანი წარმომადგენლის წინაშე კაცობრიობის უდიდესი გენიალური წინამძღოლის გარდაცვალების გამო.

საბჭოთა კავშირის დროშა საბჭოთა საელჩოს შენობაზე მორთულია სამგლოვიარო არშიებით. ტრაურის გამო, წარმომადგენლობაში მუშაობა შეწყდა. 24 იანვარი გამოცხადებულია სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ სამძიმრის მიღების დღეთ.

ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაში

ანგორა. 24 იანვარი. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების სხდომაზე 24 იანვარს გაზეთ „ილერი“-ს რედაქტორი, დეპუტატი გალიპოლიდან, ჯელალ-ნური გამოვიდა რიგს გარეშე განცხადებით: „დღეს, სთქვა მან, ჩვენ გავიგეთ ის უდიდესი უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს მოძმე რუსეთს. ლენინის სიკვდილი თავზარდამცემია არა მარტო რუსეთისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. 5 წლის წინათ, როდესაც ჩვენ ყოველი მხრიდან გარშემორტყმული ვიყავით მტრებით და როდესაც ჩვენი მდგომარეობა უიმედოდ წარმოგვედგინა, ლენინის მთავრობამ, რომელიც ებრძოდა მსოფლიო იმპერიალიზმს, იგრძნო ჩვენი საქმის სამართლიანობა და გაგვიწია ჩვენ მორალური და მატერიალური დახმარება. ლენინის ხელმძღვანელობით რუსეთის რევოლიუციამ ძირიან ფესვიანად ამოფხვრა ჩვენი დაუძინებელი მტერი—ცარიზმი და დაამარცხა მსოფლიო იმპერიალიზმის შემოტევა. ლენინის სახით კაცობრიობამ დაჰკარგა მსოფლიო გენიალური წინამძღოლი. [illegible]“

დეპუტატები დგებიან. დარბაზში სიმყუდროვე ჩამოვარდება. მეჯლისი ერთხმად ადგენს არჩეულ იქნეს სპეციალური დელეგაცია, რომელიც ინახულებს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს და გამოუცხადებს თანაგრძნობას.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში.

ანგორა. 24 იანვარი. დღეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ეწვიენ სამძიმარზე: ოსმალეთის დიდი ეროვნულ კრების თავმჯდომარე—ფეთხი. მთავრობის თავმჯდომარე—ისმეთი. სახალხო პარტიის თავმჯდომარის მოადგილე—ფევზი, გარეშე საქმეთა კომისრის მოადგილე—ტევფიკ-კამილი, გარეშე საქმეთა კომისარიატის ყველა წარჩინებული პირები, ფინანსთა კომისარი აბდულ ხალიკი, [illegible] კომისარი—ნეჯათი, რუს[illegible] გენერალური შტაბის წარმომადგენლები, სამხედრო კომისარიატის, [illegible] წარმომადგენლები, ანგორის და სტამბოლის გაზეთების თანამშრომლები, ავღანისტანის ელჩი—ახმედ ხანი, ოსმალეთის საქმეთათვის საბჭოთა რწმუნებულის სამმართველო მთელი შემადგენლობით [illegible] მოღვაწეები. მიღებულია თანაგრძნობის წერილები ცალკე დეპუტატების და საზოგადო მოღვაწეებისაგან, მათ შორის მთავრობის ყოფილ თავმჯდომარის—რაუფისაგან. გაზეთების თანამშრომლებმა ითხოვეს ლენინის სრული ბიოგრაფია პრესაში მოსათავსებლად.

ოსმალეთის პრესის გამოხმაურება.

ანგორა 24 იანვ. მთავრობასთან დაახლოვებული „ხაკი მიეთ-მილიე“ სწერს: „ჩვენი მოძმე რუსეთიდან მიღებულია მეტად სამწუხარო ცნობა ლენინის გარდაცვალების შესახებ, რასაც ოსმალეთი მწუხარებით შეხვდა. ჩვენ თანაუგრძნობთ რუსეთს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობრობით დაკავშირებული ვართ მოსაზღვრე რუსეთის სახელმწიფოებთან, არამედ ჩვენ გვაწუხებს ისიც, რომ რუსეთმა ლენინის სახით დაჰკარგა მთელ მსოფლიოში უდიდესი იდეური ადამიანი.

ჩვენ გულწრფელად თანაუგრძნობთ ჩვენი გულით ჩვენს მეზობელ რუსეთს, რომელთაც თავს დაატყდათ ეს უბედურება.“

სპარსეთი

საერთო სამძიმარი.

თეირანი. 23 იანვარი. სპარსეთის მთავრობამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და გარეშე საქმეთა მინისტრის სახით სთხოვა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას [illegible] წის და ბელადის დაკარგვის გამო. სრულუფლებიან წარმომადგენლობის სამმართველოში სამძიმარის გამოსათქმელად გამოცხადდნენ ინგლისის და გერმანიის ელჩები, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეები, მრავალრიცხოვანი ჯგუფები და სხვადასხვა დელეგაციები. გამოშვებულია რუსეთის დეპეშათა სააგენტოს განყოფილების სპეციალური ბიულეტენი.

ლიტვა

მუშები თავზარდაცემული არიან

კოვნო. 24 იანვარი. ცნობამ ლენინის გარდაცვალების შესახებ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა მუშათა წრეებში. სრულუფლებიან წარმომადგენლობის სამმართველოში გამოცხადდა მუშა, რომელსაც უნდოდა დარწმუნებულიყო ცნობის სინამდვილეში; როდესაც ის დარწმუნდა, რომ ცნობა მართალია, მან ტირილი დაიწყო. სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლორენცი ინახულეს პრემიერმა, გარეშე საქმეთა მინისტრმა, გერმანიის, ლატვიის და ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც სამძიმარი გამოუცხადეს მას ლენინის გარდაცვალების გამო.

გლოვის დღე

დღეს
სამარე
მიიბარებს
მას,
ჩვენს ბელადს,
ლენინს...
ცრემლს ღვრის
ცხარეს,
მწარეს
შვილი შრომის
ბრძოლის ნდომის...
დღეს
დღე არის
სევდა—ჯავრის,
რეკს
გლოვისა ზარი.
ცრემლთა ღვარით
გლოვას უსმენს
მშრომელთ
მთა და ბარი...
დღეს—
დღე გლოვის
დანთოვის
დღეა მწუხარების,
შრომის ძმების,
შრომის დების—
ყველა მშრომელების.
დღეს
დღე არის—
ჩვენი მტრების
ზეიმ გახარების
დღეს
ხმა სევდის
მტრის
გულს ალხენს
[illegible]
შავი ბედის.
მაგრამ... გესმით
საფლავიდან
ხმა ის—
მოწოდების?
ხმა ლენინის
რომ სჭექს,
რომ ქუხს
ხმა ფოლადის, რკინის.
ვინ დამტირის
და ვინ აფრქვევს
ცრემლებს
ჩვენს სამარეს?
შრომის რაზმებს
გადაეცით,
გესმით,
შრომის რაზმებს:
არ შეფერის
დაღვრა ცრემლის
მებრძოლ კომუნარებს
გადაეცით
ყველას, ყველას,
რწმენა გაიმარჯვებს...

ხანდრო ეული.

ღრმა მწუხარებით „კომუნისტი“-ს თანამშრომლებს

რა ვქნა? რა ვთქვა? დიდხნობამდის გამოვაკლდი მე ლენინს!
დღეს სამარეს მივაბარებთ მშრომელთ მამა ლენინს!

ამას ხომ არ ველოდებოდით ჩვენ ბუნების წესით?
მაგრამ ყველას გული დაგვწვა ცეცხლიანი კვესით!

ბედის ღალატს ასე უცებ არ ველოდით შავ დროს:
გაბო, ვანო და გიორგი შესჩივიან სანდროს!

მწყემსი ცრემლით დანამული შორს გაჰკივის მეხრეს
და ამ ხმებით აატირებს დამწუხრებულ პეტრეს!

როგორღა უნდა შევხედო იალბუზის მწვერვალს
და იალბუზის მოყვარე ტანჯულ ნიკო—მკვლევალს?

როგორღა უნდა მივესალმო მგოსან სანდრო ეულს?
ან იონას, ან [illegible], გლოვით გულ-ამღვრეულს?

როგორღა უნდა შევხედო შაქრო ნავთლუღელსა?
დღე და ღამე რომ ეწევა ტვირთმძიმე უღელსა!

დარდი რითღა გავუქარვო მოხუც [illegible]?
განვლილი ცხოვრებისაგან ისეც გულ გატეხილს!

ყველა მძიმე განცდაში ვართ, ყველა მწარედ ვკვნესით!
სამძიმარი არ გრილდება გადამწვარი ლექსით!

ვიცი, ღონით გადავიტანთ ამ მძიმე მომენტებს
და მხურვალედ მოვუწოდებ მუშ-კორესპონდენტებს:

მოდით ძმებო, მეგობრებო, ნუ გავიტეხთ გულსა,
ანდერძი დაუტოვია ჩვენს მიცვალებულსა!

ალთქმას არვინ ვუღალატოთ, კვლავ ავენთოთ ალით,
მტრებს თვალები დავუბნელოთ დიდ ანდერძის ძალით!

[illegible]

ლენინის გარდაცვალებაზე

ქვითინებს ცეცხლში ნაწრთობი რკინა
და შორს გაისმის გლოვის არია...
დღეს აქ რადიომ [illegible]
„ილიჩი არ გვყავს... იგი მკვდარია“...

შეირხერ მიწავ! გაქვავდი გრძნობავ!..
ცეცხლო, დახარე დაბლა ალები...
გარდაცვლილა ის, ვინც იბრძოდა
და არ იცოდა ინტერვალები...

მოკვდა ბელადი... ის, ვინც ლაბირინთს
მიუხტა ცეცხლით და ააფეთქა...
და ჰორიზონტზე ოქრო მზე-ბივრიტს
უმღერა თავის „ქებათა-ქებას“...

მოკვდა ლენინი, სული რომ მისცა
რკინას, თოფს, ფოლადს, მეკარტლიან ქარხნებს...
ვინც ააჯანყა ტანჯული მიწა
და მიუსია სრა-სასახლეებს...

მაგრამ.. ოჰ, არა, არ არის მკვდარი
ლენინ! ეს შენი წმინდა ხატება...
მილიონები დაუდეგარი,
ის, ვინც ძალღონეს ეგრე გმატებდა

წინ მიისწრაფის იმ გზით და გეგმით,
ქვეყნის სახნელათ, რაც შენ დასახე...
გვწამს „ლენინიზმის“ წმიდა გაგებით
მივაღწევთ მალე ოცნების ნაპირს!..

და ეს იქნება სამარადისოთ
შენი დიდება და სიხარული...
ლენინ! . დე, სული ისევ გაისოს
საკაცობრიო ცეცხლის არულით.

პეტრე სამსონიძე.

ვ. ი. ლენინის ხსოვნას

ვითა ყუმბარა მტრისგან ნასროლი,
სიკვდილმა თავზე გადაგვიარა!
ეს სიწყვდიადის შემონაქროლი,
მაშვრალთა გულის არის იარა!

—

იტირეთ ყველამ, ვინც უსამართლოთ
იყავ ჩაგრული, იყავ დევნილი,
უტყვია ბაგე, რომ გაგამართლოთ
აღარ გყავთ ფარად თქვენი ლენინი!..

—

დიდი ტრიბუნი, მაშვრალთა მამა,
„მოკვდა!“ ვამბობთ, როგორ ადვილად!..
ვინც ჩაიოსხა ჩაგრულთა ძალა,
და ხელში მოგვცა ძლევის მახვილად!

—

კრულო სიკვდილო, დედამიწაზე
როდის მოისპობ შენი თარეშ!..
ჰოი, რა ძალა, რა სილამაზე,
მიესვენება ბნელ სამარეში!!!...

კატო მიქელაძე

რა მოხდა?

მოხდა ის, რაც არავის უნდოდა დაეჯერებინა მაგრამ ჩვენ ულმობელი ფაქტის წინაშე ვდგევართ. იძულებული გაგვხადა მწარე სინამდვილემ დაგვეჯერებინა ეს ჩვენთვის ფრიად შიაც დაუჯერებელი ფაქტი, რომ შეუძლებელი შეიქნებოდა მომკვდარიყო ისეთი კაცი, რომლის მსგავსი ჯერ კაცობრიობას არ ჰყოლია, არ არის დედამიწის ზურგზე ისეთი ადამიანი, რომელსაც არ გაეგონოს ლენინის სახელი. და მასთან არ ჰქონდეს [illegible] წარმოდგენა, რომ ლენინი [illegible] მტერია კაპიტალის [illegible] და უძლეველი მოსარჩლე [illegible] მშრომელი კლასის. ასეთი უძლეველი კაცი, როგორიც იყო ამხ. ლენინი, მოკვდა.

ეს ამბავი ტფილისის პროლეტარიატმა გაიგო ისტორიულ დღეს, ე. ი. 1924 წ. 22 იანვარს (ძველის სტილით 9 იანვარს), ამ დღეს, ამ 19 წლის წინად სისხლის წარმომადგენელმა, ცბიერმა მოძღვარმა გაპონმა წაიყვანა მშიერი ხალხი, ბავშვები, მოხუცები და მიიყვანა სისხლიან მეფეს, ნიკოლოზ მეორეს სასახლესთან. სისხლიანი ნიკოლოზი მათ გაუმასპინძლდა ცეცხლით და მახვილით. მაშინ ეს ამბავი საზარელი ელვის სისწრაფით მოედო ყველას.

1924 წლის 22 იანვარს ვიგონებდით გულშეძრწუნებული მშრომელი ხალხის დღეებს.

სწორედ ამავე დროს ვღებულობთ თავზარდამცემ ამბავს, რომ ამხ. ლენინი მოკვდა. მოკვდა, პირველი დიქტატორი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისა და უბადლო [illegible] კაპიტალისა.

ვინ გვიხელმძღვანელებს ამის შემდეგ, ვინ მოგვიგვარებს [illegible] ტების ხროვას?.. პასუხი [illegible]—ლენინის მიერ შექმნილი პარტია, კომუნისტური პარტია.

მუშები და გლეხები ეხლა უფრო ვინემ ოდესმე, შეკავშირდებიან მჭიდროდ და გაიმსჭვალებიან ურთიერთ სიყვარულით ისე, როგორც უყვარდათ მათ ამხ. ლენინი და აგრეთვე სიყვარულით მოეკიდებიან ამხ ლენინის საქმეს, რაც მან დასამთავრებლად დაგვიტოვა და არ უმტყუნებენ მას, როგორც არასდროს ლენინს არ უმტყუნებია მშრომელ ხალხისათვის.

ჩვენ ვეტყვით ძვირფას მასწავლებელს: მოისვენე, ამხ. ლენინ, ვფიცავთ შენს სიყვარულს, რომ შენ მიერ კარგად დაწყებულ საქმეს არ ვუღალატებთ და დავამთავრებთ.

ჩვენი მტრები მთელ მსოფლიოში გაიღიმებენ და იტყვიან: „დაგვიდგა დრო ბოლშევიკებთან ანგარიშის გასწორებისო“, მაგრამ მოსტყუვდებიან ისე, როგორც მრავალჯერ მოსტყუვდენ. საბჭოთა ხელისუფლება ურყეველია ჩვენში. მართალია, ჩვენ უბადლო მეთაური გამოგვაკლდა, მაგრამ ისეთივე უბადლო და ძლიერი პარტია დასტოვა მან, როგორიც იყო თვით უძლეველი ამხ ლენინი.

მუშა ჯაჯულაშვილი.

ჩაჰქრა ვარსკვლავი

დღეს, 27 იანვარს, უნდა მიაბარონ მიწას ჩვენი ვარსკვლავი.

ვინ არის ეს ვარსკვლავი? ის არის ჩვენი, მუშათა და გლეხთა, გამაშუქებელი ბელადი, მასწავლებელი. ის მოკვდა, მაგრამ მან დასტოვა თავისი აზრი, მოძღვრება და სწორი გზა, რომლითაც უნდა იაროს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატმა, მუშამ და გლეხმა. მან ჩაგვინერგა ჩვენ, მუშებს, გულში ჩვენი საბოლოო გამარჯვების მტკიცე რწმენა. მას, უდიდეს გმირს, არ დაივიწყებენ მსოფლიოს მუშები. მან ისე მოხიბლა და შეაყვარა თავი ჩვენ მუშებს, რომ მისი დავიწყება ყოვლად შეუძლებელია. მან ჩაუნერგა ხალხს თავისი სოციალისტური სიყვარული სიკვდილამდის. მან შესძლო დამსხვრევა კაპიტალისტური წესწყობილების. მან შეაძრწუნა ყველა შავ-ყორნების სახელმწიფოები.

იგი იყო გმირი, რომელიც თავზარსა სცემდა კონტრ-რევოლიუციონურ სამყაროს. მას არავისი არ ეშინოდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ იგი მართალია და უნდა მოისპოს ზედმეტი ბარგი, რომელიც აწვებოდა ჩაგრულთა ხალხის ზურგს. ის იტყოდა სიტყვას და ასრულებდა კიდეც.

ლენინი მოკვდა, მაგრამ ლენინიზმი დარჩა. მან გვიკარნახა, გვასწავლა სწორი გზა. ჩვენ ვალდებული ვართ ვიაროთ ამ გზით უკანასკნელ წუთამდე. შევისწავლოთ იმისი ნაკარნახევი, დავამსხვრიოთ მთელ მსოფლიოში ძველი, კაპიტალისტური წესწყობილება, დავამხოთ მტარვალთა ზანაკები და ფეხ-ქვეშ გავსრისოთ ყვავ-ყორნების ბუდეები.

დეე, იცოდნენ ჩვენმა მტრებმა, რომ ჩვენ ვართ ილიჩის შვილები და ვასრულებთ იმის სიტყვებს სავსებით.

არავის არ ეგონოს, რომ ჩვენ გვძინავს. არა, ეხლა უფრო ფრთხილად ვიქნებით სადარაჯოზე, მუშათა სახელმწიფოს დასაცავად.

დეე, იცოდნენ ჩვენმა მტრებმა, რომ ილიჩის პარტია და მშრომელი მასა ისე მაგარია, როგორც სალი კლდე; ვინც მოიფიქრებს მის წინააღმდეგ გალაშქრებას, ისე დაინგრევა, როგორც დაინგრა რამდენიმე კაპიტალისტური სახელმწიფო.

ვარსკვლავი ჩაჰქრა, მაგრამ იმის სხივები ისევ აშუქებს მაშვრალთა ზანაკს.

ილიჩის ვარსკვლავი ჩაჰქრა, მაგრამ ძლიერი კომუნისტური პარტია შეასრულებს მის ანდერძს, რომელიც დასტოვა მან.

მშვიდობით, ილიჩ, მაშვრალთა გმირო!

ჩვენ გულში დაუვიწყარია შენი სახელი!

მუშა მიშა კორძაია.

განათლების მუშაკთა სამგლოვიარო კრება

კრებას ხსნის ამხ. მეძმარიაშვილი, რომელიც აუწყებს შეკრილ დიდძალ მასწავლებლობას სამწუხარო ამბავს (კრება ფეხზე დგება, სამგლოვიარო ჰიმნი).

ამხ. რაჟდენ კალაძის სიტყვა.

ამხ. ლენინის გარდაცვალება იწვევს საკაცობრიო გლოვას მთელ ქვეყნიერების მშრომელთა გულში. განსაკუთრებით მძიმეა ეს დანაკლისი კომუნისტური პარტიისთვის და საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის არა იმიტომ, რომ ამხ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ შეუძლებელი გახდება შემდეგი ბრძოლის გაგრძელება; საბჭოთა კავშირის მშრომელნი ჰგლოვობენ დიდი ხელმძღვანელის დაკარგვას მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მოაკლდა გაწვრთნილი და უნიჭიერესი ბელადი, რომელიც ასე საჭირო იყო მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში.

ლენინმა შექმნა, გამოსჭედა მტკიცე პარტია, და მან ახალი სული ჩაბერა მარქსისტულ ახალ თაობას და ვერც ერთი პროლეტარიატის განთავისუფლებისთვის მებრძოლი ვერ აცდება მის გავლენას. ლენინმა შექმნა უდიდესი მებრძოლი ორგანიზაცია კომინტერნი და მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, რომელნიც წარმოადგენენ უძლიერესო საშუალებას სოციალიზ[illegible] მარქსი, მეოცე საუკუნის უდიდესი მოძღვარი და მარქსის მოძღვრების უნიჭიერესი გამტარებელი არის ამხ. ლენინი. მისი თანამებრძოლთა და ახალ თაობის უწმინდესი მოვალეობა უნდა იქნეს შესწავლა ლენინიზმის, და მისი ცხოვრებაში გატარება და მისთვის თავის დადება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე (ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს).

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სიტყვა.

დიდი მასწავლებლის შეხედულება მასწავლებლობაზე განსხვავდებოდა მრავალ მის თანამებრძოლთა შეხედულებისაგან.

დიდი ბელადი სახალხო მასწავლებლობას სთვლიდა მუშათა კლასის ერთ-ერთ მოკავშირეს და მისი გაჭირვების და ლხინის მოზიარედ. დიდი სოციალისტი განათლების მუშაკთა ასეთ შეფასებაში არ მოსტყუვდა. ის გულისტკივილი და გულწრფელი თანაგრძნობა, რომელიც მისმა გარდაცვალებამ მასწავლებლობაში გამოიწვია, საუცხოვო მოწმეა იმისი, რომ განათლების მუშაკთა ღრმად აღნიშნეს დიდი მასწავლებლის სიკვდილი და ამით გამოწვეული მშრომელი ხალხის დანაკლისი.

მასწავლებელთა მიერ მისი ხსოვნის უკვდავყოფა შეიძლება მხოლოდ მით, რომ მათ გაატარონ უნაკლოთ მის მიერ მასწავლებლობაზე დაკისრებული მოვალეობა: შეიტანონ ჩვენი სოფლის ჩამორჩენილ გლეხობაში ქალაქის კულტურა,—დაუახლოვონ პროლეტარიატის მოწინავე რაზმებს (სამგლოვიარო ჰიმნი).

ამხ. ცერცვაძის, დევდარიანის და ხაჩიძის სიტყვები.

ამხ. გ. დევდარიანი, ცერცვაძე აღნიშნავენ დიდი წინამძღოლის მნიშვნელობას თანამედროვე კაცობრიობისათვის და მოუწოდებენ ამხანაგებს მისი მცნებების ცხოვრებაში გატარებისათვის ბრძოლისაკენ. შემდეგ სიტყვებს ამბობენ ლენინის სახელობის კომუნ. აღზრ. სკოლის და მე-82-ე შრომის სკოლის მოწაფეები, რომელნიც აღთქმას სდებენ თავიანთ სკოლების მოწაფეთა სახელით შეისწავლონ დიდი მასწავლებლის მოძღვრება და იბრძოლონ მის გასავრცელებლად.

[illegible]

სამძიმრის დეპეშა.

მოკვდა მუშათა კლასის დიდი მასწავლებელი, მოკვდა მსოფლიოში უდიდესი რევოლიუციონერი. ჩვენ, განათლების მუშაკები,— მსოფლიო მილიონიანი მშრომელი მასის ნაწილი, მწუხარებით ვიხრით თავებს უდიდესი განმანათლებლის კუბოს წინაშე. შენ მიერ ნაჩვენები გზა ეკლიანი და მძიმეა ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ გვწამს შევსძლებთ ამ გზით ბოლომდის მისვლას შენ მიერ გაწაფული და ნაცად მუშათა კლასთან ერთად. საუკუნო ხსენება დიდ მასწავლებელს, მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის უმაგალითო პიონერს.

სამძიმრის დეპეშა ეგზავნებათ აგრეთვე ლენინის მეუღლეს ნ. კ. კრუპსკაიას.

საქართ. ცაკის და სახ. კომ. საბჭოსთან განათ. მუშათა სახელით სამძიმრის სათქმელად გაგზავნილ იქნა დელეგაცია: კრება იხურება ინტერნაციონალით.

რკინისგზის საავადმყოფოში

რკინისგზის საავადმყოფოში 28 იანვარს შესდგა სამგლოვიარო მიტინგი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, კომუნისტური პარტიის სულის ჩამ[illegible] [illegible] მასწავლებლის და ამხანაგის ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალების გამო.

მოხსენება გააკეთეს ამხ. ამხ. თ. [illegible], დარახველიძემ და სხვებმა. მომხსენებლები ახასიათებდნენ ლენინს, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, [illegible] და თავშეკავებული ქვეითი. ყველა გრძნობდა ღრმა მწუხარებას ძვირფასი და უმაგალითო ბელადის დაკარგვის გამო.

მიტინგის დასასრულს მიღებული იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამი არის, რომ, მართალია, ჩვენთან აღარ არის ლენინი, ჩვენ მან დაგვტოვა ობლად, მაგრამ ჩვენთან არის მისი გენიალური ნიჭის ნაყოფი, მის მიერ შექმნილი სალარო. ჩვენ ვრჩებით მის მიერ [illegible], კომუნიზმის სწორ გზაზე [illegible] ამ გზით მედგრად გავსწევთ პროლეტარიატის საბოლოო მიზნისაკენ—კომუნიზმისაკენ.

მუშკორი გონაძე.

„26 კომუნარის" სახელობის შრომის არტელის მუშებში

გული გაგვიტყდა... ჩვენს გაკაჟებულ, მხიარულ-იმედიან მუშურ გულს ამ დღეებში შემოჰკრა მეტად მწარე, სუსხიან-ნაღვლიანმა ამინდმა. ღრმად შეძრიკა ჩვენი გული, ჩვენი უდიდესი, უბადლო ბელადის, მსოფლიო მუშათა კლასის მთავარ სარდლის— ჩვენი ლენინის სიკვდილმა. უკვე აღარა გვყავს ის წინამძღოლი, რომელიც იყო ჩირაღდნით ხელში გამნათებელი იმ გზისა, რომლითაც მუშათა კლასი უნდა მიდიოდეს თავის საბოლოვო გამარჯვებისაკენ. მოგვიკვდა ბელადი, [illegible] მუშათა კლასის მტრებისა. მაგრამ ჩვენ არ მივეცემით სასოწარკვეთილებას. ჩვენ უფრო შევმჭიდროვდებით ნიშნად ამხ. ლენინის პატივისცემისა. არასოდეს არ გაუწევთ ძვირფასს მასწავლებელს ისეთ ცუდ სამსახურს, რომ ჩვენი სასოწარკვეთილებით ისარგებლონ ჩვენმა მტრებმა და შეფერხდეს ამხ. ლენინის ანდერძის განხორციელება. „26 კომუნარის" სახელობის შრომის არტელის მუშებს, სხვა ყველა მუშებთან ერთად, გვესმის ჩვენი მოვალეობა და ფიცსა ვსდებთ ძვირფასი მასწავლებლის ცხედრის წინაშე, რომ არ უღალატებთ მის მიერ ნაანდერძევს და არასოდეს არ გადაუხვევთ ამხ. ლენინის მიერ განათებულ გზას.

მუშკორი მ. [illegible]

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის მუშათა შორის

ოთხშაბათს, იანვრის 23-ს ნაშუადღევის 4 საათზე ადგილკომის მდივნის ამხ. დოღონაძის თავმჯდომარეობით შესდგა სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მარიამ ორახელაშვილმა ახლად გარდაცვალებულ რევოლიუციის ბელადის ლენინის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა დიდი მასწავლებლის ღვაწლი და მნიშვნელობა მსოფლიო პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში და დასძინა: ჩვენ შეუდრეკლად უნდა განვაგრძოთ ის გზა, რომლითაც მიდიოდა ჩვენი ბელადი.

დიდი მოძღვრის დაკარგვამ არამც თუ ხელი უნდა აგვაღებინოს ბრძოლაზე საბოლოო გამარჯვებისთვის, არამედ მან უფრო უნდა გაგვამაგროს, შეაკავშიროს ყველა მუშები იმის განსახორციელებლად, რასაც ლენინი გვასწავლიდა.

დამსწრე მუშა-მოსამსახურეთ მწუხარებით მოისმინეს დიდი მასწავლებელი ლენინის გარდაცვალების ამბავი, ფეხზე ადგომით პატივი სცეს მის ხსოვნას. ყველას სახეზე ამოეკითხებოდით რწმენას, რომ შეუპოვრად წავა მებრძოლი ხალხი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

მუშა პეტრე.

მუშფაკელებში

სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქართულ მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა მრავალრიცხოვანმა კრებამ 23 იანვარს საღამოს 6 საათზე მოისმინა მოხსენება ამხ. მალ. ტოროშელიძისა ჩვენი საყვარელი ბელადის და მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ხელმძღვანელის, ამხ. ლენინის გარდაცვალების შესახებ.

მომხსენებელმა მკაფიოთ და მგრძნობიერად აღნიშნა ამხ. ლენინის გენიალობა და მნიშვნელობა მსოფლიო მუშათა კლასის გამარჯვების საქმისათვის. კრებამ ფეხზე ადგომით და სამგლოვიარო სიმღერით პატივი სცა ამხ. ილიჩის ხსოვნას.

სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშფაკის მსმენელნი დიდათ გულდაწყვეტილნი ამხ. ლენინის დაკარგვით, უერთებენ თავიანთ მწუხარებას, როგორც მთელი საქართველოს და საკავშირო რესპუბლიკების პროლეტარიატის, ისე ყველა ქვეყნის მშრომელთა გლოვას, რომელიც გამოიწვია მათში ტანჯულთათვის უძვირფასესი და შეუდარებელი მებრძოლის ამხ. ვლადიმერ ილიჩის დაკარგვამ.

ამხ. ლენინის მიერ დაწყებულ საქმეს კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის გავყვებით ერთგულად.

ლენინი აღარ გვყავს, მაგრამ დაგვრჩა მისი დიდი ნაშრომი და საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის მაგალითი, რომელიც ყველა ჩვენგანს მოუწოდებს კომუნიზმისათვის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლისაკენ.

მუშფაკის მსმენელი ზ. კიკვიძე.

მგლოვიარე ტფილისი

დიდი ბელადის გარდაცვალებას ტფილისი ისე შეხვდა, როგორც მის სიდიადეს შეეფერება.

ტფილისი გარდაიქმნა, ფერი იცვალა, მწუხარე სამოსელით მოირთო.

შეწყდა გართობა-მხიარულება.

გამოიცვალენ მოქალაქეებიც, ყველას მტერსა და მოყვარეს სალაპარაკოთ ერთი რამ აქვთ: ლენინი. ყველას აზროვნებას დღეს იგი დაუფლებია. არ არსებობს ორი აზრი მის შესახებ. ის იყო ჩვენი საუკუნის უმაღლესი მწვერვალი, რომელიც ამაყად დაჰყურებდა თანამედროვე კაცობრიობას.—ყველა ასე ჰფიქრობს. და [illegible], რომ მისი გარდაცვალება განსაკუთრებულ სულიერ განწყობილებას ჰქმნიდეს.

როგორია ჩვენი ქალაქის გარეგნული შეხედულება?

ყოველი უბანი, ყოველი ქუჩა, ყოველი სახლი უხმოდ, მდუმარეთ ამხ. ლენინზე მეტყველებს.

ყოველი დარაბის და შენობის წინ წითელი დროშები, რომელთაც გარს უვლიან შავი არშიები ქუჩები მოგვაგონებენ წითელ [illegible]

ყოველ ფეხის გადადგმაზე გაკრულია სხვადასხვა შინაარსის მოწოდებები, რომელნიც დაჟინებით ამბობენ ერთს: ამხ. ლენინის გარდაუვალ მნიშვნელობას თანამედროვე კაცობრიობისათვის.

ტრამვაის ვაგონები, ავტომობილები და ეტლები დაფრიალებენ შავწითელ დროშებს და ამ დროს ქუჩა ჰგავს მწუხარე ხმით აშრიალებულ ტყეს.

სახელმწიფო,—პარტიული და საზოგადოებრივი დაწესებულებები შავად მორთულან მგლოვიარე ქალივით. და მაყურებლის გულის სიღრმეში იჭრებიან როგორც შავი-უკუნი ღამეები. გიპყრობს ჩუმი მწუხარება, დუმილი, არ გინდა ილაპარაკო და სულში ჩაძირული გინდა ჩაუკვირდე ამ მწუხარე, მაგრამ ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობის ამბავს. ყველაფერი გონია სიზმარი.

სასახლე ჰგავს მწუხარების განმარტოებულ კუნძულს. მისი ფასადის სვეტები შავად აღმართულან. შესასვლელი კარები, ფანჯრები შავ მანტიით დაუბურავთ.

მთავარ შესავალთან სდგას ლენინი დაფნით, სუროთი და მწვანე რტოებით გარსშემორტყმული. იგი თითქოს ცოცხალია და თვალს ადევნებდეს მის წინ მავალ გამოცვლილ მოქალაქეებს და დაღონებულ ამხანაგებს.

მარჯვნივ და მარცხნივ ორივ მხარეზე თოფებით ხელში სდგას ერთი წითელი მებრძოლი და მეორე მისი აღზრდილი პარტიული ამხანაგი. ეს საპატიო ყარაულია. მათი მეტყველება მწუხარეა, მაგრამ სიამაყით სავსე.

ყველა სახელმწიფო საზოგადო დაწესებულებების წინ იგივე სურათი დიდი ამხანაგის და მასთან ერთად საპატიო ყარაულის.

სახალმწიფო მაღაზიების ვიტრინები დაბურული არიან შავად, სადაც ასვენია სურათი ან ქანდაკება უკეთილშობილესი ადამიანის. თავისუფლების მოედანის, სასახლის ქუჩის და რუსთაველის პროსპექტის გასწვრივ ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულან მაღალი დიდი სვეტები, რომელნიც შებურვილნი არიან შავად.

ს. კ. პ. ცენტრალური შენობა აღმართულია ისე, [illegible] ზღაპრული ციხე-სიმაგრე. ის მთლიანად შავ დროშებში გახვეული გამოიყურება, როგორც გულ [illegible] დილი ძაძებში გახვეული მტირალი ქალი.

მისმა დანახვამ მგრძნობიარე ადამიანის გული არ შეიძლება [illegible] სევდით არ გამსჭვალოს. ეს შენობა [illegible] დაშვებული დროშები მას ამ[illegible]ანებენ [illegible] ქინდრულ ქალს, რომელიც სტირის.

ქალაქის ყველა უბნებში იმართება მუშა-მოსამსახურეთა სამგლოვიარო კრებები, სადაც ისმენენ მწუხარე ამბავს და თან ფიცს სდებენ გაუმართლონ დიდ მასწავლებელს მშრომელ ხალხზე დამყარებული იმედები. დიდია მწუხარება, მაგრამ არ არის სასოწარკვეთილება-უიმედობა.

დიდი ამხანაგის გარდაცვალება არ იწვევს ნებისყოფის მოდუნებას, უსაქმურობას.

ყველგან გაცხოველებული მუშაობაა, ცხოვრება ჩვეულებრივ სდუღს, ბობოქრობს, როგორც ზღვა.

ეს არ არის გლოვა იმედ-დაკარგულთა და სასომიხდილთა, ეს არის მწუხარება გაკაჟებულ მებრძოლების, რომელნიც სჭედენ ახალ ცხოვრებას და ჰქმნიან ლენინებს და გენიოსებს.

განსაცვიფრებელია მგლოვიარე ტფილისი ღამით, როცა მოძრაობა სწყდება და ქალაქს დუმილი იპყრობს.

შავად შემოსილი ქალაქი გახვეულია ელექტროს წყნარ დამძინებელ სინათლეში. არსაიდან ხმა, არსით ძახილი,—ყველგან ლენინის სახე, ლენინის აჩრდილი.

მოქალაქენი დადიან წყნარად, როგორც მთვარეულნი და გული და თავი მათი სავსეა ლენინით, ლენინზე ფიქრით.

ატმოსფერა გაჟღენთილია გლოვით და გამოუთქმელ მწუხარებით.

ასეა ალბათ არა მარტო ტფილისში, არამედ საბჭოთა კავშირის განუსაზღვრელ სივრცეზე.

ცხადია:

ლენინი არ მომკვდარა.

პროფესორთა და ხელოვანთა დელეგაცია საქართველოს მთავრობასთან

პარასკევს, დღის 1 საათზე საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაიას, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლევან ღოღობერიძეს წარუდგნენ ლენინის სიკვდილის გამო სამძიმარის გამოსათქმელად: სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს და ქართულ ხელოვნების ორგანიზაციათა დელეგაციები.

დელეგაცია მიღებულ იქნა ცაკის თავმჯდომარის კაბინეტში: ცაკის მდივნის პ. საბაშვილის, სახალხო განათლების კომისარის დავით კანდელაკის და შრომის სახალხო კომისარის არჩილ მიქაძის თანდასწრებით. პროფესორთა საბჭოს დელეგაციაში შედიოდნენ: უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი, დამსახურებული პროფესორი მელიქიშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, დიდებულიძე, თიკანაძე, უზნაძე და კ. კეკელიძე.

ხელოვნების ორგანიზაციათა დელეგაციას შეადგენდნენ: ხელოვანთა მთავარ კომიტეტის და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვასილ ბარნოვი, ნინო ნაკაშიძე, ს. აბაშელი, ვარლამ რუხაძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ფაღავა, ალ. ახმეტელი, დიმიტრი არაყიშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი, მოსე თოიძე და დიმიტრი შევარდნაძე. დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

რ. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციის საქალაქო კრება

საოპერო თეატრი გაჭედილია ხალხით. ამხ. მიხა ცხაკაია ხსნის სხდომას და წინადადებას იძლევა ფეხზე ადგომით პატივი სცენ ამხ. ლენინის ხსოვნას. კრება დგება და მღერის: „თქვენ მსხვერპლი გახდით".

ამხ. მიხა ცხაკაიას მოგონება.

ამხ. მიხა ცხაკაია იგონებს ამხ. ლენინის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის პირველ წლებს, როცა მას უხდებოდა არალეგალური მუშაობა. შემდეგ მოგვითხრობს ლენინის ციმბირში გადასახლებაზე და მის მიერ იქ წარმოებულ ლიტერატურულ მეცნიერულ მუშაობაზე. შემდეგ ამხ. მიხა იგონებს ლენინის ცხოვრებას უცხოეთში, სადაც იგი მუშაობდა დიდი ინტენსიობით, მონაწილეობდა ყველა პარტიულ ყრილობებზე და თანდათან ავტორიტეტს ჰპოულობდა.

ლენინი ერთად ერთი სოციალისტია, რომელმაც გადაახალისა და ცხოვრებას შეუფარდა მარქსიზმი. რ. კ. პ. და მესამე კომინტერნი—ამხ. ლენინის მუშაობის ნაყოფი არიან. ეს ორი დიდი ორგანიზაცია შესძლებს მისი ძირითადი ამოცანის განხორციელებას: შექმნის სოფლის და ქალაქის მშრომელთა მტკიცე კავშირს.

ამ მძიმე მუშაობის დროს ამხ. ლენინი ყოველთვის იქნება ჩვენი ჩამგონებელი.

ამხ. მოგილევსკის სიტყვა.

ახასიათებს რა ამხ. ლენინს, როგორც საზოგადო მოღვაწეს და ადამიანს, ამხ. მოგილევსკი აცხადებს, რომ პარტიას და საერთოდ საბჭოთა კავშირის მშრომელთა არ მართებთ მწუხარება და გლოვა, რადგან აქ ლენინმა დასტოვა მეტად ძვირფასი მემკვიდრეობა: მეცნიერული ნაშრომი—რევოლიუციის დამხმარე მეცნიერება; ჯერ გაუგონარი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო და მსოფლიო რევოლიუციის შტაბი —მე 3-ე კომინტერნი.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა.

ამხ. ფ. მახარაძე აფასებს რა ამხ. ლენინის მოღვაწეობას, ხაზს უსვამს მის გამჭრიახობას და წინასწარმეტყველურ უნარიანობას. მაგალითად: ინგლისში მუშათა პარტიის ხელში ძალაუფლების გადასვლა მან 8 წლით ადრე იწინასწარმეტყველა და თან დასძინა, რომ ამით არაფერი არ გამოვა, მხოლოდ მნიშვნელობა ექნება რევოლიუციის შემდეგი განვითარებისთვისო.

მუშათა მოძრაობის გამარჯვებით დაგვირგვინება რუსეთში შედეგია მისი, რომ მას ხელმძღვანელობდა ისეთი ბელადი, როგორიც არის ამხ. ლენინი.

ჩვენი ძირითადი ამოცანაა მუშათა და გლეხთა შორის კავშირის განმტკიცება და საკუთარი რიგების შემჭიდროება.

ამხ. გუსეინოვის სიტყვა.

ამხ. გუსეინოვი კითხულობს ოსმალეთის [illegible] რადიოს, სადაც ოსმალეთის ერი მწუხარებას გამოსთქვამს ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო. შემდეგ ამხ. გუსეინოვს მოჰყავს [illegible] ამხ. ლენინის [illegible] დაჩაგრულ ხალხთა მიმართ, აცხადებს: აღმოსავლეთის ერები არას დროს არ დაივიწყებენ ლენინის ამ დიდ ღვაწლს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ ჩვენ მივიღებთ სამძიმრის დეპეშას სპარსეთიდან, ავღანისტანიდან და აღმოსავლეთის ყოველ კუთხიდან, სადაც დიდ მწუხარებას გამოიწვევდა დიდი ადამიანის გარდაცვალება.

ამხ. ამხ. რუბენის, ლეჟავას, ფირცხალავას და სხვათა სიტყვების შემდეგ კრებისაგან პრეზიდიუმს ევალება სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს ნ. კ. კრუპსკაია-ულიანოვისას.

კრება უგზავნის აგრეთვე ამხ. ტროცკის შემდეგ დეპეშას:

„ტფ. ორგანიზაცია მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ავადმყოფობამ საშუალება არ მოგცათ ჩვენი პარტიისთვის მძიმე დღეებში გამოსულიყავით ჩვენი ორგანიზაციის და ტფილისის მუშების წინაშე, და გისურვებთ მალე გამომთელებას და ბრძოლის საჭესთან დაბრუნებას".

ამის შემდეგ კრება იღებს შემდეგ რეზოლიუციას:

ღრმა მწუხარება და განუსაზღვრელი სევდა ვერ დაარღვევს დისციპლინისა და ფოლადისებურ ნებისყოფას რ. კ. პ. რკინისებურ რიგებისას ილიჩის დაუღალავი ზრუნვით გამოზრდილი და მისივე ხელმძღვანელობით გაწვრთნილი მძიმე მკაცრსა რევოლიუციონერსა და კლასიურ ბრძოლებში, ჩვენი პარტია თავის მომავალი მუშაობით ღირსი გახდება თავის ბელადის. გენიოსი ბელადის გაბედული ძახილი ცეცხლს აღაგზნებს ჩვენს გულებში და აგვაფრთოვანებს სოციალიზმისა და კომუნიზმის დასამყარებლად გამართულ ბრძოლებში.

პარტიის მთლიანობას,—ბელადის ამ შეუწყვეტელ და მუდმივ მოწოდებას, —ჩვენი ორგანიზაცია თავის მომავალ მძიმე მუშაობის დროს ცხოვრებაში გაატარებს! ერთი ნაბიჯით არ გადაუხვევთ ლენინიზმს, შევისწავლით მის სტრატეგიას და ტაქტიკას, დავიცავთ პარტიის შეურყეველ მთლიანობას. ჩვენს მომავალ პრაქტიკულ მუშაობაში არ [illegible] შორდებით ფართე პროლეტარულ მასებს და ბოლომდე შევასრულებთ დირექტივს მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ. გავატარებთ ამხ. ლენინის მთავარ დირექტივას ეროვნულ საკითხში. ყველა ამ რთულ ამოცანებს გადავსწყვეტთ მთელი პარტიის კოლექტიური შრომით, შევიყვარებთ პარტიას და ვიქნებით უსაზღვროთ მისთვის თავდადებულნი, როგორც მთელს თავის სიცოცხლეში სჩადიოდა ამხ. ლენინი.

თვითეულ ჩვენგანში—კომუნისტში —არის ლენინის ნაწილი. ეს ყველა[illegible] ცაში, რაც კი ჩვენს [illegible]ში მოიპოვება.

ამ ნაწილების ჯამი—ერთი უდიდესი კოლექტივი კომუნისტური პარტია—იქნება სამედო დასაყრდენობი კლასიურ მტრებთან გამართულ ბრძოლის დროს. ძვირფას ბელადის წინა[illegible] [illegible] თავისი საყვარელი დაუვიწყარი და შეუდარებელი ლენინის ღირსი გახდეს.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარეშე

ამერიკაში

რუსეთის საკითხის კომისიის თათბირი.

ნიუ-იორკი. 28 იანვარი. სენატის მიერ შედგენილ რუსეთის საკითხის კომისიის სხდომაზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები გამოცხადდნენ დოკუმენტებით, სურათებით, ამხ. ლენინის, ზინოვიევის, რადეკის და სხვების სიტყვების და „პრავდის" და „იზვესტიის" წერილების თარგმანებით. ბორა მოითხოვდა სრული ტექსტების და დოკუმენტების წარმოდგენას, ციტატების, ფაქტების და ზოგად ფრაზების მაგიერ.

ბორას შეკითხვაზე საბჭოთა მთავრობასთან ცალკე სახელმწიფოების მიერ ურთიერთობის დაკავების მიზეზების შესახებ, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფინეთი, პოლონეთი და ბალტიის განაპირა სახელმწიფოები იძულებული იყვნენ ეცნოთ საბჭოთა კავშირი იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ საკუთარი დამოუკიდებლობა. მაშინ ბორამ შეიტანა შეკითხვა, რატომ ინგლისმაც მოაწერა ხელი სავაჭრო ხელშეკრულებას? სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღიარა, რომ ინგლისი, ალბად, მოქმედებდა საკუთარი ინტერესების მიხედვით.

აღმოსავლეთ—ევროპის ქვეყნების განყოფილების დირექტორის მოადგილემ მოიყვანა კომუნისტური მოძრაობის, კომინტერნის წარმოშობის და ამერიკაში სოციალისტური მოძრაობის განვითარების ისტორია. შენიშვნაზე იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი მარტენსი გადასახლებულია იმისათვის, რომ უარი არ სთქვა კომუნისტურ პრინციპებზე, ბორამ უპასუხა, რომ მარტენსის გადასახლება გამოწვეულია არა მისი გამოსვლებით ამერიკის წინააღმდეგ, არამედ მით, რომ ის არის საბჭოთა მთავრობის წევრი. მოწმეს უნდა ეთქვა, რომ მარტენსის წინააღმდეგ არ ყოფილა წამოყენებული ბრალდებათ აგიტაცია ამერიკაში არსებული წესწყობილების წინააღმდეგო.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ცდილობდა დაემტკიცებია, რომ „უორკერს პარტი" არის ამერიკის არალეგალური კომპარტიის ლეგალური სექცია, და რამოდენიმეჯერ იმეორებდა ხაზგასმით, რომ ზინოვიევი და რადეკი ერთსა და იმავე დროს არიან კომინტერნის აღმასკომის და სრულიად-რუსეთის ცაკის წევრები; ამით ის სცდილობდა დაემტკიცებია საბჭოთა მთავრობის პასუხისმგებლობა კომინტერნის ინსტრუქციებისათვის.

ჰომპერსი მონაწილეობას ღებულობდა სხდომაზე, უკანასკნელის დასრულებამდე.

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა

ლიონი. 24 იანვარი. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობის სხდომა, რომელიც შეწყდა ტრაურის ნიშნად, განახლდა იმავე საღამოს. პარტიის პოლიტიკური ხაზის გარშემო გამართული კამათის შემდეგ ყრილობამ დაავალა პოლიტიკურ კომისიას რეზოლიუციის შემუშავება ამ საკითხის გამო.

დილის სხდომაზე 23 იანვარს მოხსენება პროფესიონალური მოძრაობის შესახებ გააკეთა ტურდომ, რომელმაც აღნიშნა, რომ საფრანგეთის პროფკავშირებში გაერთიანებულია დაახლოვებით 800,000 მუშა. საფრანგეთის მუშების დაახლოვებით 10 პროცენტი დღემდეც არ არის გაერთიანებული კავშირებში. საუცხოვო მოხსენებით წარმოებათა იაჩეიკების მუშაობის შესახებ გამოვიდა საფრანგეთის ახალგაზრდობის კომკავშირის წარმომადგენელი გაიარი. ყრილობამ დაადგინა გამოუშვას გაიარის მოხსენება ცალკე გამოცემად. ორატორებმა აღნიშნეს, რომ კომპარტიამ პროფკავშირების ავტონომიის დაურღვევლად უნდა გააძლიეროს რევოლიუციონური მუშაობა; პარტია უნდა წარმოადგენდეს ძლიერ ფაქტორს მუშების რევოლიუციონური შეგნების განვითარებისათვის. რეზოლიუცია პროფკავშირებში მუშაობის შესახებ მიღებულია ერთხმად; აგრეთვე ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია კომუნისტური კოოპერაციის მუშაობის შესახებ. დამტკიცებულ იქნა „იუმანიტეს"-ს ადმინისტრაციის ანგარიში.

ერთხმად მიღებულ იქნა კანდიდატების სია ცენტრალურ კომიტეტისათვის, რომელშიაც შედიან 24 მუშა და მოსამსახურე და 6 ინტელიგენტი.

ყრილობის დახურვის წინ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყრილობის მიერ გაწეულია დიდი მუშაობა და მოუწოდა დელეგატებს, რათა ლენინის ხსოვნისადმი, [illegible] თავის სიცოცხლე [illegible] [illegible] მოძრაობისათვის, [illegible] შეუდგნენ მუშაობას კომუნიზმის გასამარჯვებლად საფრანგეთში. ყრილობამ ფეხზე ადგომით იმღერა ინტერნაციონალი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

პროფკავშირთა ყრილობა.

ბაქო. 23 იანვარი. აზერბეიჯანის პროფკავშირთა მომავალ მე-4 ყრილობის განსახილველი საკითხები არის: ანგარიში აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს მოქმედებისა და ანგარიში სარევიზიო კომისიისა, მოხსენება შრომის სახალხო კომისარიატისა, მოხსენება აზერბეიჯანის ეკონომიური საბჭოსი, აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამართველოს მოხსენება, კოოპერაცია, საორგანიზაციო საკითხები, სატარიფო საკითხები, კულტურული საკითხები, არჩევნები აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოსი და სარევიზიო კომისიაში.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.
(27 იანვარი)

ჩერვონცები — — 1.275,000 ათ.
გირ. სტერლინგ. ეფექ. 1.125,000
ჩეკები —1.170.000
დოლარი ეფექ. —283 000
ჩეკები —265.000
ოსმალ. ქაღ. ლირა —172.000
იტალიური ლირა —11900
ფრანგული ფრანკი —12200
საბჭ. ფულის ნიშნები —16

ბათუმის ფასები.
(26 იანვარი)

პური 2 ხარ. 7000 ათ., ძროხის ხორცი—30000 ათ ღორის ხორცი—25000 ათ. შაქარი რაფინადი — 56 250 ათ. ფხვნილი შაქარი—40,000 ათასი, ბრინჯი ალდ. 11250 ათ. კარტოფილი—1500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(26 იანვარი).

პური 1 ხარ.—11000 ათ., პური 2 ხარ. — 8000 ათ., ძროხის ხორცი 35000 ათ. ღორის ხორცი 35000 ათ., შაქარი რაფინ. 60000 ათ., შაქარი ფხვნილი 42,000 ათ., ბრინჯი ალდ.—13000 ათ., კარტოფილი 2500 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ნუში, ცინკის ჭურჭელი, სპილენძი (ფურცლოვანი), პაპიროსი, როსტოვის ლვედები, ხორბალი და პურეული, კვებრახის ექსტრაქტი, „საზაროტრესტ"-ის პროდუქცია, ხორბლეული, სინგაპურის ჰილპილი, კაკაო—[illegible] და მარცლოვანი, შვეიცარული ყველი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, „ურალ-მეტ"-ის პროდუქცია, ფანჯრის მინა, [illegible] ური სოდა, ასანთი რუს. სახ. მეურნ. [illegible] ტრესტის ნაწარმოები ([illegible] ზეთი და სხვ.), [illegible] ცემენტი, ქვა-ნახშირი ნახშ., სალომასი, „ხლებოპროდუქტ"-ის ნაწარმოები, მზესუმზირას ზეთი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნუში, ჩაი „ექტრამერკოს," ნედლი ტყავეულობა, ლურსმნები (საშენებელი), შაბიამანი, რუსეთის მანუფაქტურა, მაკარონი და ვერმიშელი 1 და 2 ხარ., ყუბ. ფქვილი, საბურავი რკინა, ხორბალი და პურეული, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, ტებ ცხიმი, სალომასი, პორტლანდიის ცემენტი, მზესუმზირას ზეთი, რკინეულობა.

ოფიციალური გარიგებანი.

პორტლანდის ცემენტი—11 მ. 50 კ. ბოჭკაში, ფრანკო სადგ. [illegible]

ტყავეულობა „კოჟსინდიკატ"-ის 1417 მ. 25 კ. თანხისა.

ფქვილი—2 მ. 50 კ. და 2 მ. 80 კ. ფუთში, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

რუს. მანუფაქტურა—უკანასკნელი პრეისკურანტის ფასებში.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ხორბლეულს, მცენარეულის და ტექნიკური ცხიმების ბაზრებზე— უცვლელებურად მტკიცე, რკინეულობის ბაზარზე—სუსტია, საფეიქრო საქონელზე—გაცხოველებული.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

28 იანვარს ბირჟის გარეშე დადებულია 18 გარიგება, სულ 33.864 ჩ. მან. თანხისა, ხოლო 24 იანვარს დადებულია გარიგება—21771 მან. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსის ზრდამ ცოტად იკლო.

ჩერვონცების და ამიერ-[illegible] დება
(27 იანვარი.)

1 ჩ.	—1.275.000,	60 კ.	—76.500.000
2 „	—2.550.000,	70 „	—89.250.000
3 „	—3.825.000,	80 „	—102.000.000
4 „	—5.100.000,	90 „	—[illegible]
5 „	—6.375.000,	1 მ.	—127.500.000
6 „	—7.650.000,	2 „	—255.000.000
7 „	—8.925.000,	3 „	—382.500.000
8 „	—10,200.000,	4 „	—510.000.000
9 „	—11.475.000,	5 „	—637.500.000
10 „	—12.750.000,	6 „	—765.000.000
20 „	—25.500.000,	7 „	—892.500.000
30 „	—38.250.000,	8 „	—1.020.000.000
40 „	—51.000.000,	9 „	—1.147.500.000
50 „	—63.750.000,	1 ჩერ.	1,275.000.000

ქრონიკა

— **აფთიაქის მოწაფეთა თანაშემწის წოდებაზე მოსამზადებელი კურსები.** საქართველოს საექიმო-სასანიტარო პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა ამით აცხადებს აფთიაქის მოწაფეთა საყურადღებოთ, რომ პირველი თებერვლიდან გაიხსნება აფთიაქის მოწაფეთა თანაშემწის წოდებაზე მოსამზადებელი კურსები. განცხადებანი მიიღებიან 1 თებერვლამდე კავშირში ყოველ დღე 9—3 საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი მოწმობები: 1) აფთიაქის მოწაფეობისა, 2) საშუალო სასწავლებლის 4 კლასის კურსის გავლისა და 3) აფთიაქში მუშაობის 8 წლის სტაჟის შესახებ. გამოცდები დაიწყება აპრილის შუა რიცხვებში.

— **სამგზავრო ვაგონების განათება.** ა/კ. რკინისგზის სამმართველოს დადგენილების თანახმად ყველა სამგზავრო ვაგონები განათებული იქნება ელექტრონით.

— **ხორცის გადატანა ტრამვაით.** უახლოეს მომავალში სასაკლაოდან ხორცის გადმოსაზიდათ სალდათის ბაზრის დუქნებთან გამოყვანილი იქნება ტრამვაი.

— **ტელეფონების შეკეთება.** ა/კ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს ცნობით, 22—23 წლებში ტელეფონები შეკეთებულია 90—95 პროცენტის რაოდენობით.

— **ფოსტა-ტელეგრაფის ტეხნიკუმი.** ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოსთან ფ.-ტელეგრაფის ტეხნიკუმში ამ ჟამად სპეციალური სწავლის მისაღებად ირიცხება 186 მსმენელი. ამათ შორის 125 სტიპენდიანტია.

— **შრომის ბირჟა.** 25 იანვარს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—88 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 121, გაიგზავნა სამუშაოზე—16, მოთხოვნილება იყო —12.

— **„თეატრი და ცხოვრება"** გამოვიდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს მესამე (3) ნომერი. ფასი 20 კ.

შემთხვევები.

— **დაჭრა.** 22 იანვარს, ახალ-სოფელში (გარე-კახეთის სამილიციო რაიონი) მოქ. ვანო სოლომონის ძე ბიძინაშვილმა ჩხუბის დროს ხანჯლით დასჭრა მოქ. ვანო გაბროშვილი. ბიძინაშვილი შეიპყრეს.

— **გვამის პოვნა.** 19 იანვარს თელავის გზაზე სოფ. გომბორიდან 8 ვერსის მანძილზე აღმოჩენილი იქნა უცნობი კაცის გვამი. მიღებულია ზომები მკვლელების შესაპყრობათ.

განცხადებები

გულ-მოკლულნი დედა ელისაბედ, მეუღლე ოლღა მიხეილის ასული, ძმები ალექსანდრე, იოსები, ვლადიმერი ფარნაოზის ძენი ყიფიანები, და სოფიო ფარნაოზის ასული ჩიქოვანი, რძლები ალექსანდრა, ელენე და მარიამი, ბესარიონ და თამარ სურგულაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ვასილ ფარნაოზის ძის ყიფიანის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი კვირას 6 საათ. საკუთარ ბინაზე ნიკოლოზის ქ. № 50. დაკრძალვა ორშაბათს, იანვრის 28 დიდუბის ეკლესიაში. გასვენება ბინიდან 3 ს. დღ. 4681—1

[illegible] ქუჩა № 4.